საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№7 (431)

28 თებერვალი - 6 მარტი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

## Bloomberg

## 2018 წელს საქართველო კვლავ ღარიბი ქვეყნების სიაში იქნება

17

# «ქართული ოცნება» ცხოველთა სამყაროში

3

## დავით საგანელიძე იბერიის გაბრწყინებას «იბერიკოთი» გეგმავს

4





5

## კახა კალაძე: ჩვენ «ევროპულ საქართველოსთან» ვთანამშრომლობთ იმიტომ, რომ ისინი არიან კონსტრუქციული

# «ჯაველინებთან» ჩახუტებული და აზიურ ფაროსანასთან მებრძოლი ერი

## «როცა საქართველო მხოლოდ თბილისი დარჩება, ნატოს წევრობა უფრო გაიოლდება»



„სესიაშვილმა მწვანე აანთო, — მოდით, ტერორისტები გვყავსო. მერე, ალბათ, „ჯაველინების“ გამოყენების დროც დაგვიდგება“

6



## ქართველი «რემბოები» რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ

7

მამა დავითი (ისაკაძე):

## ეს არის თურქული ექსპანსიის ნათელი გამოვლინება

### «ხელისუფლება არასახელმწიფოებრივად აზროვნებს»

8



## ამერიკის კონგრესის არჩევნებში 40 ტრანსგენდერი მონაწილეობს

11



9

# მძლეველი

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ესმით თუ არა ევროპელებს, კერძოდ კი, გერმანელებს, რომ საქართველო, თავის მთავრობასთან ერთად, მოჯადოებულ წრეში მოექცა და არ შეუძლია უვიზო რეჟიმის დამრღვევთა რაოდენობა მკვეთრად შეამციროს? ალბათ, ესმით, მეტიც — ამ შედეგს ჯერ კიდევ ვიზალიბერალიზაციამდე პროგნოზირებდნენ და შეჩერების მექანიზმის შექმნას სწორედ ამით ამართლებდნენ. ამასთანავე, მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, ქართველი ქურდბაცაცების პრობლემა ზღვაში წვეთია იმ კრიმინოგენურ პრობლემებთან შედარებით, რომელსაც გერმანიას უქმნის უამრავი ლტოლვილი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან — პოლიციას შეუძლია მას გაუმკლავდეს, მით უმეტეს, თუ ქართველ კოლეგებს დაიხმარს.**

**ევროკავშირთან უვიზო რეჟიმს ამოქმედებიდან 10 თვეში შეჩერების საფრთხე დაემუქრა. რა არის ამის მიზეზი და ეკისრება თუ არა საქართველოს ხელისუფლებას პასუხისმგებლობა მომხდარზე?**

# ვიზალიბერალიზაციის კრიმინალიზაცია



სიტუაციის სერიოზულობაში საზოგადოება მას შემდეგ დარწმუნდა, რაც მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა **თომას დე მეზიერმა** განაცხადა: „ჩვენ შეგვიძლია შეჩერების მექანიზმის ამოქმედება. საქართველოზეა დამოკიდებული ვიზალიბერალიზაციის შენარჩუნება". დე მეზიერის თქმით, გერმანული მხარე თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის მომატების გამო წუხს: „ასევე შეშფოთებას იწვევს კრიმინალი, ძალიან მაღალი მაჩვენებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით".

მართალია, 2017-ში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირდა (3771-დან 3462-მდე), მაგრამ ბოლო თვეებში მკვეთრი ზრდის ტენდენცია შეინიშნება. **გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, რომელიც „დი ველტმა" გამოაქვეყნა, გასული წლის სექტემბერში თავშესაფარი საქართველოს 238-მა მოქალაქემ მოითხოვა, ოქტომბერში — 355-მა, ნოემბერში — 444-მა, დეკემბერში — 522-მა, იანვარში კი —745-მა. ამ ადამიანების უმრავლესობას გერმანიაში დარჩენის შანსი არ აქვს. ამ ქვეყნის საიმიგრაციო სამსახურის სტატისტიკის თანახმად, 2017-ში საქართველოს მოქალაქეების 6340 განაცხადი განიხილეს. 6210 შემთხვევაში სტატუსზე უარი უთხრეს ან საქმის განხილვა ფორმალური მიზეზების გამო შეწყვიტეს. დარჩენილი 130 შემთხვევიდან ლტოლვილის სტატუსი 15 პიროვნებას მიენიჭა, დანარჩენებს ქვეყანაში ყოფნის უფლება გაუხანგრძლივდა.**

თუმცა აქ არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რომელზეც გერმანული მხარე ყურადღებას ამახვილებს და ამბობს, რომ ქართველების ნაწილი იმ პერიოდში, როდესაც მათი საქმის განხილვა მიმდინარეობს, კრიმინალურ საქმიანობას ეწევა. ამას ხაზი გაუსვა ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის ინტეგრაციის მინისტრმა **იოაჰიმ შტამპმა** და ფედერალურ ხელისუფლებას მოუწოდა, ზომები მიიღოს. მან განაცხადა, რომ 2017 წლის იანვართან შედარებით, დეკემბერში თავშესაფრის მაძიებელი ქართველების რაოდენობა „400 პროცენტით გაიზარდა" (170-დან 743-მდე) და მიუთითა, რომ იმ ადგილების ახლოს, სადაც თავშესაფრის მაძიებელი ქართველები ცხოვრობენ, დანაშაულმა მკვეთრად იმატა (ქურდობა მაღაზიებში, ველოსიპედების მოპარვა და ა.შ.) და ამის გამო მოსახლეობის შეშფოთება იზრდება. მან იმ ქართველებზეც ისაუბრა, რომლებიც „ცდილობენ გერმანელი გადამხდელების ხარჯზე იმკურნალონ".

**ბუნდესტაგის დეპუტატი მმართველი ფრაქციიდან, ექსპერტი საშინაო უსაფრთხოების საკითხებში შტეფან მაიერი ამბობს, რომ უვიზო მიმოსვლა უნდა შეჩერდეს, თუ ტენდენციის დაძლევა ვერ მოხერხდება. მისი შეფასებით, საქართველოს იმ მოქალაქეების ქცევა, რომლებიც უვიზო რეჟიმს არღვევენ, „მიუღებელი და უტიფარია" („დი ველტი").**

ყოველივე ამან საქართველოში ერთობ ნერვული რეაქცია გამოიწვია. ჩრდილოეთ რეინვესტფალიაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან შესახვედრად მიავლინეს შს მინისტრის მოადგილე. **ხელისუფლება, ერთი მხრივ, ცდილობდა, დაერწმუნებინა მოქალაქეები, რომ უვიზო მიმოსვლას საფრთხე არ ემუქრება და, მეორე მხრივ, უმტკიცებდა ევროპელ პარტნიორებს, რომ პრობლემის აღმოსაფხვრელად ყველა ზომას მიმართავს.** პრემიერმინისტრმა საგანგებო თათბირი გამართა. მან შსს-ს დაავალა, გააძლიეროს ორმხრივი თანამშრომლობა ევროპულ ქვეყნებთან და გააქტიუროს პოლიციის ატაშეების ინსტიტუტი. აგრეთვე, გადაწყდა, რომ დაიწყება აქტიური საინფორმაციო კამპანია, რათა მოსახლეობამ მიიღოს დეტალური ინფორმაცია უვიზო რეჟიმის დარღვევის რისკებზე.

პარალელურად, მთავრობა განაგრძობს მოქმედებას იმ რეკომენდაციების შესაბამისად, რომლებიც ვიზალიბერალიზაციის შესახებ ევროკომისიის ბოლო ანგარიშში შევიდა. მათ შორის იყო „ევროპოლთან" დადებული შეთანხმების ამოქმედება და „ევროჯასტთან" (ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტო) შეთანხმების გაფორმება, პოლიციის რეფორმის დასრულება და დანაშაულის ანალიზის სისტემის შექმნა, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაღრმავება და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება (მათ შორის, კანონმდებლობის შეცვლა ევროპული სტანდარტის შესაბამისად). აგრეთვე, ზომების მიღება მიგრაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზების აღმოსაფხვრელად და უკვე ნახსენები საინფორმაციო კამპანიის გაგრძელება.

**მთავრობის შეშფოთება გასაგებია — ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შეჩერება მისთვის ძალიან სერიოზული დარტყმა იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხედავს: მას არ შეუძლია სიტუაციის სწრაფად და რადიკალურად შეცვლა. უვიზო რეჟიმის შეჩერებას, საზოგადოებაში, სავარაუდოდ, ანტიდასავლური, ანტიევროპული განწყობების მოზღვავება და ევროკავშირზე თუ გერმანიაზე განაწყენება მოჰყვება. წყენა დღესაც შეინიშნება — მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის არაერთი მაძიებელი ცუდად იქცევა, სტატისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან შედარებით, ქართველები გერმანიაში რაიმე განსაკუთრებულ, აპოკალიფსურ პრობლემას არ ქმნიან.** ამასთანავე, **ძალზე მტკივნეულად აღიქმება მინიშნებები ერის კრიმინალურ მენტალიტეტზე — უვიზო მიმოსვლით უამრავი ჩვეულებრივი, პატიოსანი ქართველი სარგებლობს (10 თვის მონაცემებით, უვიზოდ ევროპაში 170 ათასი მოქალაქე ჩავიდა) და მათ არ სიამოვნებთ, რომ ქურდბაცაცების გამო პრობლემები ექმნებათ.** ბოლო პერიოდში ვრცელდება ცნობები კონტროლის გამკაცრების თაობაზე — 13 თებერვალს ქუთაისი-მემინგების რეისის 19 მგზავრი გერმანიაში არ შეუშვეს, 20 თებერვალს კი გავრცელდა ინფორმაცია გერმანიიდან საქართველოს 65 მოქალაქის დეპორტაციის შესახებ. ამან ფსიქოლოგიური ფონი კიდევ უფრო დაძაბა. უვიზო რეჟიმის შეჩერებამ სერიოზული დისკომფორტი შეიძლება შეუქმნას ერს — ვიზების პრობლემებს თავი რომ დავანებოთ, არავის სიამოვნებს, როდესაც მსოფლიოს თვალწინ ქურდბაცაცად წარმოაჩენენ.

იმაში, რომ ღარიბი ქვეყნების მოქალაქეების ნაწილი მდიდარ ქვეყნებში გადასახლებას ცდილობს, ახალი და უჩვეულო არაფერია. **ლატვია,** რომელიც საქართველოზე გაცილებით კარგად ცხოვრობს, ბოლო ათი წლის განმავლობაში 250 ათასამდე ადამიანმა დატოვა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 10%-ზე მეტია. ლატვიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ინსტიტუტის კვლევის თანახმად, წასულთა 62,7% პროცენტი დაბრუნებას არ აპირებს, ხოლო დაბრუნებულთა 40% ისევ საზღვარგარეთ გაემგზავრა. მაგრამ ლატვია ევროკავშირის წევრია და მის მოქალაქეებს სხვა ევროპულ ქვეყნებში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება აქვთ. ქართველებს კი, საეჭვო მაქინაციების გარდა, სხვა გზა, პრაქტიკულად, არ რჩება — ლეგალური დასაქმება წარმოუდგენლად რთულია, ხოლო ლტოლვილის სტატუსის მიღება, როგორც გერმანიის საიმიგრაციო სამსახურის სტატისტიკიდან ჩანს — პრაქტიკულად, შეუძლებელი, რადგან ითვლება, რომ საქართველო „უსაფრთხო ქვეყანაა". მიუხედავად ამისა, ათასობით მოქალაქე მაინც ცდილობს ევროკავშირში შეაღწიოს და იმედოვნებს, რომ გაუმართლებს.

აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა — **შეიძლება თუ არა უსაფრთხოდ ჩაითვალოს ქვეყანა, რომელშიც ასეთი მძიმე, თითქმის კატასტროფული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა? გონივრულია „უსაფრთხოს" სტატუსის მინიჭება მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანას დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ფასადი აქვს, რომელიც ჰიბრიდული რეჟიმის არსებობას ნიღბავს? ყველასათვის ცხადია, რომ პრობლემის დაძლევის ერთადერთი რეალისტური გზა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. მაგრამ მთავრობას ეს არ შეუძლია, ხოლო ევროკავშირი ვალდებული არ არის, საქართველოს ისეთივე დახმარება გაუწიოს, როგორიც ლატვიას ან ევროგაერთიანების სხვა, შედარებით ღარიბ წევრებს.**

ესმით თუ არა ევროპელებს, კერძოდ კი, გერმანელებს, რომ საქართველო, თავის მთავრობასთან ერთად, მოჯადოებულ წრეში მოექცა და არ შეუძლია უვიზო რეჟიმის დამრღვევთა რაოდენობა მკვეთრად შეამციროს? ალბათ, ესმით, მეტიც — ამ შედეგს ჯერ კიდევ ვიზალიბერალიზაციამდე პროგნოზირებდნენ და შეჩერების მექანიზმის შექმნას სწორედ ამით ამართლებდნენ. ამასთანავე, მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, ქართველი ქურდბაცაცების პრობლემა ზღვაში წვეთია იმ კრიმინოგენურ პრობლემებთან შედარებით, რომელსაც გერმანიას უქმნის უამრავი ლტოლვილი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. მიუხედავად ამისა, გერმანიის ოფიციალური პირები მაინც განაგრძობენ საუბარს მკაცრ ტონალობაში, შესაძლოა, იმისთვის, რომ ნათლად აჩვენონ საქართველოს მთავრობას: მასზე ზემოქმედების სერიოზული ბერკეტი მოიპოვეს. ეს მით უფრო მძიმე მოსასმენია, რომ გერმანიას, ისტორიული კავშირებიდან გამომდინარე, ქართველების დიდი ნაწილი ყველაზე მეგობრულ ევროპულ სახელმწიფოდ თვლის.

ბოლო დღეებში საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ევროპელი პოლიტიკოსების განცხადებებით გამოწვეული უკმაყოფილება რუსეთისკენ მიმართოს. „რუსული პროპაგანდის შედეგი შეიძლება იყოს რიგ შემთხვევებში, როდესაც ევროპის დედაქალაქებში სწორედ ქართველების მიმართ მედია არის განსაკუთრებით მობილიზებული და ქართველების თემას განსაკუთრებით წამოწევს", — თქვა პრეზიდენტმა **მარგველაშვილმა** („რუსთავი 2"). მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **გიორგი აბაშიშვილმა** კი განაცხადა: „საქართველოს რუსეთის სახით ჰყავს დიდი პროპაგანდისტული მტერი, რომელიც საქართველოს შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებას დიდი სიამოვნებით ეცდება, მათ შორის ვიზალიბერალიაციის პროცესში" („პირველი არხი"). თუმცა არც ერთს და არც მეორეს არ დაუზუსტებია, რა კავშირი აქვს რუსეთთან **თომას დე მეზიერს** ან **იოაჰიმ შტამპს** და არაფერი უთქვამთ „დი ველტისა" და სხვა გერმანული გამოცემების კავშირებზე „გაზპრომთან". საქართველოს ხელისუფლება იქცევა ისე, თითქოს საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში არ შეიძლება წარმოიქმნას უთანხმოება ან პრობლემა, რომელიც რუსეთის ინსპირირებული არაა, რაც საკმაოდ ინფანტილურად გამოიყურება.

**ლუკა ნემსაძე**

**ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შეჩერება მთავრობისთვის სერიოზული დარტყმა იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხედავს: მას არ შეუძლია სიტუაციის სწრაფად და რადიკალურად შეცვლა. უვიზო რეჟიმის შეჩერებას, საზოგადოებაში, სავარაუდოდ, ანტიდასავლური, ანტიევროპული განწყობების მოზღვავება და ევროკავშირზე თუ გერმანიაზე განაწყენება მოჰყვება. წყენა დღესაც შეინიშნება — მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის არაერთი მაძიებელი ცუდად იქცევა, სტატისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან შედარებით, ქართველები გერმანიაში განსაკუთრებულ, აპოკალიფსურ პრობლემას არ ქმნიან. ამასთანავე, ძალზე მტკივნეულად აღიქმება მინიშნებები ერის კრიმინალურ მენტალიტეტზე — უვიზო მიმოსვლით უამრავი ჩვეულებრივი, პატიოსანი ქართველი სარგებლობს და მათ არ სიამოვნებთ, რომ ქურდბაცაცების გამო პრობლემები ექმნებათ**

**თუ პრეზიდენტი, სოციოლოგიური მონაცემების საფუძველზე, მივა დასკვნამდე, რომ მას ელოდება მეოთხე-მეხუთე ადგილი სამარცხვინოდ დაბალი პროცენტით, ის მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დადგება — მონაწილეობა თუ უარი მასზე, დიოკლეტიანეს ჟესტითა და ტაიმ-აუტის აღებით... საბოლოო პასუხი მარგველაშვილს, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ აქვს, თუმცა ის, სავარაუდოდ, განიცდის ზეწოლას გარემოცვისა, რომელიც პირველი ვარიანტის ილუზორულ შანსებს ებღაუჭება. ამ ეტაპზე კი მისი რეიტინგი ისეთია, რომ შეიძლება ფაროსანამაც მოუგოს.**



დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასულ კვირას თელავის უნივერსიტეტში გაიმართა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისა და აზიური ფაროსანას ეპოქალური შეხვედრა. ამასთანავე, გაირკვა, რომ საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი დავით საგანელიძე ღორებს ფოტოებს ულებდა. ეს შესაძლებლობას გვაძლევს პოლიტიკა ფაუნასთან უშუალო კავშირში განვიხილოთ.**

# «ქართული ოცნება» ცხოველთა სამყაროში

## შესაძლებელია თუ არა ქართული ჯიშის ღორების მომრავლება საგანელიძის გარეშე? არსებობს თუ არა სიღრმისეული კავშირი ღორების მომრავლებასა და ღორობის გავრცელებას შორის?

„ჩვენი სტრატეგიული მიზანი — გავხდეთ ნატოსა და ევროკავშირის წევრი ძალიან მტკიცე საფუძველზე დგას და ნახეთ რატომ...“ —ქადაგებდა პრეზიდენტი თელავში. უცებ ჩაილაპარაკა: **„აი, ფაროსანი გაიჩითა...“** შემდეგ ფეხზე წამოიჭრა: **„ნახეთ, რატომ... ჩვენს წინაპრებს არ ჰყავდა ამერიკისნაირი ძლიერი მოკავშირეები, მაგრამ...“**. და ისევ ფაროსანას დაუბრუნდა: **„არ ვიცი, მოვკლა, არ მოვკლა... სახლში რომ ვიყო, მოვკლავდი და აქ, არ ვიცი“**. ზოგი იტყვის, რომ ფიგურანტი, ხასიათიდან გამომდინარე, ისევ დაიბნა და ორმაგი სტანდარტების ლაბირინთში დაიკარგა, მაგრამ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ეს ორჭოფობა დიდ ვნებებს ნიღბავდა: „მოვკლა, არ მოვკლა? — საკითხავი აი ეს არის. სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის? — ის, რომ იტანჯოს და აიტანოს მჩაგრავი ბედის ნეშტრითა გმირვა, თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი?.. მოსპოს სიცოცხლე... ბოლო მოუღოს“. საბოლოოდ, აიტანა, არ შეებრძოლა და არ მოკლა. ერთ-ერთმა აქტივისტმა, მისი ფანების მცირერიცხოვანი არმიიდან, ისიც კი თქვა, რომ პრეზიდენტმა ფაროსანა შეიწყალა. თუმცა, მარგველაშვილი, სავარაუდოდ, მიხვდა, რომ მისი დუელი მწერთან, თანაც ძლიერი მოკავშირეების გარეშე, საკმაოდ კომიკურ ხასიათს შეიძენს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „იუთუბზე“ აიტვირთება. ისე, დასანანი კია, რომ შერკინება არ შედგა — **აქილევსის** და **ჰექტორის** ბრძოლა მონაგონი იქნებოდა.

ფორმალურად, რეგიონებში მარგველაშვილის შეხვედრებს საპრეზიდენტო არჩევნებთან საერთო არაფერი აქვს, თუმცა კომენტატორების უმრავლესობა მას სწორედ წინასაარჩევნო კონტექსტში განიხილავს. თუ მათ ვერსიას დავეყრდნობით, მარგველაშვილის ძალისხმევამ კულმინაციას მაისის მიწურულს უნდა მიაღწიოს. ის გამუდმებით საუბრობს დამოუკიდებლობის აღდგენის მე-100 წლისთავის მნიშვნელობაზე, სხვები კი ამას ერთობ ნაადრევად მიიჩნევენ, რადგან იუბილემდე ორი თვე რჩება. აშკარაა, რომ მაისში მარგველაშვილი, მისი თანამდებობიდან გამომდინარე, ტელეეკრანებზე ხშირად გამოჩნდება და მას მაყურებელთა დადებითი ემოციების მობილიზების შესაძლებლობა მიეცემა.

**გიორგი მარგველაშვილი კვლავინდებურად აცხადებს, რომ არჩევნების მიმართ არ ჩამოყალიბებულა და, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს მართლაც ასეა. ცხადია, გამარჯვების შანსი მას არ აქვს, მაგრამ მყარი მეორე ადგილი კარგი შედეგით, გაზრდის მარგველაშვილის შანსებს, 2020 წლის არჩევნებისთვის დაქსაქსული ოპოზიციის პროდასავლური ნაწილი (ალბათ, უფრო — „ნაწილის ნაწილი“) გააერთიანოს.** მაგრამ ეს შედეგი დამოკიდებულია არა მხოლოდ მის კამპანიაზე, არამედ იმაზე, რამდენად ძლიერი კონკურენტები ეყოლება. უპირველესად, ეს დამოუკიდებელ კანდიდატებს ეხება, თუმცა გარკვეული მნიშვნელობა იმასაც აქვს, ვის წარადგენენ პარტიები. მოქმედ პრეზიდენტს გაუჭირდება „ვერცხლის მედლის“ მოპოვება როგორც **ალეკო ელისაშვილთან** ბრძოლაში (მან უკვე გამოხატა ინტერესი საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ, თუმცა ეს მონაწილეობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს), ისე, რომელიმე პოპულარულ, ძველი პარტიებისგან დისტანცირებულ პერსონასთან, რომელიც თავს „მესამე ძალის“ განსახიერებად გამოაცხადებს.

**თუ პრეზიდენტი, სოციოლოგიური მონაცემების საფუძველზე, მივა დასკვნამდე, რომ მას ელოდება მეოთხე-მეხუთე ადგილი სამარცხვინოდ დაბალი პროცენტით, ის მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დადგება — მონაწილეობა თუ უარი მასზე დიოკლეტიანეს ჟესტითა და ტაიმ-აუტის აღებით.** მარგველაშვილს, სავარაუდოდ, არ სურს **ვიქტორ იუშჩენკოს** შეცდომა გაიმეოროს, რომლის შედეგი 2009 წლის უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებში ისეთი ცუდი იყო, რომ მისი შემდგომი მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, უბრალოდ, სასაცილო, შესაბამისად, შეუძლებელი შეიქნა. ვა-ბანკი თუ პაუზა? **საბოლოო პასუხი მარგველაშვილს, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ აქვს, თუმცა ის, სავარაუდოდ, განიცდის ზეწოლას გარემოცვისა, რომელიც პირველი ვარიანტის ილუზორულ შანსებს ებღაუჭება. ამ ეტაპზე კი მისი რეიტინგი ისეთია, რომ შეიძლება ფაროსანამაც მოუგოს.**

ისევ ფაროსანას დავუბრუნდეთ, მით უმეტეს, რომ ის ამ ეტაპზე მარგველაშვილზე უფრო აქტუალურია და შიგასახელისუფლებო დაპირისპირების მიზეზიც კი გახდა. „სამეგრელოს, იმერეთის სოფლებს, გურიას, აჭარას, პრაქტიკულად, გადაუარა ფაროსანამ. ძალიან დიდი ზიანი მიაყენა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრი არც კი ესწრება ბოლომდე სხდომას (იგულისხმება ფაროსანასთან საბრძოლველად შექმნილი კომისიის სხდომა — დ.მ) და ტოვებს მას დაწყებიდან რამდენიმე წუთში, ის ერთხელაც არ მინახავს რეგიონში ჩასული“,— თქვა აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **ოთარ დანელიამ**. საპასუხო განცხადებაში **ზურაბ ალავიძე** ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ სხდომასაც ესწრებოდა და ფაროსანასაც ებრძვის. ვინაიდან ეს მინისტრი ერთხელ უკვე გამოიჭირეს ტყუილში, როდესაც ირწმუნებოდა, რომ „ნაცმოძრაობისთვის“ ფული არ შეუწირავს, მის ნებისმიერ განცხადებას ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ. მათ შორის ამას — „წელს დიდი რაოდენობით შევამსუბუქოთ ის დაწოლა, რაც ფაროსანაზე გვაქვს. ერთ წელში ამის მთლიანად მოგვარება ძალიან რთული იქნება“.

ფაროსანას პრობლემამ საერთაშორისო განზომილება შეიძინა. 16 თებერვლის სატელეფონო საუბარში მას **ზურაბ აბაშიძე** და **გრიგორი კარასინი** შეეხნენ. თუმცა მთავარი, ალბათ, ისაა, რომ მავნებელთა ბრძოლა არ დაგვირგვინდეს ბიოქიმიური იერიშით საქართველოს აგრარულ სექტორზე და, საზოგადოდ, ეკოლოგიაზე, რადგან ტონობით არცთუ უსაფრთხო, სადავო ეფექტის მქონე პრეპერატების გამოყენება საკმაოდ მაღალი რისკის შემცველია. კომპეტენტურმა ორგანოებმა, ალბათ, უნდა დაიწყონ იმის გარკვევა, ეფექტიანად თუ იხარჯება ამ შემთხვევაში საბიუჯეტო ფული.

მოკლედ, ფაროსანასთან ბრძოლა რთული საქმეა, გაცილებით საშარო, ვიდრე ღორების მომრავლება, რომლითაც, საპარტნიორო ფონდის თავკაცი **დავით საგანელიძე** დაკავდა. „საქართველოში სულ 56 ქართული ჯიშის ღორი მოვძებნეთ. სურათებს ვუღებდით და გენეტიკური ანალიზი კეთდებოდა. ამ 56-დან საბოლოოდ 11-12 შეირჩა, რომლებისგანაც ჩვენ სუფთა ქართული ჯიშის მომრავლება დავიწყეთ. ეს ჯიშები თავისი მაჩვენებლებით უთანაბრდება ცნობილ ესპანურ ღორის ჯიშს „იბერიკოს“, — განაცხადა მან „პალიტრანიუსის“ ეთერში. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავია და მისასალმებელიც იქნებოდა, რომ არა ერთი ნიუანსი. აღწერილი პრობლემის გადაწყვეტა პროფილური ინსტიტუტების თუ საგანგებოდ შექმნილი ჯგუფების საქმეა მთავრობასა და ამ ბიზნესთან უშუალო კონტაქტში. დავით საგანელიძე კი თავისი ფონდითა და კოლოსალური ხელფასით (მისი თქმით, ხელზე 16 ათას ლარს იღებს), განხილულ შემთხვევაში, უბრალოდ, ზედმეტი რგოლია. ამ თემას ორ მთავარ კითხვამდე მივყავართ: **ა) შესაძლებელია თუ არა ქართული ჯიშის ღორების მომრავლება საგანელიძის გარეშე? ბ) არსებობს თუ არა სიღრმისეული კავშირი ღორების მომრავლებასა და ღორობის გავრცელებას შორის**? დასასრულ — **საზოგადოებამ უკვე ნახა გიორგი მარგველაშვილისა და აზიური ფაროსანას რანდევუს ვიდეოჩანაწერი და ის უდავოდ იმსახურებს იმას, რომ დავით საგანელიძისა და ღორების შეხვედრის ამსახველი ფოტორეპორტაჟიც იხილოს.**

საერთო ტენდენციას გვერდი არც **კახი კალაძემ** აუარა და ცხოველთა მონიტორინგის ცენტრის მუნიციპალური თავშესაფრიდან მერიაში ერთ-ერთი ძაღლი წამოიყვანა. „გვყავს ახალი მეგობარი, რომელიც წამოვა მერიაში და ჩვენთან ერთად იქნება. სახელი ჯერ არ ვიცით, შევურჩევთ მერიაში“, — აღნიშნა კალაძემ. შემდეგ სახელის თაობაზე სოციალურ ქსელში ერთგვარი გამოკითხვა მოაწყო, ძაღლს ტიფანი დაარქვა და ქალაქის მთავრობის სხდომაზეც მიიყვანა — ძაღლი მერის კაბინეტის სიახლოვეს დააბინავეს.

საერთოდ, ტიფანი ძაღლისთვის ნაკლებად შესაფერისი სახელია — ის ბერძნული „თეოფანიიდან“ მოდის და მორწმუნეებს შეიძლება, ეწყინოთ. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ წმინდა თეოფანია, ხოლო საკუთრივ ტერმინი „აღნიშნავს ღმრთის გამოვლინებას, რაც გრძნობების მეშვეობით აღიქმება“ (პეტროზილოს „ქრისტიანობის ლექსიკონი“; იტალიურიდან თარგმნა **მ.სააკაშვილმა**, ოღონდ იმ გაქცეულმა პაციენტმა კი არა, ქალბატონმა **მარიკამ**). თავი დავანებოთ ამ ნიუანსს, მით უმეტეს, რომ კალაძე მასზე, სავარაუდოდ, არ დაფიქრებულა, რადგან „ტიფანი“ მისთვის სულ სხვა ასოციაციებს უკავშირდება. ნურც იმაზე გავმართავთ დისკუსიას, შეუძლია თუ არა ახალ მერს ესოდენ ბანალური პიარსვლების გარეშე თუნდაც ორი კვირა გაძლოს. რაც შეეხება ძაღლის მიყვანას დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე, მერის გულშემატკივრები, ალბათ, იტყვიან, **კალიგულამ** სენატში ცხენი შეიყვანა და ერთი პატარა ძაღლი რა გახდაო. მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ — მთავარია, მერიაში (ძველი ტრადიციებიდან გამომდინარე) ღორები არ მომრავლდნენ, თორემ ძაღლს როგორმე ეშველება.

საქართველოს ფაუნის მთავარი ფიგურა **ბიძინა ივანიშვილის** ზვიგენია. ის, პატრონის მსგავსად, ავანსცენიდან გაუჩინარდა. დროდადრო ვრცელდებოდა ინფორმაცია მისი დაღუპვის შესახებ, შემდეგ ამბობდნენ, რომ ის ცოცხალია. ეს ზვიგენი ყოველთვის მეორე პლანზე იყო, სადღაც კულისებში დაცურავდა, როდესაც მთავარი აქცენტი პინგვინებზე კეთდებოდა, შემდეგ კი ყველა ხეებზე გადაერთო. მაგრამ ის, რომ ზვიგენი არ ჩანს, არ ნიშნავს, რომ არ არსებობს. სავარაუდოდ, მისი ყველას ეშინია — კალაძის ძაღლს, საგანელიძის ღორს და მარგველაშვილის მამაც ფაროსანასაც კი.



**საქართველოს ფაუნის მთავარი ფიგურა ბიძინა ივანიშვილის ზვიგენია. ის, პატრონის მსგავსად, ავანსცენიდან გაუჩინარდა. დროდადრო ვრცელდებოდა ინფორმაცია მისი დაღუპვის შესახებ, შემდეგ ამბობდნენ, რომ ის ცოცხალია. ეს ზვიგენი ყოველთვის მეორე პლანზე იყო, სადღაც კულისებში დაცურავდა, როდესაც მთავარი აქცენტი პინგვინებზე კეთდებოდა, შემდეგ კი ყველა ხეებზე გადაერთო. მაგრამ ის, რომ ზვიგენი არ ჩანს, არ ნიშნავს, რომ არ არსებობს. სავარაუდოდ, მისი ყველას ეშინია — კალაძის ძაღლს, საგანელიძის ღორს და მარგველაშვილის მამაც ფაროსანასაც კი**

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმედია, ამ კონკრეტული „ქეისების“ გამო ღორი „ქართული ოცნების“ სიმბოლოდ არ იქცევა... თუ ჩვენი მაღალჩინოსნების მადას, მილიონობით გაცემულ პრემია-დანამატსა და ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას გავითვალისწინებთ, თამამად შეიძლება ითქვას, ღორის მადა მეოცნებეთა მადასთან ახლოსაც ვერ მივა...**

# დავით საგანელიძე იბერიის გაბრწყინებას «იბერიკოთი» გეგმავს

**საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ საზოგადოებას რამდენიმე დღის წინათ სიხარულით აცნობა, ღორების ბიზნესს ვიწყებთ და იბერიას „იბერიკოს“ ჯიშის მსგავსი ღორებით გავაბრწყინებთო.**



**იმედია, ღორების ბიზნესზე აღტაცებით მოლაპარაკე საგანელიძეც არ ასცდება რეალობას ნიკოლოზივით, რომელზეც მუშები ჩაიბურდღუნებდნენ ხოლმე: «ეს ჩვენი ნიკოლოზი, ან ნამეტანი ჭკვიანია, ანდა ნამეტანს აფრენს!». ასეა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის საქმეც — ეს ჩვენი დავითი ან ნამეტანი ჭკვიანია, ანდა ნამეტანს აფრენს...**

„საპარტნიორო ფონდმა,“ რომელიც რაჭაში ხორცის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნას ზაფხულში აპირებს, მთის ღორების გადარჩენის პროექტი ესპანელ პარტნიორებთან ერთად დაიწყო. ფონდის ვებგვერდის მიხედვით, პროექტის საინვესტიციო მოცულობა 12 მილიონი დოლარია და ქართული უნიკალური მთის ღორისგან პირველად საქართველოში ხამონის (გარეული ტახის შებოლილი ბარკალი) წარმოებასა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი ულტრათანამედროვე საწარმოს შექმნას გულისხმობს.

„საქართველოში 56 ჯიშის ქართული ღორი მოვძებნეთ. რაიონებში დავდიოდით და სურათებს ვუღებდით, შემდეგ გენეტიკური ანალიზი კეთდებოდა. 56-დან საბოლოოდ 11 თუ 12 შეირჩა, საიდანაც დავიწყებთ სუფთა ქართული ჯიშის ღორების მომრავლებას, რომელიც თავისი მაჩვენებლით ცნობილ ესპანურ “იბერიკოს” უტოლდება, ალბათ, უსწრებს კიდეც, რადგან ჩვენი ესპანელი კოლეგები მთლად არ ამბობენ. აღფრთოვანებული არიან იმ შედეგით, რაც მიღებულია. ამ მიზნით ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწარმო რაჭაში აშენდება, რომელსაც გაზაფხულის ბოლოს, ზაფხულში გავხსნით. რაჭული ღორისა თუ ხამონის წარმოება იქნება. შემდგომ ეტაპზე ანალოგიური წარმოება 11 რეგიონში გაკეთდება“ (სტილი დაცულია —გ.გ), — დაჰპირდა უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ საზოგადოებას **დავით საგანელიძე**, რომლის ხელფასიც რიგითი პენსიონერის პენსიას დაახლოებით ასჯერ აღემატება.

საპარტნიორო ფონდის დელეგაცია აღმასრულებელი დირექტორის, დავით საგანელიძის ხელმძღვანელობით ესპანეთსაც სტუმრობდა და ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში კომპანია Deraza Iberiko -ს წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრები. დაათვალიერეს “იბერიკოს” ჯიშის ღორების ფერმა და ღორის ხორცის გადამამუშავებელი ქარხანა. ესპანური კომპანიის წლიური ბრუნვა 85 მილიონი ევროა. ის პიონერია იბერიული ხორცის წარმოებასა და რეალიზაციაში. ესპანეთში გამართული საქმიანი შეხვედრების შემდეგ კომპანია Deraza Iberiko-ს წარმომადგენლები საქართველოში ჩამოვიდნენ. მათ ქართული ღორის ჯიშების მოძიება და ხორცპროდუქტების წარმოებაში ინვესტირების სურვილი გამოთქვეს. კომპანიის წარმომადგენლებმა საგანელიძესთან ერთად საქართველოს რეგიონები დაათვალიერეს, შეხვდნენ ადგილობრივ ფერმერებს და ქართული ჯიშის ღორებზე მეცნიერული კვლევა ჩაატარეს. **ამ ინფორმაციის მოსმენისა თუ წაკითხვის შემდეგ აუცილებლად გაგახსენდებათ ცნობილი ქართული ფილმი „უდიპლომო სასიძო“, რომლის ერთ-ერთი გმირი, ჭამა-სმას აყოლილი ვეტერინარი ნიკოლოზი მეცხოველეობის დარგში რებოლუციურ გადატრიალებას ცდილობს და მეცნიერულ კვლევებს ატარებს. ღორებისთვის მუშებს ამზადებინებს საგანგებო საკვებს, რომელსაც თვითონ აგემოვნებს. ღორებთან განსაკუთრებული დამოკიდებულების მქონე ნიკოლოზს საღორის გრანდიოზული პროექტიც აქვს და მეცხოველეობაში ნოვატორული იდეების დასანერგავად ძალღონეს არ იშურებს.**

**„ქვეყანა გამეცნიერდა და მე რატო უნდა ჩამოვრჩე?!“** — ეს არის მყარი ლოგიკა ვეტერინარისა, რომლიც კომიკური პერსონაჟია. ალბათ, ყველას ახსოვს ეპიზოდი, როდესაც დამშეულ ღორები ნიკოლოზის საძინებელში აღმოჩნდებიან. განსაკუთრებით სარკასტულია სცენა, როდესაც მძინარე ნიკოლოზი დინგზე კოცნის ღორს. ამ უკვდავი ფილმის გმირი, ვეტერინარი ნიკოლოზი არის მაგალითი იმისა, რა კომიკურად გამოიყორება ადამიანი, როდესაც ის რეალობას არის აცდენილი. **იმედია, ღორების ბიზნესზე აღტაცებით მოლაპარაკე საგანელიძეც არ ასცდება რეალობას ნიკოლოზივით, რომელზეც მუშები ჩაიბურდღუნებდნენ ხოლმე: „ეს ჩვენი ნიკოლოზი, ან ნამეტანი ჭკვიანია, ანდა ნამეტანს აფრენს!“.**

ასეა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის საქმეც — **ეს ჩვენი დავითი ან ნამეტანი ჭკვიანია, ანდა ნამეტანს აფრენს...** გაფრენისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კაცმა რომ თქვას, **იბერიკო საგანელიძე** (ასე მოიხსენიებენ საგანელიძეს სოციალურ ქსელებში — გ.გ.) ნამეტანი ჭკვიანი და მოხერხებული აღმოჩნდა და დიდძალი ქონებაც დააგროვა: **შევარდნაძის** პრეზიდენტობისას „ახალი მემარჯვენეების“ სიით ორჯერ მოხვდა პარლამენტში და თითქოს ოპოზიციაში მყოფი მემარჯვენე პოლიტიკურადაც და ფინანსურად თავს ცუდად ნამდვილად არ გრძნობდა. შემდეგ, სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის პერიოდში, ქონების დაგროვებას მიჰყო ხელი (დეკლარაციის მიხედვით, საგანელიძეს ქონების დიდი ნაწილი სწორედ სააკაშვილის რეჟიმის მმართველობის დროს აქვს შეძენილი — გ.გ), რაც დასტურია იმისა, რომ ამჟამად ოცნების ერთ-ერთი სახე სააკაშვილის მმართველობის პერიოდშიც ისევე ტივტივებდა ზედაპირზე, როგორც შევარდნაძის პრეზიდენტობისას. ახლა კი, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მარადჟამ მოტივტივე პოლიტიკოსი, მეოცნებეთა ლიდერად მოგვევლინა და **ბიძინა ივანიშვილის** კარზე დიდი ნდობა მოიპოვა. პარლამენტიდან საპარტნიორო ფონდში გადაინაცვლა და, ნერვიც არ უტოკდება, ისე იღებს თვეში 21 ათას ლარს ხელფასად და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, როგორც ამბობენ, ოქროს კოვზით თუ ჩანგლითაც სიამოვნებით მიირთმევს საკვებს... სამწუხაროა, რომ ხელისუფლებების ცვლილებით უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაში მყოფთათვის არ იცვლება არაფერი, თორემ საგანელიძე მიჩვეულია ყველა ხელისუფლების დროს ზედაპირზე ტივტივს და სამომავლოდ არც ახალ ძალასთან გაუჭირდება საერთო ენის გამონახვა...

ისევ ღორების ბიზნესს დავუბრუნდეთ: საინტერესოა, საგანელიძესა და ესპანელ ბიზნესმენებს, აქვთ თუ არა ნაფიქრი, რომ, **თუ ღორს გაუჩნდება ე.წ. აფრიკული ჭირი, რომელიც იწვევს ხშირად ცხოველის სიკვდილს , რა გარანტია აქვთ, რომ „იბერიკოსზე“ უკეთესი ქართული ჯიშის ღორები აფრიკულ ჭირს არ ემსხვერპლებიან?! თუ იმის გარანტია არსებობს, რომ ე.წ. აფრიკული ჭირი მათ ღორს არ გაუჩნდება, გამოდის, ამ ვირუსთან გამკლავების გზებიც იციან და, თუ ეს მათთვის ცნობილია, მაშინ რატომ არ იციან გლეხებმა, როგორ ებრძოლონ ე.წ. აფრიკულ ჭირს, რომლის შიშითაც ღორის მოშენებას ვერ ბედავენ?**

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა: „ჩვენ ძალიან მალე გამოვიტანთ ამ ე.წ. თაროს, სადაც ბიზნესპროექტები იქნება ჩალაგებული ქართველი და უცხოელი ინვესტორებისთვის და ვიტყვით, რომ აი ბიზნესი, სადაც თანხის 49%-ს ჩვენ ვდებთ. ვის გაქვთ ბიზნესში შემოსვლის სურვილი და უკეთესი პირობა — აიღოთ 51 % და დაიწყოთ ეს ბიზნესი. ეს მოგვეცემს საშუალებას, ისეთ რეგიონებში, სადაც დღეს ბიზნესი მინავლებულია და თანხები არ შედის (ამის გამო ასეთი რაიონებიდან მიგრაცია ხდება, განსაკუთრებით მაღალმთაში და ასე შემდეგ) იქ წარმოება გავაცოცხლოთ. დავასაქმოთ ხალხი და გავაკეთოთ მოსახლეობის უკუდინება, გავაცოცხლოთ სოფელი და მთა. ასე რომ, ამ მიმართულებით ჩვენ სერიოზული სამუშაოები გავაკეთეთ. 18-მდე ასეთი პროექტი დამუშავების სტადიაშია და ნელნელა ამ პროექტებს გამოვამზეურებთ“ (სტილი დაცულია— გ.გ). საგანელიძის თქმით, ეს პროექტები, ძირითადად, ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ინვესტირებას ითვალისწინებს. ასეთად საგანელიძემ ხორბლის საბოლოო გადამუშავების პროექტი დასაახელა. რამდენიმე თვეში ფონდი, ასევე, გეგმავს ზეთის საწარმოსა და მარმარილოს დასამუშავებელი საამქროს გახსნას. მუშავდება ზღვისა და მტკნარ წყალში თევზის გაშენების პროექტები და სხვ. **საგანელიძის განცხადება, თაროზე „დალაგებული ბიზნესპოქტების“ გამომზეურების შესახებ დაპირებების იმ კატეგორიიდანაა, მეექვსე წელსაც რომ ველოდებით მეოთხე საოცნებო წელიწადს.**

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა თავის ხელფასზე განაცხადა: **„მეხუთე დირექტორი ვარ და, ყველაზე მცირე ხელფასი მაქვს. ამას არ საზღვრავს ფონდი, არამედ საზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. ჩვენი თანამშრომლები არ არიან საჯარო მოხელეები, ჩვენ ვართ ბანკთან გათანაბრებული სტრუქტურა და განვმარტავ, რომ არ ვხარჯავთ ბიუჯეტის თანხებს, არამედ ჩვენი შემოსავლებია დივიდენდები. ჩვენ ბიუჯეტისთვის მოგვაქვს რამდენიმე ათეულობით და კიდევ უფრო მეტი მილიონი დოლარის მოგება და, შესაბამისად, ჩვენი ხელფასი, როგორც საბანკო სექტორში, ფორმირდება ჩვენი მოგებით. ხელფასი მაქვს 21 ათასი ლარი, საიდანაც ხელზე ვიღებ 16 ათას ლარს. მაგრამ თანხის 2/3 მიდის ქველმოქმედებაში“.** საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, სიამაყით ამბობს, რომ თურმე რამდენიმე ათეული და კიდევ უფრო მეტი მილიონი მოგება მოაქვთ ბიუჯეტისთვის....ეს რამდენიმე მილიონი მოგება უკიდურს გაჭირვებაში მყოფ მოსახლეობას ნამდვილად არ ხმარდება და საკუთარი თავისა თუ გუნდის ფუფუნებისთვის მოზიდულ მილიონებზე ასე თავაწეული ლაპარაკი არ ღირს. ან, იქნებ, ეს რამდენიმე ათეული მილიონი სახლმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად იმ ხეგლეჯია მოქალაქის ბიუჯეტში ▶

**ფაროსანა მავნებელია, აბა, მეზოზოური ხანის იურული პერიოდის ბალახისმჭრელი გიგანტი დინოზავრი ხომ არ არის, „საპარლამენტო განხილვის მთავარი თემა“ რომ გახდეს?! ამ ლოგიკით, დავითაშვილის კოლეგამ, ჯანდაცვის მინისტრმა სერგეენკომ ხმა არ უნდა ამოიღოს ეპიდემიებსა და პანდემიებზე, რომელთა გამავრცელებელი თვალით უხილავი ვირუსებია! თორემ ხარი ხომ მამალი ძროხაა, ეს მიშასდროინდელი სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრისგან ბაკურ კვეზერელისგან ვიცით.**

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ მიდის, რამდენიმე თვეში ქონება თითქმის 300 მილიონით რომ გაეზარდა?! თუ მოგება სრულად მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში, მაშინ იქნებ ახსნათ, რატომ ვერაფრით გრძნობს უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი საზოგადოება ამას!

**ახლა კი გაგაცნობთ „ყველაზე მცირეხელფასიანი“ მეოცნების, დავით საგანელიძეს დეკლარაციას, რომელიც 2018 წლის 31 იანვარს აქვს შევსებული. მისი უძრავ-მოძრავი ქონების ნუსხა ასეთია:**

* საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს 2016 წელს ბათუმში, რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე, საცხოვრებელ კომპლექს „მაგნოლიაში“ 126 კვ.მ. ფართობი 70 000 აშშ დოლარად შეუძენია.

* 2008 წელს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, 250.5 კვ.მ ბინა 200 000 ლარად შეუძენია.

* ასევე 2008 წელს ღორების ბიზნესით გატაცებულ ოცნების ერთ-ერთ სახეს ჭავჭავაძის გამზირზე 413,5 კვ.მ. ბინა 250 000 ათას ლარად უყიდია.

* 2013 წელს ბათუმში, საცხოვრებელ კომპლექს „მაგნოლიაში,“ 66,75 კვ.მ. უძრავი ქონება 40 000 ლარად აქვს შეძენილი.

* 2003 წელს რაჭაში, ონის რაიონის სოფელ წმენდაურში, ყოფილი დეპუტატს 160 კვ.მ ფართობის სახლი 25 000 ლარად აქვს შეძენილი, ხოლო 1997 წელს მცხეთაში, სოფელ არმაზში 300 კვ.მ. სახლი — 50 000 ლარად.

* 2008 წელს საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე ორი ავტოფარეხი შეუძენია, თითოეული 5000 ლარად, ხოლო 2009 წელს ატენის ქუჩაზე ავტოფარეხი — 8000 ლარად.

* ყოფილ მემარჯვენეს 2011 წელს ონის რაიონის სოფელ წმენდაურში 8792 კვ.მ მიწის ნაკვეთი 10 000 ლარად შეუძენია, 1998 წელს კი 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მას არმაზში 15 000 ლარად აქვს ნაყიდი.

* 2009 წელს თურქეთში 65 კვ.მ ბინა 82 000 ევროდ შეუძენია.

* დავით საგანელიძეს დეკლარაციის შევსებისას „ლიბერთი ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე 6550 ლარი ჰქონდა. ამავე ბანკში საკრედიტო დავალიანება 2670 ლარიც ერიცხება, მაშინ, როდესაც „საქართველოს ბანკის“ მიმდინარე ანგარიშზე მას 10150 აშშ დოლარი აქვს, ასევე მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება მას 1900 ევროც. საგანელიძეს „ბაზისბანკში“ საკრედიტო ანგარიშზე 3500 და 1300 ლარი აქვს დავალიანება, ხოლო „პროკრედიტ ბანკში“ მიმდინარე ანგარიშზე 9500 აშშ დოლარი ერიცხებოდა. დეკლარაციის შევსების მომენტში 35 000 ლარი და 22 000 აშშ დოლარი ნაღდი ფული ჰქონდა, მის მეუღლეს, **სოფიო ფარცხალაძეს** კი — 29 000 ლარი და 15 000 აშშ დოლარი. გასულ წელს საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორს ხელფასად 336 000 ლარი მიუღია.

ასეთია საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ქონებრივი დეკლარაციის ერთი ნაწილი.

**გიორგი გელაშვილი**

**P.S. ვიდრე დავით საგანელიძე ღორების მოშენების მრავალმილიონიან პროექტით აღფრთოვანებას ვერ მალავს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ განხილვის საგანია ღორის სპერმის 500-ლარიანი დავალიანების დაფარვის საკითხი. დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგით მეცხრამეტე საკითხი, ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის სუბსიდირება იყო. ცვლილებების სახით ბიუჯეტში გათვალისწინებული 500 ლარი კი სწორედ შეძენილი ღორის სპერმის დავალიანების დასაფარავად იყო გამოყოფილი. მოკლედ, ოზურგეთის ყოფილი გამგეობის მიერ ღორის სპერმის მომხმარების შემდეგ გადაუხდელი 500 ლარის მოქმედი მერიისთვის დაკისრების საკითხს ოზურგეთის საკრებულო მომავალ სხდომაზე განიხილავს. როცა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი ღორების ბიზნესის 12-მილიონიანი პროექტის დაწყებაზე სიამაყით ლაპარაკობს, კომიკურია ღორის სპერმის დავალიანების გადახდაზე მსჯელობა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ით თანამშრომლებს კი, რომლებმაც ღორის სპერმა ვალით იყიდეს და შემდეგ მთელი დუნიის გასარჩევი გახადეს ეს ამბავი, ღორის მოვლაზე მეტი საქმე არ უნდა ანდოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ...**

**P.P.S. იმედია, ამ კონკრეტული „ქეისების“ გამო ღორი „ქართული ოცნების“ სიმბოლოდ არ იქცევა... თუ ჩვენი მაღალჩინოსნების მადას, მილიონობით გაცემულ პრემია-დანამატებსა და ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას გავითვალისწინებთ, თამამად შეიძლება ითქვას, ღორის მადა მეოცნებეთა მადასთან ახლოსაც ვერ მივა...**

# კახა კალაძე: ჩვენ «ევროპულ საქართველოსთან» ვთანამშრომლობთ იმიტომ, რომ ისინი არიან კონსტრუქციული

**დედაქალაქის მერის წინასაარჩევნო პერიოდში ერთმა ძირძველმა თბილისელმა მითხრა, თბილისის მერად ლორდი უნდა ავირჩიოთო. ლორდი, მოგეხსენებათ, დიდ ბრიტანეთში ოფიციალური ტიტულია, ამასთანავე, თავაზიანობის ტიტულიც, სამაგალითო ქცევის მისაბაძი მაგალითი.**



ავირჩიეთ მერი თბილისის. თუ შეესაბამება ლორდობის განმსაზღვრელ პარამეტრებს **კახაბერ (კახა) კალაძის** ფიგურა იმ თბილისელის სურვილს, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ გააზნაურებული მდაბიოს — **ნიკა გვარამიას** — მიზეზს რომ მისცემ, დაგცინოს, ლორდობას ვერც იქმ და ვერც შესწვდები.

მილანში დაფრინავსო თმის შესაკრეჭად: „როგორ უყვარს მერს თბილისი, რომ აქაურ სტილისტებს არ აწუხებს! ისე კი, მახსოვს, ადრე სამტრედიაში იჭრიდა თმას“. ასეთი არატრადიციული იუმორით თავი რომ მოიჭრა მზეჭაბუკმა, ჩვენი სადარდებელი არ არის, მაგრამ კალაძის რეპუტაციას წყალი რომ შეუდგა, ეგაა ცუდი.

ლორდობა კი არა, ბატონი მერი **გურამ ფანჯიკიძის** ნაწარმოების, „თვალი პატიოსანის“ ნეგატიურ გმირებს (როგორც გურამი უწოდებდა) დაემსგავსა: მაქვს და შემიძლია, ანუ — ფული შემწევს ქადილისა!

არ წაგიკითხავთ „თვალი პატიოსანი“? იჩქარეთ, ეგებ, მოასწროთ ბიბლიოთეკაში მისვლა, სანამ ეს ტრადიციული საგანმანათლებლო ქსელი ნაციონალების ანასხლეტ „ევროპულ საქართველოსთან“ თანამშრომლობის სურვილით ატაცებულ მერს, ბიბლიოთეკების რეორგანიზაციის მოტივით, საერთოდ, არ გაუუქმებია.

**სად ბოკერია-უგულავას „ევროპული საქართველო“ და სად ბიბლიოთეკა?** — ეს ჰკითხეთ ბატონ კახა კალაძეს, რომელმაც ჟურნალისტების შეკითხვას თბილისის ბიბლიოთეკების რაოდენობის შემცირების შესახებ ასე უპასუხა:

**„ჩვენ უნდა გავყოთ ოპოზიცია. ერთია მარგინალური, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენს და მეორე — „ევროპული საქართველო“. ჩვენ „ევროპულ საქართველოსთან“ ვთანამშრომლობთ იმიტომ, რომ ისინი არიან კონსტრუქციული, მარგინალურ ძალასთან არ ვაპირებთ არანაირ თანამშრომლობას. ჩვენ ამაზე არაერთხელ გავაკეთეთ განცხადება, საკრებულოშიც გაკეთდა განცხადებები, ამაზე ვისაუბრე მე და ეს იქნება ასე, სანამ არ დალაგდებიან და გაერკვევიან, რა უნდათ“.**

სანამ „ნაციონალები გერკვევიან, რა უნდათ“, ეგება, ბატონმა კახა კალაძემ გაარკვიოს, რით განსხვავდებიან „ევროპელები“ „ნაცებისგან“.

არაფრით.

ანასხლეტებსაც ის სურთ, რაც ნაციონალებს — სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის აღდგენა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების „ისტორიის ნაგავსაყრელზე“ გატანა „ნაგვის მანქანებით“.

თქვენც ეს გინდათ?!

ასე უნდა გავიგოთ თქვენი მათთან („ევროპულ საქართველოსთან“), როგორც „კონსტრუქციულ ძალასთან“ თანამშრომლობის სურვილი?!

რაღაც ხომ არ აირია დანიის სამეფოში?



ლევან დავითაშვილი

სხვას რას უნდა მივაწეროთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ **ლევან დავითაშვილის** განცხადება:

„ვფიქრობ, რომ ფაროსანა არ უნდა იყოს პარლამენტში ჩვენი განხილვის მთავარი თემა. რადგან ფაროსანას გარდა ძალიან ბევრი სხვა მიმართულებაა სოფლის მეურნეობაში. საბოლოოდ, რომ წარმოვიდგინოთ, ეს არის სასოფლო-სამეურნეო მავნებელი, მარტივად რომ ვთქვათ, ის არის მწერი უბრალოდ, და მაზე ამდენი ყურადღების გამახვილება ცოტა გადაჭარბებულიც არის და საპარლამენტო განხილვის მთავარი თემა ეს ნამდვილად არ უნდა იყოს“.

დაკვირვებით თუ წაიკითხავთ ამ ტექსტს დარწმუნდებით, რომ ფაროსანამ არა მხოლოდ თხილისა და სიმინდის მოსავალი გაანადგურა ქვეყნის დასავლეთში, არამედ სრულიად საქართველოში უარესი დამართა პროფესიონალთა კადრებს, რომელთა ადგილი დავითაშვილის მსგავსმა უმწიფარიძეებმა დაიკავეს (ან დანიშნეს): ფაროსანა, ბოლოს და ბოლოს, **„მიმართულებაა“**, თუ **„სასოფლო სამეურნეო მავნებელი“**, ანუ **„მწერი უბრალოდ“?**

ფაროსანა მავნებელია, აბა, მეზოზოური ხანის იურული პერიოდის ბალახისმჭრელი გიგანტი დინოზავრი ხომ არ არის, „საპარლამენტო განხილვის მთავარი თემა“ რომ გახდეს?! ამ ლოგიკით, დავითაშვილის კოლეგამ, ჯანდაცვის მინისტრმა **სერგეენკომ** ხმა არ უნდა ამოიღოს ეპიდემიებსა და პანდემიებზე, რომელთა გამავრცელებელი თვალით უხილავი ვირუსებია! თორემ ხარი ხომ მამალი ძროხაა, ეს მიშასდროინდელი სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრისგან **ბაკურ კვეზერელისგან** ვიცით.

მოკლედ:

**აი, რა მზის სიზმარია,**
**აირევი, ივერია...**
**აი დროშა აშორდია**
**აერების სიბერეა.**
**(გალაკტიონი)**

**არმაზ სანებლიძე**

**სანამ «ნაციონალები გაერკვევიან, რა უნდათ», ეგებ, ბატონმა კახა კალაძემ გაარკვიოს, რით განსხვავდებიან «ევროპელები» «ნაცებისგან». არაფრით. ანასხლეტებსაც ის სურთ, რაც ნაციონალებს — სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის აღდგენა, «ქართული ოცნების» ხელისუფლების «ისტორიის ნაგავსაყრელზე» გატანა «ნაგვის მანქანებით». თქვენც ეს გინდათ?! ასე უნდა გავიგოთ თქვენი მათთან («ევროპულ საქართველოსთან»), როგორც «კონსტრუქციულ ძალასთან» თანამშრომლობის სურვილი?!**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძალიან, ძალიან საეჭვოდ შემოგვაჩეჩეს „ჯაველინები“, რომლებიც, თხოვნა-მუდარის მიუხედავად, ათი წლის განმავლობაში არ მოგვყიდეს და, როცა თვითონ ჩათვალეს საჭიროდ, მაშინ შე-მო-გვა-ჩე-ჩეს(!), თანაც 75 მილიონად... და ახლა ხელის ერთი აქნევაღა დარჩა საიმისოდ, რომ იზორიამ, თავის მოადგილეებთან ერთად, ბოლო ხმაზე იყვიროს: „ნატოსთვის, ტრამპისთვის!“ და მტერს, ანუ რუსეთს ეკვეთოს.**

# «ჯაველინებთან» ჩახუტებული და აზიურ ფაროსანასთან მებრძოლი ერი

**საქართველოს ჯერჯერობით არაოფიციალურად, მაგრამ მაინც შესთავაზეს ნატოში შესვლა, თუმცა, სანამ მთავარ სათქმელზე გადავალ, ორ განცხადებას გაგაცნობთ: ერთი გენერალ-ლეიტენანტ ბენ ჰოჯესს ეკუთვნის. ეს კაცი უბრალო ვინმე არ გეგონოთ, ის ევროპაში შეერთებული შტატების არმიის მთავარსარდალი იყო, დღეს სამხედრო საკითხების ექსპერტია და ამერიკის პრეზიდენტის იდეოლოგად ითვლება. ჰოდა, ამ პატივცემულმა გვამმა ძალიან საინტერესო რამ განაცხადა:**

## როცა საქართველო მხოლოდ თბილისი დარჩება, ნატოს წევრობა უფრო გაიოლდება



ბენ ჰოჯესი და ლევან იზორია

## «სესიაშვილმა მწვანე აანთო, — მოდით, ტერორისტები გვყავსო. მერე, ალბათ, «ჯაველინების» გამოყენების დროც დაგვიდგება»

„საქართველოსთვის „ჯაველინების“ მიყიდვა მნიშვნელოვანია. საქართველოს საჰაერო ძალები ან შეიარაღების დიდი სისტემები, რომელთა შენახვაც ქვეყანას გაუჭირდება, არ სჭირდება. ამის ნაცვლად, მან უნდა იფიქროს იმაზე, რომ თავის დაცვა შეძლოს იქამდე, სანამ მეგობრები დასახმარებლად ჩავლენ. ყველამ უნდა დაინახოს, რომ ჩვენ საქართველოს მხარში ვუდგავართ და რომ მზად ვართ ასეთი მოქმედებისთვის, თუ ამის საჭიროება ოდესმე შეიქნა. ასევე გვინდოდა იმის გარკვევა, რა დრო დასჭირდებოდა გარკვეულ მოქმედებებს. შარშან საქართველოსთან ბევრი ვიმუშავეთ იმაზე, როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეს ქვეყანას რუსეთის შესაძლო თავდასხმაზე და, მოგეხსენებათ, ამის გამორიცხვა არ შეიძლება. როგორ შეიძლება ლანდშაფტის, იარაღის სისტემების, წინაღობების, ნაღმებისა და მსგავსი მეთოდების გამოყენება იმისთვის, რომ რუსეთს საკმარისი ტკივილი მიადგეს და საქართველო მისთვის მოუნელებელი ლუკმა იყოს. იყიდეთ ისეთი იარაღი, რომ რუსეთისთვის მოუნელებელი ლუკმა გახდეთ“.

„სახელფასო ხარჯების 53% 2018 წლის თავდაცვის ბიუჯეტით მიემართება მხოლოდ ხელფასებსა და სოციალურ დახმარებებზე, რაც ნატოს სტანდრატია. თუ 2015 წელს ეს იყო 66%, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ 53% გახდა. ამის შედეგად მეორე მნიშვნელოვანი სტანდარტი დავაკმაყოფილეთ, კერძოდ, მივმართეთ თანხები შეიარაღებაზე. თქვენ იცით, რომ თავდაცვის ბიუჯეტი უნდა აკმაყოფილებდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 2%-ს, რასაც ვაკმაყოფილებთ და მეტიც, შეიარაღებისთვის ნატო ითხოვს, რომ ამ ბიუჯეტიდან 20% იყოს გათვალისწინებული, რასაც ვაჭარბებთ, რაც არის ისტორიული მოვლენა. ისტორიული მოვლენაა სწორედ ის, რომ წელს შევიძინეთ ტანკსაწინააღმდეგო სისტემები, საუბარია „ჯაველინის“ სისტემებზე. წელს ვასრულებთ საფრანგეთთან ანტისაჰაერო სისტემის შეძენას, რომელიც პირველი ფაზით იყო გათვალისწინებული და გადავდივართ მეორე ფაზაზე. ეს ყველაფერი კეთდება იმ მიზნით, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა გაძლიერდეს, ნატოს სტანდარტებს დაუახლოვდეს და თითოეულმა მოქალაქემ თავი იგრძნოს უფრო დაცულად“, — ეს განცხადება კი საქართველოს თავდაცვის მინისტრ **ლევან იზორიას** ეკუთვნის.

ახლა რაც შეეხება შეთავაზებას. ნატო მზად არის თავის რიგებში ასე ნანატრი და ათასგზის დაპირებული მაპ-ის გარეშე მიგვიღოს, ანუ პირდაპირ გაგვიღოს კარი და ერთ დღეს ნატოს წევრ ქვეყანაში გაგვეღვიძოს, თუმცა ამ შემოთავაზებას, როგორც ახასიათებთ ხოლმე ჩვენს ამერიკელ და ევროპელ მეგობრებს, მდოგვი გადაუსვეს და იქვე **გვითხრეს: ნატოს წევრი თუ გახდებით, აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმა მოგიწევთო; უფრო კონკრეტულად კი: გაწევრების შემთხვევაში, ნატო საქართველოს მიმართ არ აამუშავებს მეხუთე პუნქტს, რომელშიც წერია, რომ ნატოს წევრ ქვეყანაზე თავდასხმა განიხილება მთელ ალიანსზე თავდასხმად და ნატოს წევრ ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს სადავო ტერიტორიაო.**

ახლა ნახეთ, რა ხდება: ნატო ამერიკითა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოებით ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. ამას განუწყვეტლივ გვიმეორებს და, როცა საქმე საქმეზე მიდგა, შემოგვითვალეს: კი ვაღიარებთ, მაგრამ თქვენ გამო ომის დაწყებას არ ვაპირებთო...

**ბევრი ვიფიქრე და ვერ მივხვდი, როგორ უნდა გვითხრან ამერიკამ და ევროპამ უფრო გასაგებად, — ბოლომდე მკიდია საქართველოს ტერიოტრიული მთლიანობა, აწმყოც და მომავალიც, მთავარია, როცა დამჭირდება, ტერიტორია — პოლიგონად, ხალხი კი საზარბაზნე ხორცად გამოვიყენოო?! ამაზე მეტი რა და როგორ უნდა თქვან, მართლა ვერ ვხვდები. და რაც ყველაზე საინტერესოა, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ამის „გაპრავებით“ არიან დაკავებულნი და იმას ამბობენ, ამერიკამ და ევროპამ შანსი მოგვცა, ოფიციალურად დავთმოთ აფხაზეთი და ოსეთი, და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთო.**

ეს ჩვენი თავდაცვის მინისტრი კიდევ გაბადრული სახით გაიძახის: ყველა ვალდებულებას ვასრულებ, აგერ, ბიუჯეტის 20% შეიარაღებაზე მივმართეო. არადა, იმის თქმა დაავიწყდა იზორიას, ხელქვეითებს ხელფასები რომ შეუმცირა და ზედა რგოლი პრემია-დანამატებს რომ არ იკლებს. ისიც დაავიწყდა იზორიას, შეიარაღება კი არა, ლუკმაპური რომ უჭირს მოსახლეობის ნახევარზე მეტს და ნებისმიერი მინისტრის მხოლოდ ერთი დღის სახარჯ ფულს ათასობით ოჯახი მთელი თვის განმავლობაში რომ იზოგავს. ხანდახან მგონია, რომ ჩვენ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ხელისუფლება — სხვა სამყაროში. იზორიაზე ნაკლები სისულელე კი არ თქვა პრემიერმა, როცა განაცხადა, 500 ათას ლარზე ნაკლები ბრუნვა თუ არ ექნება მცირე მეწარმეს, გადასახადებს შევუმცირებთო. და იქვე დააყოლა: დაახლოებით 200 ათასი მცირე მეწარმე იგრძნობს შვებასო. **ბატონო გიორგი, ფიქრობთ, რომ 200 ათას ოჯახს საქართველოში მცირე საწარმო აქვს და, შესაბამისად, სულ ცოტა მილიონამდე ადამიანი უზრუნველად ცხოვრობს? ანუ ისე ცხოვრობს, რომ წელში გამართულად ითვლება?!** ამ სისულელეზე — სხვა დროს და იმ სხვა დროს ზუსტ ციფრებსაც მოგაწვდით, ახლა ისევ ნატოს და მის შემოთავაზებას დავუბრუნდეთ.

**„საქართველომ უნდა იფიქროს იმაზე, რომ თავის დაცვა შეძლოს იქამდე, სანამ მეგობრები დასახმარებლად ჩავლენ. ყველამ უნდა დაინახოს, რომ ჩვენ საქართველოს გვერდით ვუდგავართ და რომ მზად ვართ ასეთი მოქმედებისთვის, თუ ამის საჭიროება ოდესმე შეიქნა“,** — თქვა ბენ ჰოჯესმა და ხბოსავით აღტკინებულმა ქართველმა სარდლობამ (ვუმენ-სტაფმა) ტაში დაუკრა. არავის გაუვლია თავში აზრად მარტივი კითხვა: **2008 წელს რომ გაჩნდა ამის საჭიროება და საქართველომ ხოხვით გაქცეული მთავარსარდლის ფონზე კბილებით იმდენ ხანს იბრძოლა, ჩამოსვლასა და დახმარებას, მეგობრები კი არა, სხვა პლანეტიდან მოასწრებდნენ, სად იყო ამერიკა, ევროპა?!** ან როცა მოაღწიეს ჩვენს სანაპიროს, რა მოგვიტანეს, პამპერსებისა და წყლის გარდა?! მაგრამ სიტყვა არავინ შეუბრუნა ჰოჯესს და არ შეუბრუნა იმიტომ, რომ „ჰაერში მოხსნიდნენ“ მინისტრს თავის მოადგილეებიანად და უცხოურ ვოიაჟში მინისტრად წასული იზორია ჩვეულებრივ მოკვდავად დაუბრუნდებოდა სამშობლოს. ჩვეულებრივი მოკვდავობა კი არავის უნდა, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე, იმის ხარჯზე, რის გამოც ასიათასობით ქართველი გაწყდა. ამ ყველაფრის პარალელურად, ამერიკულმა გამოცემამ დაწერა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს მებრძოლი ტერორისტები საქართველოში ბრუნდებიან. უფრო ზუსტად კი, საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც სირიაში იბრძოდნენ, ახლა ისევ სამშობლოში დაბრუნდნენ, რადგან თურმე ამ ეტაპზე „ისლამური სახელმწიფო“ დასუსტდა. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილმა** ამაყი ღიმილით (ასეთებიც იცის) განაცხადა, ჩვენი ციფრები „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში მოყვანილ მონაცემებს დიდი სხვაობით არ ემთხვევა და, გარდა ამისა, ჩვენ პარტნიორი ქვეყნების სადაზვერვო მონაცემებს ვეყრდნობით და ყურადღებას მაქსიმალურად ვაქცევთ იმას, რომ დადგინდეს, „ისლამურ სახელმწიფოში“ კონკრეტულად ვინ იმყოფებოდა და ტერორისტულ ჯგუფებთან კავშირი ვის ჰქონდაო. **სესიაშვილმა ისიც თქვა, საქართველოდან „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს საომრად წასული „ბოევიკების“ უმრავლესობა დახოცეს, დანარჩენი კი დაახლოებით 50 კაციაო, ანუ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ არაპირდაპირ, მაგრამ აღიარა, საქართველოში 50 ტერორისტი დაბრუნდაო.** არის თუ არა ეს პირდაპირი მინიშნება იმისა, რომ რომელიმე ქვეყანას საქართველოში ტერორისტების ლიკვიდაციის მიზნით სპეცოპერაციის განხორციელების სურვილი გაუჩნდეს, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ **სესიაშვილმა მწვანე აანთო, — მოდით, ტერორისტები გვყავსო.** მერე, ალბათ, „ჯაველინების“ გამოყენების დროც დაგვიდგება და...

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ძალიან, ძალიან საეჭვოდ შემოგვაჩეჩეს „ჯაველინები“, რომლებიც, თხოვნა-მუდარის მიუხედავად, ათი წლის განმავლობაში არ მოგვყიდეს და, როცა თვითონ ჩათვალეს საჭიროდ, მაშინ შე-მო-გვა-ჩე-ჩეს(!), თანაც 75 მილიონად... და ახლა ხელის ერთი აქნევაღა დარჩა საიმისოდ, რომ იზორიამ, თავის მოადგილეებთან ერთად, ბოლო ხმაზე იყვიროს: „ნატოსთვის, ტრამპისთვის!“ და მტერს, ანუ რუსეთს ეკვეთოს.** შედეგად, ისევ მოადგება შავი ზღვის ნავმისადგომს ამერიკული ხომალდი და ისევ მოგვიტანენ წყალსა და პამპერსებს. მერე კი, **როცა საქართველო მხოლოდ თბილისი დარჩება, ნატოს წევრობა უფრო გაიოლდება...** მით უმეტეს, თუ დაკარგულის დაბრუნებას არ მოვითხოვთ. და იმაზეც ვიფიქროთ, ამ ყველაფრით სხვა მეზობლებმა არ ისარგებლონ და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებამდე აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი არ აგვაცალონ ფუკასავით! ამისკენ დიდი ნაბიჯებით მივდივართ და თანაც გვიმტკიცებენ, რომ ეს ყველაფერი კარგი და მისაღებია...

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. არც ის დაგავიწყდეთ, რომ იმ დევნილებს, რომლებსაც სახელმწიფო ბინებით უზრუნველყოფს, მალე დევნილის სტატუსს ჩამოართმევენ და დევნილებიც აღარ გვეყოლება, აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე პრეტენზია აღარ გვექნება და ვიცხოვრებთ „ჯაველინებთან“ ჩახუტებული და აზიურ ფაროსანასთან მებრძოლი ერი... უფრო ზუსტად კი: „საშოვარს გადაგებული, გათითოკაცებული, ყოფილი ერი“.**

**ეს ადამიანები, რომლებიც აქეთ გვედავებიან, თითქოს ჩვენ „რუსულ მითებს“ ვიჯერებდეთ, სინამდვილეში აყოლილი არიან სრულიად შტერულ ამერიკულ ლეგენდებს და რუსული არმიის „დამარცხებადობის“ დაჯერებით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ, სურთ, რუსეთის შეიარაღებული ძალები უკანასკნელ „ფარჩაკებად“ წარმოაჩინონ, ამერიკელი ჯარისკაცი კი — ბავშვობაში კინოში ნანახ „რემბოდ,“ რომელსაც მარტოდმარტო შეუძლია რუსული დივიზიის განადგურება.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანამედროვე მსოფლიოში ომი ბიზნესის ერთ-ერთ სახეობად რომ იქცა, ეს თვალსაზრისი არც ახალია და არც ჩემი მოგონილი. ისევე, როგორც ჩვეულებრივ ინდუსტრიულ მსხვილ ბიზნესში, ომების ბიზნესშიც მხოლოდ მსხვილი ფიგურები მონაწილეობენ და იქ ჩვენნაირი „წვრილი მოვაჭრეების“ ადგილი არ არის. ვიეტნამის, კორეის, ერაყის, ავღანეთის, პაკისტანის, ბალკანეთის შემდეგ ომის ბიზნესმა სირიას მიაკითხა და ორი უდიდესი სამხედრო სახელმწიფო თავის უახლეს იარაღს ახლა უკვე სირიაში ცდის, როგორც სამხედრო სპეციალისტები ამბობენ ხოლმე, „საომართან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში“.**

# ქართველი «რემბოები» რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ



**ერთ დიდ მოღვაწეს, ილიას უნივერსიტეტის პროფესორ გიგი თევზაძეს, სულ რუდუნებით ჩამოუწიკწიკებია — «საქართველოს მიმართ რუსეთის დანაშაულთა ქრონიკა 15 პუნქტად» (ჩაწერეთ ეს ისტყვები «გუგლის» საძიებო ველში). რა თქმა უნდა, პროფესორ გიგის ეს ნაღვაწი «რუსული პროპაგანდის» ჩემნაირი გამავრცელებლების წინააღმდეგ არის მიმართული და მიზნად ისახავს, დაგვაჯეროს, როგორი «ხიხიაა» რუსეთი, მაშინ, როდესაც ჩვენ ვცდილობთ, ის საზოგადოებას დავანახვოთ როგორც «კაკა». აი, ასეთი პრიმიტიული აზროვნება არის სწორედ ჩვენი ერის დამღუპველი**

ჩვენ რა გვინდა და რატომ გვაინტერესებს ასე აქტიურად სირიული პოლიგონი? — ეს სწორედ ის კითხვაა, რომელზეც მსურს პასუხის გაცემა და ამის ერთადერთი პასუხი, ალბათ, არის ის, რომ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი მართლაც დაავადებულია „ბალეშჩიკობის“ სენით. ეს სულაც არ არის სპორტული „ბალეშჩიკობა“ და ეს დაავადებული ქართველები ნებისმიერ „ტიფოზიზე“ მეტად გულშემატკივრობენ ამერიკულ სამხედრო შენაერთებს, რომლებიც სირიის ტრიტორიაზე რუსულ ჯარს უპირისპირდებიან. ორივეს კისერიც უტეხიაო, — იტყვის ნორმალური და გონიერი ქართველი და მართალიც იქნება, მაგრამ საქმეც სწორედ ეგაა, რომ საზოგადოების იმ დაავადებული ნაწილის საქციელი, აზროვნება და საჯარო პროპაგანდა, სავალალო გავლენასაც ახდენს ჩვენი სახელმწიფოს ბედზე, მის მომავალზე. თაობების აზროვნება სულ უფრო მახინჯდება, ჩლუნგდება და ამერიკულ ნარატივებსა თუ ყოვლად უაზრო ტრენდებზე დადის. ეს კი, საბოლოოდ გვაძლევს ისეთივე შედეგს, როგორიც 2008 წელს მივიღეთ. „კი მაგრამ, ნუთუ ჭკუა ვერ ვისწავლეთ?“ — ლოგიკური შეკითხვა გაუჩნდება ბევრს. ჭკუა, ალბათ, ვისწავლეთ კიდეც და სწორედ ამიტომაც იყო ბოლო 10 წელიწადი საქართველოსთვის მშვიდობიანი, მაგრამ, მოგეხსენებათ, 10 წელი არც ისე ცოტა დროა. 2008 წელს 10 წლის რომ იყვნენ, ისინი ახლა 20 წლისანი არიან და მათ ტვინებში, როგორც ჩანს, კვლავ ჯდება მამებისა თუ უფროსი ძმების მიერ მწარედ გამოცდილი ტრენდები „რუსული ჟანგიანი ტანკების“, „რუსის უტვინო ვანია-სალდაფონის“, „ომის არმცოდნე ლოთი რუსი გენერლების“ შესახებ. ყველაზე სასაცილო კი არის ის, რომ ამერიკული არმიის „რემბოობაში“ დარწმუნებული ადამიანები აქეთ გდებენ ბრალს, თითქოს „რუსული არმიის დაუმარცხებლობის“ მითისა გწამს, თუ იოლად არ იჯერებ დაუჯერებელ „ფაქტებს“. მაგალითად, ლამის ერთი თვეა, არ წყდება ჟივილ-ხივილი იმ „ფაქტის“ გამო, რომ სირიაში, ერთ-ერთი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის იერიშისას ამერიკელმა სამხედროებმა, სულ რაღაც, ნახევარ საათში ადგილზე დაადუღეს რუსული მოიერიშე დივიზიები და რუსებს 600 ჯარისკაცი მოუკლეს!

რას გვაძლევს ეს ჩვენ, ქართველებს და რატომ გვიხარია ასე ძალიან „რუსების გაფარჩაკება“? — ეს სხვა თემაა და ჯანდაბას, ამას „ოკუპანტის მიმართ ჩამოყალიბებული ბოღმა“ ვუწოდოთ. მთავარი მაინც ისაა, რომ, **თუ ვინმემ ეჭვი გამოთქვა, — არ იქნება ეგ მთლად ასე, რეგულარული რუსული არმიის დანაყოფები ეგრე კიტრებივით არ გადადიან იერიშზე, რომ ვინმემ ისინი ნახევარ საათში გაანადგუროს და 600-კაციანი მსხვერპლით დაახევინოს უკან, მით უმეტეს, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეს ერთი ნაკაწრით კი არ აქვსო — აი ეს დაეჭვებული ადამიანი იმწამსვე გამოცხადებულია „რუსების მეხოტბედ“ და მას სოციალურ ქსელში ირონიულად უხსნიან, რომ „რუსების დაუმარცხებლობა“ მითია,** რეალურად კი, რუსეთის „უძლეველი არმიის“ დამარცხება იოლია. ეს მაშინ, როდესაც არავის არაფერი უთქვამს რუსეთის არმიის „დაუმარცხებლობაზე“, უბრალოდ, ადამიანმა ეჭვი გამოთქვა, რომ ასე გზააბნეული გოჭებივით არ მიაწყდებოდნენ ქურთების ნავთობის ქარხნის ამერიკულ დაცვას რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები.

სადმე რომ ამოგვეკითხა, რუსული რეგულარული არმიის ნაწილებმა იერიში მიიტანეს იმ პოზიციებზე, რომელსაც ამერიკული არმია იცავს, მაგრამ რამდნიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქნენ, უკან დაეხიათ, ანუ დამარცხდნენ და რუსულ მხარეს არის 10, თუნდაც 20 ან 30 მოკლული, ხოლო ამერიკელების მხრიდან 5 ჯარისკაცს მაინც რაღაც ნაკაწრი აღენიშნებაო, ამას უპრობლემოდ დავიჯერებდით და კრინტსაც არ დავძრავდით. ანუ, რუსული არმიის ქვედანაყოფების დამარცხება ნამდვილად არ გაგვიკვირდებდა, მაგრამ, როდესაც საუბარია ნახევარ საათში რუსული რეგულარული არმიის 600 მოქმედი მოიერიშის განადგურებაზე, აქ ეჭვის გამოთქმა, არა გვგონია, „რუსული არმიის დაუმარცხებლობის მითის“ მხარდაჭერას ნიშნავდეს. პირიქით, საქმე და მთელი უბედურებაც ის არის, რომ ქართველი საზოგადოების არც ისე მცირე ნაწილს ამერიკულ არმიაში „რემბოების“ არსებობისა სჯერა. სწორედ ეს განაპირობებს შემდეგ ცრუ მოლოდინებს და ტრაგიკულ შედეგებს ამერიკული არმიის დახმარებისა და „რუსულ ჟანგიანი ტანკებთან“ მათი დიდი უპირატესობის რწმენის გამო.

ანუ, **ეს ადამიანები, რომლებიც აქეთ გვედავებიან, თითქოს ჩვენ „რუსულ მითებს“ ვიჯერებთ, სინამდვილეში აყოლილი არიან სრულიად შტერულ ამერიკულ ლეგენდებს და რუსული არმიის „დამარცხებადობის“ დაჯერებით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ, სურთ, რუსეთის შეიარაღებული ძალები უკანასკნელ „ფარჩაკებად“ წარმოაჩინონ, ამერიკელი ჯარისკაცი კი — ბავშვობაში კინოში ნანახ „რემბოდ,“ რომელსაც მარტოდმარტო შეუძლია რუსული დივიზიის განადგურება.**

სადმე რომ ამომეკითხა ინფორმაცია, იერიშზე გადასული ამერიკული რეგულარული დივიზიები რუსებმა ნახევარ საათში გაანადგურეს და 600 ჯარისკაცი მოუკლეს ისე, რომ თვითონ ნაკაწრიც არ მიუღიათო, ნამდვილად არ დავიჯერებდი ასე იოლად. აი, ამათ კი სჯერათ ამერიკული არმიის ასეთი „სასწაულმოქმედებისა“ და მერე აქეთ გვდებენ ბრალს, თითქოს ჩვენ ვართ „რუსული არმიის ხიბლში ჩავარდნილები.“ თუ სამართალმა „ჩაილურის წყალი დალია“, ლოგიკა მაინც სადღაა, ხალხო? კი ბატონო, შეტაკება კონტაქტური არ ყოფილა, მაგრამ **დავიჯეროთ, რუსული რეგულარული არმია ისე გამოტვინდა, რომ დივიზიას შეტევაში, ჰაერიდან მოუმზადებლად, ასე კიტრებივით უშვებს? და მერე 600 შეჯგუფებული რუსი ჯარისკაცი მოთმინებით ელოდება, როდის დაეცემა თავზე ამერიკული რაკეტა?**

სინამდვილეში, ამერიკულმა პროპაგანდამ რუსული კერძო სამხედრო კომპანიები — „ვაგნერი“ და „ვესნა“, რომლებიც მართლაც უაზროდ და საჰაერო ქოლგის გარეშე წავიდნენ ქურთების წინააღმდეგ შეტევაზე, „რუსული რეგულარული ჯარის დივიზიებად“ გაასაღა და ქართველების ნაწილმაც სასურველი რეალობად აღიქვა — დაიჯერა.

ისე, მინდა, ვკითხო ამერიკელებს — **თუ რეალურად შეგიძლიათ ყოველ ნახევარ საათში 600 რუსი სამხედროს განადგურება და ამას არ აკეთებთ, მაგარი დამპლები რომ გამოდიხართ, ხვდებით?**

სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის და სწორედ ასეთი გულუბრყვილო დაჯერება არის იმის წინაპირობა, რაც გვემართება ხოლმე მერე ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ-დამპყრობელ-ოკუპანტთან, რაც გინდათ დაარქვით, აი, მაგ ქვეყანასთან ურთიერთობისას.

„უბრალო მოკვდავთ“ რაღა მოვთხოვოთ და, აგერ **ერთ დიდ მოღვაწეს, ილიას უნივერსიტეტის პროფესორ გიგი თევზაძეს, სულ რუდუნებით ჩამოუწიკწიკებია „საქართველოს მიმართ რუსეთის დანაშაულთა ქრონიკა 15 პუნქტად“ (ჩაწერეთ ეს ისტყვები „გუგლის“ საძიებო ველში). რა თქმა უნდა, პროფესორი გიგის ეს ნაღვაწი „რუსული პროპაგანდის“ ჩემნაირი გამავრცელებლების წინააღმდეგ არის მიმართული და მიზნად ისახავს, დაგვაჯეროს, როგორი „ხიხიაა“ რუსეთი, მაშინ, როდესაც ჩვენ ვცდილობთ, ის საზოგადოებას დავანახვოთ, როგორც „კაკა“. აი, ასეთი პრიმიტიული აზროვნება არის სწორედ ჩვენი ერის დამღუპველი.**

ჯერ ერთი — „რუსეთი კაკა არისო“ არასოდეს არავის უთქვამს და აქ საუბარია მხოლოდ ნაკლები ზიანის მომტანი „მტრის“ არჩევაზე. და, როდესაც ვსაუბრობთ „ნაკლებ ზიანზე“ ეს უკვე თავისთავად გულისხმობს, რომ „ზიანი“ არსებობს.

სხვა თემაა კიდევ, **რატომ არაფერს ამბობს ბატონი პროფესორი იმ სარგებელზე, რომელიც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობამ მოუტანა? აკი, ორ სახელმწიფოს კი არა, ორ პიროვნებას შორის ურთიერთბაც კი ყოველთვის ზიანისა და სარგებლის ბალანსზეა აწყობილი, და მოდი, რუსეთთან კავშირით მიღებული სარგებელიც დავთვალოთ, ვინძლო 15-ზე გაცილებით მეტი გამოვიდეს, ჰა?**

* პროფესორი თევზაძის მიერ ჩამოწერილი „ზიანების“ გარკვეული ნაწილი ძალიან სასაცილოა. მაგალითად, **„აღა-მაჰმად ხანი რუსების წაქეზებითა და დაფინანსებით დაესხა თავს სქართველოს“-ო, გვამცნობს პროფესორი. როგორც ჩანს, რუსების გარეშე, ბატონი აღა-მაჰმადი ძალიან კეთილი ყოფილა და ქართველების დარბევას გულშიაც არ გაივლებდა.**

* ამავე „სერიიდანაა“ ის, რომ, **თურმე სამხრეთით მდებარე ქართული მიწები რუსებმა სულ ძალით „შეტენეს“ თურქეთს.** ის, რომ რუსეთის შემოსვლამდე ეს მიწები თურქებს ისედაც დაპყრობილი ჰქონდათ და იგი სწორედ რუსებმა წაღლიტეს უდიდესი სისხლის ფასად, ბატონ პროფესორს ავიწყდება.

* საინტერსოა, აგრეთვე, **ბოლშევიკების დანაშაულების მიწერა რუსებისთვის.** ამ 15 „ზიანიდან“ 4 სწორედ ბოლშევიკებისდროინდელია და აქაც ავიწყდება პროფესორს, რომ ბოლშევიკებმა ქართველებზე მეტი რუსები დახვრიტეს, აწამეს და გადაასახლეს. ეს არ იყო ეროვნული ნიშნით ჩადენილი დანაშაულები და აქ რუსეთ-საქართველოს ურთიერთბა არაფერ შუაშია.

* თუმცა, ყველაზე სასაცილო მაინც ის ორი „ზიანია“, რომლის მოყენებასაც თურმე „აპირებდნენ“ რუსები ქართველებისთვის. ანუ, რუსებს ეს არ გაუკეთებიათ, მაგრამ პროფესორმა თევზაძემ იცის, რომ ისინი ამას აპირებდნენ. ერთი ასეთი „ზიანი“ **დეკაბრისტებს** ჰქონიათ ჩაფიქრებული. სხვათა შორის, ეს დეკაბრისტები თვითონ რუსებმა დაიჭირეს, გადაასახლეს და შემდეგ დახვრიტეს.

მეორე ზიანი კი **ნიკიტა ხრუშჩოვს** ჰქონია ჩაფიქრებული, მაგრამ იმასაც, დეკაბრისტების მსგავსად, ვერ მოუსწრია.

საბოლოოდ, 300 წლის განმავლობაში ჩვენი „ყველაზე სასტიკი“ დამპყრობელი რუსეთი გვაყენებს 13 ზიანს, პლუს 2 „ჩაფიქრებული“ აქვს და ვერ ასწრებს. ხოლო, თუ გამოვაკლებთ ბოლშევიკურ 4 ზიანს, გამოდის, რომ 300 წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიას ჩვენთვის, სულ რაღაც, 9 ზიანი მოუყენებია.

ბატონო პროფესორო, ბრავო-მეთქი, გეტყოდით, მაგრამ, აღა-მაჰმად-ხანისა არ იყოს, მართლაც ნათელია, ვისი დაფინანსებითაც „არბევთ“ მომავალი თაობის ტვინებს და ამიტომ ასე გეტყვით, უფრო გესიამოვნებათ — **სალოლ, ეფენდი, სალოლ!**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღევანდელ უმძიმეს ვითარებაში, როცა ქვეყანა დემოგრაფიული და იდეოლოგიური კატასტროფის ზღვარზეა, მეჩეთის აშენებაზე საუბარიც არ უნდა იყოს. ვინც ამას ითხოვს და მხარს უჭერს, ფულზე გაყიდული მტერია. თუმცა რას აკეთებენ ბათუმელები, როცა ხედავენ, რომ ვილაცები მეჩეთს ითხოვენ, ვერ გამიგია. მე თუ მკითხავთ, იქ ყველა მსგავსი რაღაცის დროს ათი იმდენი მართლმადიდებელი უნდა დადგეს და მოითხოვოს ამ ადამიანების გარეკვა თურქეთში. ისინი არ არიან ქართველები, მათ გვარები აქვთ მხოლოდ ქართული. რეალურად კი იმართებიან თურქული ფულით და მოქმედებენ თურქული ცნობიერებით“.**

**მამა დავითი (ისაკაძე):**

# ეს არის თურქული ექსპანსიის ნათელი გამოვლინება

**უცხოეთიდან დაფინანსებული რიგი „არასამთავრობო ორგანიზაციების“ ზემოქმედების შედეგად 20 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მუსლიმთა თემის მიერ ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გრანდიოზული მეჩეთის აშენების მოთხოვნით შეტანილი სარჩელი სასწრაფოდ განიხილა. პროცესზე, რომელიც ყოველგვარ ობიექტურობასა და სამართლებრივ ლოგიკას იყო მოკლებული, მოპასუხემ — მერიის იურისტმა, მოსარჩელეს— მუსლიმთა თემს, დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა და ამ მიზნით შეხვედრების გამართვა შესთავაზა. ამის შემდეგ მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძემ სხდომა ერთი თვით გადადო და მხარეებს შეთანხმების მისაღწევად 30 კალენდარული დღე მისცა. თემის ინტერესებს პროცესზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის “ იურისტი ეთერ გვრიტიშვილი იცავდა. მისი განმარტებით, ორგანიზაცია, „მესამე სექტორის“ სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ყველაფერს გააკეთებს, რათა ქვეყანაში ყველა რელიგიური ჯგუფის, მათ შორის, მუსულმანური თემის ინტერესებიც სათანადოდ იყოს დაცული.**

ბათუმში ახალი გრანდიოზული მეჩეთის აშენების მოთხოვნით მუსლიმანთა თემმა ქალაქის მერიას დაახლოებით ერთი წლის წინათ მიმართა. მაგრამ უარი მიიღო და მიზეზებიც განემარტა. არგუმენტები თემისთვის ყურადსაღები არ აღმოჩნდა და მოგვიანებით დავა სასამართლოში გაგრძელდა. პარალელურად, საქმეში „მესამე სექტორიც“ ჩაერთო და, როგორც სასამართლო სისტემა, ისე კონკრეტული მოსამართლე კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა. ამის შემდეგ ყველა ანგარიშსა თუ მოხსენებაში, რომელიც „დემოკრატიას“ ეხებოდა, „ენჯეოები“ ამ საკითხზე აპელირებდნენ. მათივე ძალისხმევით პროცესში უცხოური „არასამთავრობო“ ორგანიზაციებიც ჩაერთნენ. მცირე ხნის წინათ ამ საქმეზე განცხადებები ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინტიტუტმა“ (TDI) და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ — გაავრცელა. მათი განმარტებით, ბათუმის მერია უხეშად არღვევს მუსლიმანური თემის ინტერესებს, ხოლო სასამართლო სისტემა ამ პროცესის ინსტრუმენტია, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. განცხადებიდან ზუსტად ერთ კვირაში სასამართლო პროცესი დაინიშნა. მერიაც და თვითონ მერი **ლაშა კომახიძე,** რომელიც მანამდე არგუმენტებით ასაბუთებდა თემის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას, უცებ ალაპარაკდა შეხვედრებსა და პოზიციების შეჯერებაზე. როგორც ჩანს, უცხოეთიდან დაფინანსებული „მესამე სექტორის“ გავლენა ხელისუფლებაზე უკვე ისე დიდია, მიუხედავად ყველა სამართლებრივი თუ არქიტექტურული დასაბუთებისა, რომ კონკრეტულ ადგილას კონკრეტული ნაგებობის, ამ შემთხვევაში მეჩეთის, აშენება არ შეიძლება, ორ „არასამთავრობო ორგანიზაციას“ მაინც თავისი გააქვს. მეტიც, ეს ორგანიზაციები ხელისუფლებას ერთგვარ პრესინგში ამყოფებენ და აიძულებენ, ყველა ნაბიჯი მათ მიერ გაწერილი პოლიტიკური დღის წესრიგის შესაბამისად გადადგან...

**ვის ინტერესებშია ბათუმში ახალი მეჩეთის აშენება და რა საფრთხეებს შეიცავს ეს სახელმწიფოსთვის? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ისაკაძე):**

**— მამაო, წინა კვირას ბათუმის საქალაქო სასამართლომ განიხილა მუსლიმი თემის სარჩელი, ახალი მეჩეთის აშენების თაობაზე. პროცესზე მათ ინტერესებს უცხოეთიდან დაფინანსებული ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იცავს. ვის სჭირდება საქართველოში ახალი მეჩეთების აშენება და, საერთოდ, სხვა რელიგიური კონფესიების გაძლიერება?**

— ეს ძალიან სახიფათო და კატასტროფული მოვლენაა დღევანდელი საქართველოსთვის იმიტომ, რომ **ახლოვდება ყარსის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის თარიღი. 2021 წლის 13 ოქტომბერს გასდის ხელშეკრულებას ვადა და თურქები ითხოვენ არა მხოლოდ ბათუმის, მთლიანად აჭარის შეყვანას თავიანთ იურისდიქციაში. ეს არის თურქული ექსპანსიის ნათელი გამოვლინება და ამის ფონზე მოსახლეობა, რომელიც ეთნიკურად ქართველია, მაგრამ სულით, მრწამსით ემსახურება თურქეთის ინტერესებს, ცდილობს, ხელი შეუწყოს ამ პროცესის განვითარებას.** კიდევ ვიმეორებ — მათი სულიერი ცენტრი არის თურქეთი და ეს ადამიანები მხოლოდ ნომინალურად არიან ქართველები.

რაც შეეხება იმ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ მეჩეთების მშენებლობას და ხშირად საუბრობენ სხვადასხვა რელიგიური კონფესიის უფლებებზე, ისინი არიან მტრები საქართველოსი. ისინი პირდაპირ იმართებიან დასავლეთიდან და სინამდვილეში მათ ვილაცის უფლებები კი არ ადარდებთ, არამედ აღიზიანებთ ერთადერთი რამ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია იყო და დღემდე რჩება ქართველი ერის მთავარ სულიერ ციხესიმაგრედ. აი ამიტომაა მათი მიზანი საქართველოს — მართლმადიდებელი სახელმწიფოს, დაშლა და დაქუცმაცება. აქვე მინდა, ჩვენს საზოგადოებაზეც ვთქვა. **წინა და მოქმედი ხელისუფლება, ფაქტობრივად, ტოლს არ უდებენ ერთმანეთს იმაში, რასაც ანტიეროვნული, ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური საქმიანობა ჰქვია. გააფთრებით ებრძვიან ყველაფერს, რაც ჩვენს თვითმყოფადობას განაპირობებს. ამის ფონზე, სიმართლე გითხრათ, გამკვირვებია, რატომაა ხალხი დადუმებული. რატომ არ იღებს საზოგადოება ხმას იმაზე, რაც ხდება და რა უბედურებაც გარდაუვალია მომავალში, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა...**



## «ხელისუფლება არასახელმწიფოებრივად აზროვნებს»

**— რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ?**

— **ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, მათ შორის, ის აჭარელი მოსახლეობაც და ყველამ აიმაღლოს ხმა. სხვანაირად პრობლემა ყოველთვის იარსებებს, და ერთ დღესაც აჭარიდან ქართველებს რომ გამოყრიან, მათ ნაცვლად კი თურქები ჩასახლდებიან, გვიანი იქნება ვიშვიში.** ბათუმში უკვე ისედაც არის თურქული კვარტლები, თუმცა თბილისშიც არანაკლებია. კიდევ ვიმეორებ, ხელისუფლება აბსოლუტურად უნიათოა, არასახელმწიფოებრივად აზროვნებს და მეტიც, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართველი ხალხისთვის გენოციდი მოეწყოთ.

**— დავუბრუნდეთ ყარსის ხელშეკრულებას, რა შეიძლება მოხდეს მას შემდეგ, როცა ამ დოკუმენტის ვადა ამოიწურება? რისთვის უნდა ვემზადოთ, რა პროცესები დაიწყება?**

— ვინც გაეცნობა ამ ხელშეკრულებას, ნახავს, რომ მასში ჩადებულია ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის პირდაპირი საფრთხის შემცველი რამ. კერძოდ, თუ თურქეთი ჩათვლის, რომ საქართველო მასთან არაკეთილმეზობლურ ურთიერთობაშია, ამოქმედდება დოკუმენტის ძირითადი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თურქეთს გადაეცემა საქართველოს გარკვეული ტერიტორიები. ცხადია, **აქ საუბარია აჭარაზე და, თუ არ ვცდები, გურიის ტერიტორიის რაღაც მონაკვეთზეც. მიჩნდება შეკითხვა: ვინ გვიშველის, როცა ეს მოხდება — ევროპა და ამერიკა? როგორც 2008 წლის აგვისტოში დაგვეხმარნენ და დაგვიცვეს, ისე დაგვიცავენ?!** ძალიან დიდი საფრთხის წინაშეა საქართველო. თუმცა აქ მხოლოდ თურქეთი არ არის. **ქვემო ქართლში აზერბაიჯანული კომპანია „სოკარი“ აფინანსებს მეჩეთების მშენებლობას და ეს ცხადყოფს, რომ კიდევ ერთი „კეთილი“ მეზობელი გვყავს თურქეთთან ერთად. სხვათა შორის ამ „კეთილი“ მეზობლის „მეგობრული“ პოლიტიკის შედეგად უკვე სავალალო პირობებში უწევთ ინგილო ქართველებს ცხოვრება. იქ, ფაქტობრივად, გენოციდი მიდის ქართველების — პირჯვრის გადაწერის უფლებას არ აძლევენ და ტაძარში წირვა-ლოცვა ვერ ჩაუტარებიათ, არათუ რამის აშენებაზე მიდის საუბარი.**

**— როგორც ვიცი, სკოლებში ქართული ენის სწავლებაც პრობლემაა...**

— ყველანაირად ავიწროებენ, დედაენა თავზე დაახიეს ყველას, ვინც კი ამ თემაზე ხმა ამოიღო. აი ასეთი „კეთილი“ მეზობლების გარემოცვაში ვართ და ამიტომ, ვფიქრობ, რომ ხალხმა ხმა უნდა ამოიღოს.

**— რა ფორმით და როგორ წარმოგიდგენიათ ეს ყველაფერი? ეკლესია და სამღვდელოება თავის დროზე აქტიურად იბრძოდა ბათუმში მეჩეთის აშენების წინააღმდეგ, მაგრამ დღეს, როგორც ხედავთ, ორი „არასამთავრობოს“ პოზიცია უფრო მნიშვნელოვანია ხელისუფლებისთვის.**

— ზუსტად ამიტომაა საჭირო ხმის ამოღება. უნდა გამოვიდეს აჭარის მოსახლეობა და, ვინც მეჩეთის აშენებას ითხოვს, გაყაროს. რას ითხოვენ, რა, მეჩეთები აკლიათ?! ცარიელია მათი მეჩეთები, მაგრამ გამოდიან ამ სულგაყიდული „არასამთავრობოების“ წაქეზებით და ქუჩაში ატარებენ თავიანთ რაღაც რიტუალებს, ვითომ შენობა არ აქვთ. ამ დროს აჭარის მოსახლეობა, მართლმადიდებლებს ვგულისხმობ, იქვე დგას და თითქოს არაფერი... სახლებიდან რომ გამოყრიან და მხოლოდ თბილისი შეგვრჩება ხელში, ისიც თუ შეგვრჩა, მერე ნახონ... ახლა რაც შეეხება არგუმენტს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის, თემის მოთხოვნა დაიცვას და გაითვალისწინოს, **შვეიცარიაში სულ ოთხი მეჩეთია, მეხუთის აშენება რომ მოინდომეს, რეფერენდუმი ჩატარდა და ხალხს ჰკითხეს, უნდოდა თუ არა. საზოგადოების პოზიცია იყო უარი და მორჩა. ჩვენ რა, შვეიცარიაზე მეტი დემოკრატია გვაქვს?!** ჩაძინებულ-გაბრუებულია დღეს საქართველო ნარკოტიკითა და რაღაც ვირტუალური ოცნებებით. ცხადია, არანაირი მეჩეთის მშენებლობა არსად, არც ერთ ქალაქში არ შეიძლება. **ჩვენ ეს უნდა აღვიქვათ, როგორც დიდი საფრთხე, რომელიც მიმართულია ჩვენი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ...**

**— თქვით, ხელისუფლება აბსოლუტურად უნიათოაო, მაგრამ მმართველ გუნდში მოიძებნებიან ადამიანები, რომლებსაც მართლმადიდებლობის დამცველის იმიჯი აქვთ. ასეთი ხალხი წინა მოწვევის პარლამენტშიც იყო...**

— მორწმუნე და ეროვნულად მოაზროვნე, რეალურად, ძალიან ცოტაა. უმეტესობას, ვინც ასეთის შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს პოლიტიკური ქულებისთვის ჭირდება. ხელისუფლება არსახელმწიფოებრივად აზროვნებს. როგორ შეიძლება, დღეს საქართველოში საერთოდ იდგეს მეჩეთების აშენების საკითხი? ან რა სასამართლო დავაზე ლაპარაკობენ, იქამდე საქმე არც უნდა მივიდეს. ვერ ხედავთ, **აგერ ადიგენში რა მოხდა — პოლიციას მანქანები დაულეწეს სოფელ მოხეში. ვინმე დააკავეს? აბა, მართლმადიდებელი ყოფილიყო, ნახავდით, რას უზამდნენ...**

ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ დღევანდელ უმძიმეს ვითარებაში, როცა ქვეყანა დემოგრაფიული და იდეოლოგიური კატასტროფის ზღვარზეა, მეჩეთის აშენებაზე საუბარიც არ უნდა იყოს. ვინც ამას ითხოვს და მხარს უჭერს, ფულზე გაყიდული მტერია. თუმცა რას აკეთებენ ბათუმელები, როცა ხედავენ, რომ ვილაცები მეჩეთს ითხოვენ, ვერ გამიგია. მე თუ მკითხავთ, იქ **ყველა მსგავსი რაღაცის დროს ათი იმდენი მართლმადიდებელი უნდა დადგეს და მოითხოვოს ამ ადამიანების გარეკვა თურქეთში. ისინი არ არიან ქართველები, მათ გვარები აქვთ მხოლოდ ქართული. რეალურად კი იმართებიან თურქული ფულით და მოქმედებენ თურქული ცნობიერებით...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«წინა და მოქმედი ხელისუფლება, ფაქტობრივად, ტოლს არ უდებენ ერთმანეთს იმაში, რასაც ანტიეროვნული, ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური საქმიანობა ჰქვია. გააფთრებით ებრძვიან ყველაფერს, რაც ჩვენს თვითმყოფადობას განაპირობებს»**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც კი რომელიმე მნიშვნელოვან კანონს მიიღებს პარლამენტი და პრეზიდენტს გაუგზავნის ხელმოსაწერად, მარგველაშვილი საქმიანი, ნასიამოვნები სახით დგება ტრიბუნასთან და საზოგადოებას ამცნობს, რომ მოტივირებული შენიშვნებით უკან დაუბრუნა საკანონმდებლო ორგანოს კანონპროექტი. პრეზიდენტი ვეტოს დადებას ძლივს ასწრებს, რომ სასწრაფოდ, ასევე ნასიამოვნები სახეებით დაფაცურდებიან უმრავლესობის წარმომადგენლები და იწყებენ მზადებას ვეტოს დასაძლევად. ყველაზე დიდი სიამოვნებით კი პრეზიდენტის ვეტოზე თვითონ მარგველაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საუბრობენ.**

# მძლეველი

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პარლამემენტმა გიორგი მარგველაშვილის რიგით მე-11 ვეტო დაძლია, მიუხედავად იმისა, რომ მმართველ გუნდში საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. მაუწყებლის შესახებ კანონში ცვლილებების თანახმად, ქვეყნის ყველაზე მდიდარ ტელევიზიას, საზოგადოებრივ მაუწყებელს, დამატებითი შემოსავლის მიღება კომერციული რეკლამიდანაც შეეძლება, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო ტელევიზიები სარეკლამო შემოსავალს დაკარგავენ. ოპოზიცია ფიქრობს, რომ "ქართულმა ოცნებამ" ეს გადაწყვეტილება ხელისუფლების გავლენისგან თავისუფალი, კრიტიკული მედიის შესავწროებლად მიიღო.**



**ირაკლი კობახიძის თიკუნებს — «ჩიჩილაკა», «გოგლიმოგლა», «კულულა» და სხვ. — თამამად შეიძლება დაემატოს მეტსახელი «ირაკლი მძლეველი». რადგან საქართველოს პარლამენტის ისტორიაში, ალბათ, ყველზე მეტი ვეტოს დამძლევი თავმჯდომარის სახელით შევა. სამწუხაროა, რომ საქართველოს პარლამენტს ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც საზოგადოების ყურადღებას მხოლოდ ვარცხნილობით, ვეტოს დაძლევითა და ფლეგმატური ხასიათით იქცევს**

კანონის შინაარსსა და შედეგებზე მსჯელობა ახლა დროის ფუჭი დაკარგვაა, რადგან კანონპროექტი დამტკიცებულია. ამ ვითარებაში **კომიკურია მმართველი გუნდისა და პრეზიდენტის ურთიერთობა.**

როგორც კი რომელიმე მნიშვნელოვან კანონს მიიღებს პარლამენტი და პრეზიდენტს გაუგზავნის ხელმოსაწერად, **მარგველაშვილი** საქმიანი, ნასიამოვნები სახით დგება ტრიბუნასთან და საზოგადოებას ამცნობს, რომ მოტივირებული შენიშვნებით უკან დაუბრუნა საკანონმდებლო ორგანოს კანონპროექტი. პრეზიდენტი ვეტოს დადებას ძლივს ასწრებს, რომ სასწრაფოდ, ასევე ნასიამოვნები სახეებით დაფაცურდებიან უმრავლესობის წარმომადგენლები და იწყებენ მზადებას ვეტოს დასაძლევად. ყველაზე დიდი სიამოვნებით პრეზიდენტის ვეტოზე თვითონ მარგველაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** საუბრობენ. პარლამენტის თავმჯდომარე ოდნავ მკაცრი და, ამასთანავე, ნასიამოვნები გამომეტყველებით იწყებს პრეზიდენტის კრიტიკას და საზოგადოებას არწმუნებს, რომ უმრავლესობა პრეზიდენტის ვეტოს დაძლევს. ისე, ამ პარლამენტის თავმჯდომარის ფუნქციაც ხომ ეს არის — დაძლიოს ვეტო. ამიტომაც ირაკლი კობახიძის თიკუნებს — **„ჩიჩილაკა", „გოგლიმოგლა", „კულულა"** და სხვ. — თამამად შეიძლება დაემატოს მეტსახელი **„ირაკლი მძლეველი".** რადგან საქართველოს პარლამენტის ისტორიაში, ალბათ, ყველზე მეტი ვეტოს დამძლევი თავმჯდომარის სახელით შევა. **სამწუხაროა, რომ საქართველოს პარლამენტს ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც საზოგადოების ყურადღებას მხოლოდ ვარცხნილობით, ვეტოს დაძლევითა და ფლეგმატური ხასიათით იქცევს.**

თუმცა, ირაკლი კობახიძის პოლიტიკურ გზაზეც იყო რამდენიმე მკვეთრი განცხადება, რომელიც მისი კრიტიკის საფუძველი გახდა. მაგალითად, ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როდესაც "ჩიჩილაკმა," ასე ვთქვათ, მკვეთრი განცხადება გააკეთა, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში იყო, როცა მან ახალგაზრდებს კომუნისტები უწოდა. „კომუნისტების სოლიდარობა არ გაიშვა. არ არსებობს კომუნისტების მხრიდან სოლიდარობა. ახალგაზრდა კომუნისტების ადგილი საქართველოში არ არის. მინდა, მოგიწოდოთ, რომ ვიაროთ ცოდნის გზით. თქვენ უნდა დასვათ კითხვები და მიიღოთ პასუხები. ასე იღებს ადამიანი ცოდნას. თქვენ დღესაც კი არ გინდათ, რომ დასვათ კითხვები და მიიღოთ პასუხები. ასე შორს ვერ წახვალთ. კომუნიზმიც იმის შედეგია, რომ ჯერ არ გაგიღრმავებიათ ცოდნა. ცოდნა და კომუნიზმი ერთმანეთთან შეუთავსებელია. ეს არის რეალობა", — ასე მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში კონსტიტუციის პროექტის განსახილველად შეკრებილ სტუდენტებს, რომლებიც მეშახტეებს სოლიდარობას უცხადებდნენ და შეხვედრაზე სასტვენებით სცადეს პროტესტის გამოხატვა. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში ვითარება დაძაბული იყო, ირაკლი კობახიძეს, რომელზეც ხშირად ამბობენ, არც ღვინოაო და არც წყალი, ნერვიც არ შეტოკებია, ისე დაიწყო დებატები ახალგაზრდებთან.

ირაკლი კობახიძის პოლიტიკური მოღვაწეობიდან დასამახსოვრებელი იყო, აგრეთვე, შემთხვევა, როდესაც მან **ანა დოლიძეს** პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას რამდენჯერმე მიმართა ბატონო გიორგითი. მაშინაც საქმე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევას ეხებოდა. დოლიძე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი იყო და კამათიც ვეტოს დაძლევაზე კენჭიყრამდე გაიმართა. კობახიძემ მომხდარი ასე შეაფასა: „ქალბატონი ანა 10 წუთის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ის იყო გიორგი მარგველაშვილი. ის ზღვარს ვერ ავლებდა პრეზიდენტსა და პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენელს შორის ისევე, როგორც ვერ გაავლო ზღვარი პოლიტიკოსსა და საჯარო მოხელეს შორის. 10 წუთი გვიმტკიცებდა იმას, რომ ზუსტად ისევე შეეძლო საუბარი, როგორც გიორგი მარგველაშვილს. მისი მტკიცების თანახმად, ტრიბუნასთან იდგა გიორგი მარგველაშვილი. მე რომ ვამტკიცო დღეს, რომ ვარ **ანგელა მერკელი**, თქვენ გაქვთ სრული უფლება, ქალბატონი ანგელა დამიძახოთ. ან რომ ვამტკიცო, რომ ვარ **ტონი ბლერი**, გაქვთ სრული შესაძლებლობა, რომ დამიძახოთ ბატონი ტონი".

ისე, **ირაკლი კობახიძეს სულაც არ სჭირდება იმის მტკიცება, რომ ის ანგელა მერკელია. სახის უემოციო გამომეტყველებით, ვარცხნილობით, არაფრის მაქნისი პოლიტიკოსის იმიჯით იგი ძალიან ჰგავს ანგელას. ასე რომ, მეტსახელი ანგელაც ზედგამოჭრილია ირაკლი კობახიძეზე...**

ირაკლი კობახიძის ფუნქცია ივანიშვილის ხელისუფლებაში, გარდა ვეტოს დაძლევისა, პრეზიდენტის ლანძღვაცაა, თითქოს გიორგი მარგველაშვილი ივანიშვილმა არ დაასვა ქვეყანას თავზე: „ძალიან მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო უმრავლესობას. ამის შემდეგ ჩვენ მივეცით საქართველოს პრეზიდენტს სახის შენარჩუნების შანსი. ჩვენ მივეცით რეაგირების შანსი და, შესაბამისად, მივმართეთ საპარლამენტო უმრავლესობის სახელით მას. მას ჰქონდა შანსი, რომ შესაბამისი რეაგირება მიეცა ამ ძალიან მძიმე, უმძიმესი შეურაცხყოფისთვის. თქვენ გახსოვთ, რა სიტყვები გამოიყენა ქალბატონმა ანა დოლიძემ და ამაზე პასუხი იყო აბსოლუტურად გამაოგნებელი. **ამ უმძიმეს შეურაცხყოფას მან დაამატა დამატებითი შეურაცხყოფა და გამოიყენა ისეთი სიტყვები პირადად პრეზიდენტმა უკვე, როგორიც არის: კომკავშირელები, მედროვეები და ა.შ. საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც ამბობს ასეთ რამეს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები, ესენი არიან: თავხედები, უზრდელები, შარიკოვები, მედროვეები და კომკავშირელები. ჩვენ გვყავს ასეთი პრეზიდენტი. საქართველო ნამდვილად მეტს იმსახურებს, ეს შემიძლიათ გითხრათ. თუმცა, საქართველოს ისტორიას ახსოვს ამაზე უარესი პრეზიდენტიც, ამასაც გავუძლებთ რამენაირად და ჩვენ აუცილებლად გვეყოლება საბოლოო ჯამში ისეთი პრეზიდენტი, რომელიც იმოქმედებს მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად და, რომელიც იმოქმედებს ეთიკის სტანდარტების შესაბამისად",** — ასეთი პრინციპული და კრიტიკულია ირაკლი კობახიძე პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ. მაგრამ ურიგო არ იქნება ასთივე პრინციპულობა აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართაც გამოიჩინოს.

თავის მხრივ, არც ანა დოლიძე დარჩა ვალში პარლამენტის თავმჯდომარეს და მისი ქცევა ასე შეაფასა: **„ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ჩვენ ვიხილეთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე არის უზრდელი, თანამდებობისთვის შეუფერებელი. სამწუხაროდ, ეს არის ქართული პოლიტიკის შარიკოვი, პერსონაჟია ბულგაკოვის ნაწარმოებიდან, რომელიც გარკვეული ვითარების გამო მოხვდება თანამდებობაზე და შეურაცხყოფს ყველას. ის შეურაცხყოფას აყენებს ასევე ათი ათასობით საჯარო მოხელეს, რომლებიც სახელმწიფო სამსახურებში მუშაობენ, რადგან უდიერად იხსენიებს მათ. დარწმუნებული ვარ, ქართველი საზოგადოება შესაბამის ადგილს მიუჩენს მსგავს ქცევას",** — განაცხადა ანა დოლიძემ.

პოლიტიკაში ირაკლი კობახიძის სახელს უკავშირდება საკონსტიტუციო რეფორმა, რომელზეც დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. თვითონ კობახიძე საკონსტიტუციო რეფორმას ასე იცავდა: „ჩვენ გვაქვს ჩვენი დღის წესრიგი. ეს დღის წესრიგი არის ის, რომ მახინჯი კონსტიტუცია უნდა გასწორდეს და ჩამოყალიბდეს სწორი სახით, **ვისაც უნდა, ხელი შეუშალოს ამ ყველაფერს, ეს მისი არჩევანია. ჩვენ, ბუნებრივია, ხელი ვერ შეგვეშლება ვერანაირი ფორმით. ჩვენ ხალხმა გამოგვიცხადა ნდობა, საკონსტიტუციო ნდობა 2016 წელს. გახსოვთ, რომ მთელი კამპანია იყო წარმოებული „ქართული ოცნების" წინააღმდეგ იმისთვის, რომ ჩვენს პარტიას ვერ მიეღო საკონსტიტუციო ნდობა, თუმცა ჩვენმა ამომრჩეველმა მიიღო რაციონალური და პრაგმატული გადაწყვეტილება და საკონსტიტუციო ნდობა გამოუცხადა „ქართულ ოცნებას", რამაც შესაძლებელი გახადა დღევანდელი უმახინჯესი დოკუმენტის, ქვეყნის ძირითადი კანონის გასწორება და ჩამოყალიბება დემოკრატიული სახით, და მისი შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ საუკეთესო ტრადიციებთან. ეს არის ის შესაძლებლობა, რომელიც აბსოლუტურად რაციონალური არჩევანის საფუძველზე მოგვცა ქართველმა ხალხმა. ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა ეს ყველაფერი, ჩვენ მივდევთ ქართველი ხალხის ნებას განსხვავებით სხვა სუბიექტებისგან, რომლებისთვისაც ამ ნებას მაინცდამაინც დიდი დატვირთვა აქვს".**

რაც შეეხება „ჩიჩილაკა", „გოგლიმოგლა", „მძლეველ", „კულულა" და „ანგელა" **კობახიძის ქონებრივ დეკლარაციას, ეს დოკუმენტი მას ბოლოს 2017 წლის 31 დეკემბერს აქვს შევსებული.**

* ირაკლი კობახიძის საკუთრებაა წყნეთის გზატკეცილზე მდებარე 157,8 კვ.მ ბინა, რომელიც მას 2016 წელს საჩუქრად მიუღია. ამავე მისამართზე აქვს 20 კვ.მ ავტოსადგომიც, რომლიც მას ასევე საჩურად აქვს მიღებული, თუმცა დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი, ვისგან მიიღო ეს ძვირად ღირებული საჩუქარი.

* პარლამენტის თავმჯდომარის საკუთრებაა ავტომობილი VW Tiguan-ი რომელიც 2015 წელს 12500 აშშ დოლარად შეუძენია, ხოლო ავტომანქანა Nissan Tiida კობახიძეს 2014 წელს 4300 აშშ დოლარად აქვს ნაყიდი.

* დეკლარაციის შევსებისას ირაკლი კობახიძეს „თი-ბი-სი ბანკში" ანაბარზე 25 000 აშშ დოლარი ერიცხებოდა, ამავე ბანკში ანაბარზე ერიცხება მას 10 000 აშშ დოლარი. ამავე ბანკში, მიმდინარე ანგარიშზე პარლამენტის თავმჯდომარეს 1399,67 აშშ დოლარი ერიცხებოდა, ხოლო სახელფასო ანგარიშზე — 3253,85 ლარი. „თი-ბი-სი ბანკში" სახელფასო ანგარიშზე 78,46 აშშ დოლარი, 1848,32 ევრო, 736,94 ლარი და 4605,03 ლარი ერიცხება პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე **ნატალია მოწონელიძეს.** ამავე პერიოდში, როდესაც კობახიძეს დეკლარაცია აქვს შევსებული, მას 13 000 აშშ დოლარი ჰქონდა ხელთ და განმარტავს, რომ ეს თანხა მას შრომის ანაზღაურებიდან დაზოგა.

* 2016 წლის 18 ნოემბრიდან ამავე წლის 31 დეკემბრამდე კობახიძეს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ანაზღაურება 9305,89 ლარი აუღია. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თსუ-ს ასოცირებული პროფესორია და მისი ანაზღაურება 2016 წელს 9760 ლარი ყოფილა. თსუ-ში ასისტენტ-პროფესორია ნატალია მოწონელიძე და მისი ანაზღაურება 26425 ლარითაა განსაზღვრული, ხოლო შსს აკადემია ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მას 5567,5 ლარი აუღია.

**გიორგი გელაშვილი**

**P.S. მას შემდეგ, რაც ცნობილი შეიქნა, რომ თბილისის მერი კახა კალაძე თმის შესაკრეჭად მილანში იმყოფებოდა, სოციალურ ქსელში ხუმრობენ, იქნებ ირაკლი კობახიძეც წაეყვანა თბილისის მერს მილანელ სტილისტთან და ბიუჯეტის ფულიც ალალი იყოს „ჩიჩილაკას" თმის შესაჭრელადო...**

**კარდაკარ**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დიდი ხანია, ხალხისთვის სასიკეთო საქმე არავის უკეთებია. ის, ვინც ამ გაჭირვებულ ხალხს დაალალატებს, ადამიანი არ არის, არადა, როგორი იმედი გვქონდა ბიძინასი. ხომ ეხმარებოდა სააკაშვილს, ხომ უკეთებდა საქმეებს, მაშ, რა მოხდა, ხალხი რატომ გაგვწირა? მას ქართველი ხალხისთვის არაფერი გაუკეთებია“.**

## მანია დულარიძე:

# სამწუხაროა, რომ ხალხმა ივანიშვილს ამდენი რამ აპატია

**თვეზე მეტია, რუბრიკა „კარდაკარი“ დავიწყეთ. შეგნებულად არ გვიძებნია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მქონე ოჯახები და ადამიანები, არც ისეთები, ხელისუფლებით უკმაყოფილო რომ იქნებოდნენ, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, „ქართული ოცნებით“ კმაყოფილ ერთ ადამიანსაც ვერ შევხვდით. რუბრიკის სტუმრები, ერთი შეხედვით, თითქოს მხოლოდ სოციალურ პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველების აზროვნება „კუჭზე“ არ გადის, მათ სოცილურ პრობლემებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემაც აწუხებს.**
**ამ რუბრიკის მიზანია, ხალხის ხმა ხელისუფლების წევრებამდე მივტანოთ, კარგი იქნება, თუ ისინი მოისმენენ რიგითი მოქალაქეების სატკივარს და მათ რაღაცით მაინც დაეხმარებიან. გაზეთი მზადაა, მოუსმინოს ყველას, ვისაც სურს, თავის სატკივარსა და ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე საჯაროდ ილაპარაკოს.**
**დღეს რუბრიკის სტუმარია თბილისელი მანია დულარიძე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიურად იყო ჩართული, ვიდრე ამის საშუალებას ასაკი და ჯანმრთელობა აძლევდა, ახლა კი მარტო ცხოვრობს, სულ რაღაც, 6 კვ.მ ოთახში:**

— 2012 წლის არჩევნებს ცის გახსნასავით ველოდი, ვიცოდი, **სააკაშვილი** უნდა მოეშორებინა ხალხს, მაგრამ რა ფორმით მოხდებოდა ეს, წარმოდგენა არ მქონდა. ერთ მშვენიერ დღეს შევიტყვე, რომ **ბიძინა ივანიშვილმა** გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა და ძალიან გამიხარდა, მივხვდი, სააკაშვილის მმართველობა დასრულებული იყო.

დღეს კი **სამწუხაროა, რომ ხალხმა ივანიშვილს ამდენი რამ აპატია. თავდაპირველად, ვამბობდით, მიშას გაფუჭებულ საქმეებს ერთ და ორ წელიწადში ვერ გამოასწორებსო, შემდეგ — დავაცადოთო, და ახლა სანანებელი გვაქვს ყველაფერი — დაცდაც და მოთხოვნების წაუყენებლობაც.**

დიდი ხანია, ხალხისთვის სასიკეთო საქმე არავის უკეთებია. ის, ვინც ამ გაჭირვებულ ხალხს დაალალატებს, ადამიანი არ არის, არადა, როგორი იმედი გვქონდა ბიძინასი. ხომ ეხმარებოდა სააკაშვილს, ხომ უკეთებდა საქმეებს, მაშ, რა მოხდა, ხალხი რატომ გაგვწირა? მას ქართველი ხალხისთვის არაფერი გაუკეთებია.

**— თქვენ როგორ ცხოვრობთ?**

— **წინათ შევარდნაძის ცოლს ვაგინებდით, 7 ლარით იცხოვრეთო რომ გამოგვიცხადა, მაგრამ დღეს ანალოგიური რამ გვითხრა გუგული მაღრაძემაც,— როგორ, დიასახლისმა 180 ლარით ვერ უნდა იცხოვროსო?!**

რა უნდა ვქნათ 180 ლარით? კომუნალური გადასახადები გადასახდელი გვაქვს, თანაც გაორმაგებული, წამალი სჭირდება ადამიანს და საკვების ფული თითქმის აღარ რჩება. **უნამუსოები არიან, თვითონ ათასობით ხელფასს, პრემია-დანამატს იღებენ და არ ჰყოფნით, ჩვენ კი 180 ლარი უნდა ვიმყოფინოთ?!** რამდენჯერ მინატრია, ნეტავ, მქონდეს საშუალება, პარლამენტარებს დაველაპარაკო და, რაც სათქმელი დამიგროვდა, ყველაფერი მივახალო-მეთქი. მე კიდევ რაღაცით ვირჩენ თავს, მაგრამ ხომ არიან ადამიანები, რომლებიც ნაგავში იქექებიან?

სხვა გზა რომ აღარ დამრჩა, ოთახის ნახევარი გადავტიხრე, მეორე ნახევარში, ვიფიქრე, მდგმურს დავაყენებ-მეთქი, მაგრამ სულ მატყუებენ და მეპარებიან ისე, რომ ფულს არ მიხდიან. დაწვეს ელექტროენერგია და გადასახადი მე დამიტოვეს. ამასაც ბედი უნდა, ალბათ...

მინდა, ჩვენი ქვეყნის ტკივილსაც შევეხო.

არჩევნებიდან არჩევნებამდე ველოდები, რომ რომელიმე პოლიტიკოსი ქვეყნის გაერთიანების შესახებ საინტერესო აზრს მოგვაწვდის, მაგრამ ამაოდ... ფიქრიც კი მიატ-



ოვეს ამ საკითხზე... ერგნეთის ბაზრობის გაუქმება დანაშაული იყო, ეს ბაზარი ჩვენ შეგვარიგებდა. ოსების უმრავლესობა საქართველოში ცხოვრობს.

ჩემი ქალიშვილობის გვარი **თედეევია**, ოსის ქალი ვარ, მაგრამ ჩემი სამშობლო საქართველოა, ქართველად გავიზარდე, ქართულად ვისწავლე ქართველი შვილები მყავს, ამჟამად ჩემი მეუღლის გვარს ვატარებ, მომწონს ამ გვარის ტარება... ძალიან მწყდება გული, რომ პრობლემა, რომელის მოგვარებაც შეიძლებოდა, ვერ მოვაგვარეთ. ვერ შევძელით ოსი და აფხაზი ძმების ჩვენკენ შემობრუნება. დღეს ამაზე ოცნებაც კი ზედმეტად მეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, ჩემს სიცოცხლეში ეს არ მოხდება.

სამსახურიდან შინ რომ ვბრუნდებოდი, მაღაზიაში თამამად შევდიოდი, შემეძლო, მეყიდა ყველაფერი, რაც მჭირდებოდა. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ცხოვრება გაჭირდა. საქართველომ დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადა, **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** გვერდით ვიდექი... სხვათა შორის, იმ ავტობუსებიდან ერთ-ერთში ვიჯექი, ცხინვალისკენ რომ დაიძრა — ოსები გაგვიშვეს ოსებთან მოლაპარაკებაზე. როცა გზა გადაგვილობეს, ბევრი ვიჩხუბე ოსებთან, ჩემს ტერიტორიაზე როგორ არ მიშვებთ, ეს საქართველოა, ჩვენ ქართველები ვართ და უნდა შევიდეთ-მეთქი. მილიციელი, რომელსაც ვედავებოდი, ჩემი მოგვარე იყო — თედეევი... გვითხრეს, ქართველებმა ოსი ბიჭები აწამესო, მაგრამ გაირკვა, რომ ნაწამები არავინ იყო. ამის შემდეგ ოსებმა განაცხადეს, შევრიგდეთ, ძმები ვართო, მაგრამ ჩვენ არ დავთმეთ, ომით გადავწყვიტეთ პრობლემის მოგვარება. მახსოვს, ოსებმა გააპროტესტეს, ავტობუსებით მხოლოდ ოსები რომ ჩავედით, სურდათ, ქართველები ჩასულიყვნენ... იმხანად გვეგონა, პრობლემა მალე მოგვარდებოდა, მაგრამ ვცდებოდით. ეს პრობლემა სამუდამო აღმოჩნდა. ბევრი შეცდომაა დაშვებული, ძალიან ბევრი და შეცდომები ახლაც გრძელდება.

**«ქართველებს ველარ ინარჩუნებს დედა-სამშობლო, მისი შვილები უცხო ქვეყანაში გარბიან ლუკმაპურის საშოვნელად, მართლა ყველა ქურდი კი არ არის, შიათ და იმიტომ მიდიან და ოსები ან აფხაზები როგორ მობრუნდებიან?»**

**— როდის ცხოვრობდით ყველაზე კარგად?**

— კომუნისტების პერიოდში, შვილო, და ამის თქმის არასოდეს შემრცხვება. ვინც ის ეპოქა გამოიარა, ძალიან უნამუსო უნდა იყოს, არ აღიაროს, რომ კომუნისტების მმართველობის პერიოდში, ყველა კარგად ვცხოვრობდით. სავაჭრო სისტემაში ვმუშაობდი, მერე რენტგენის გაკეთება ვისწავლე და კარგა ხანს მედიცინის სფეროში ვსაქმიანობდი.

ტერიტორიების დასაბრუნებლად არაფერი გავგვიკეთებია, სადაც თავი უკეთესად იგრძნეს, იქ წავიდნენ მოძმე ოსები და აფხაზები. ქართველებს ველარ ინარჩუნებს დედა-სამშობლო, მისი შვილები უცხო ქვეყანაში გარბიან ლუკმაპურის საშოვნელად, მართლა ყველა ქურდი კი არ არის, შიათ და იმიტომ მიდიან, და ოსები ან აფხაზები როგორ მობრუნდებიან? 180 ლარს გვაყვედრის ვიღაც გუგული მაღრაძე და ასეთ პირობებში ჩვენთან დაბრუნება არავის მოუნდება. ორჯონიკიძეში, ალბათ, მიმიღებდნენ, ლუკმას არ დამამადლიდნენ, მაგრამ საქართველოს გარდა არსად მინდა ცხოვრება. უბრალოდ, იმის თქმა მსურს, ცხოვრების პირობები რომ გაგვეუმჯობესებინა, იქნებ ისინიც ჩვენთან მოსულიყვნენ...

**— საპრეზიდენტო არჩევნები მოდის, ვის ისურვებდით პრეზიდენტად?**

— ეს საცოდავი, ახლა რომ გვყავს, მისი ბრალია, მანდ რომ ზის? ვინც მოიყვანა, რისთვის მოიყვანა, რას ერჩოდა?.. მყავს რამდენიმე კანდიდატი, ვისაც ვისურვებდი, მაგრამ თქმას რა აზრი აქვს, ეს ხომ ქვეყანა აღარ არის?

სასურველია, მოვიდეს ახალი ხელისუფლება, ახალი პრეზიდენტითა და პრემიერით, მაგრამ მოვა? ადამიანებს ყელში ამოუვიდა ყველაფერი, მაგრამ ქუჩაში არავინ გამოდის, იმედი გაუცრუვდათ, არავის ენდობიან...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# როცა მკვლელებს აწინაურებენ

**გარდაიცვალა გია მაისაშვილი — ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი, სპორტსმენი. გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შედეგად, რომელიც განუვითარდა 2009 წლის 6 მაისს დედაქალაქის პოლიციის სამმართველოსთან მოწყობილ საპროტესტო აქციაში სააკაშვილ-მერაბიშვილის ზონდერ-პოლიციელების მიერ მიყენებული დაზიანებით გამოწვეული ჯანმრთელობის შეუქცევადი გართულების გამო.**

გია იხსენებდა: „როცა „უცნობს“ ხალხი გალავანზე გადასახტომად მიჰყვებოდა, მივხვდი, რომ სისხლისღვრა გარდაუვალი იყო. გამოვტაცე **გუნცაძეს** მიკროფონი და დავიწყე, ფაქტობრივად, ბღავილი, რომ ხალხს უკან დაეხია. შეიარაღებული შავნიღბოსნებისგან გავიგონე ჩემი სახელი და გვარი, მოვტრიალდი და ამ დროს მიზანმიმართულად დამაჭედეს შუბლში. ეს იყო ქიმიური შემადგენლობის პლასტიკური ტყვია“.

**ტყვია, ნასროლი იმ „არალეტალური იარაღიდან“, რომლითაც მოამარაგა საქართველო სტრატეგიულმა პარტნიორმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. იმ სახელმწიფომ, რომლის მიერ დეკლარირებული პრინციპების გულწრფელად სჯეროდა გია მაისაშვილს და ცდილობდა მათ დანერგვას საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებასა და ჩვენი ქვეყნის რეალობაში.**

არის მსხვერპლი, არიან ჯალათები — შემსრულებლები, ბრძანების გამცემნი და ამ უკანასკნელთაგან არავინ არათუ დაუსჯიათ, პასუხიც არ მოუთხოვიათ, პირიქით — კარიერულადაც დაწინაურებულან და მორალსაც გვიკითხავენ ტელებიზნესის სივრცეში გალაღებული მკვლელები.

**გია მაისაშვილის შემთხვევა გამონაკლისი რომ იყოს, კიდევ — ჰო. მაგრამ დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც გავრცელებულია კოაბიტაციის ეპიდემიით დაავადებულ „ქართული ოცნების“ პერიოდის საქართველოში, ნორმად ყალიბდება.**

ორიოდ დღის წინათ ეს პრეზიდენტმა **მარგველაშვილმაც** კი აღიარა, მოქმედი ხელისუფლების თავგამოდებულმა ოპონენტმა ნაცების მხრიდან:

„... ის ადამიანები, ვინც ეს 200-მდე ადამიანი დააპატიმრა, აწამა, საქმე შეუკერა, მერე სასამართლოში ეს ყველაფერი დაადგინა და გაამწესა პოლიტიკურ პატიმრობაზე, ამ ადამიანებს ხელს არავინ ჰკიდებს. მეტიც, ხდება ამ ადამიანების დაწინაურება თავიანთ სისტემაში, იქნება ეს სასამართლო, თუ სხვა უწყებები. რთული და ცოტა ძნელად გასაგებია ეს ყველაფერი.კანონი ამბობს, რომ ამდენი პოლიტპატიმარი გვყავდაო და მერე ვინც ეს ყველაფერი გააკეთა და აღასრულა, კარიერულ ზრდაში არიან“ *(სტილი დაცულია).*

სიმართლე თქვა.

მღვდელმა უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო.

შემთხვევით.

**მარგველაშვილის აღიარება შემთხვევითია თუ სახელმწიფო მოღვაწის**



**ნათქვამია, რომელსაც შედეგი უნდა მოჰყვეს, ამ დღეებში გაირკვევა, როცა იუსტიციის საბჭო მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის საკითხს, ხოლო პარლამენტი „გირგვლიანის შესწორების“ კანონპროექტს დაუბრუნდება.**

**ან — არ დაუბრუნდება.**

**არმაზ სანებლიძე**

როცა სასწავლებელში, სადაც მუშაობდა, „ჰომოსექსუალიზმის კვირეული“ გამოაცხადეს, ჯენი ვიკი ნოქსი აღშფოთდა და განაცხადა, რომ ეს შეურაცხყოფდა ტრადიციულ ქალებსა და კაცებს. მან გააკრიტიკა ამერიკული საზოგადოების „LGBTQIA+“-ის ვულგარული რეკლამა „გახდი ტრანსგენდერი“, რომელიც სასწავლებლის შენობაში უზარმაზარ სტენდებზე გამოფინეს. მასწავლებლის პოზიცია ასეთი იყო: „რა საჭიროა, დანარჩენი მსოფლიოს წინაშე გამოფინო ბუნების საწინააღმდეგო შენი ამორალური მისწრაფება, სოდომია ხომ ცოდვაა, რომელიც კიბოს სიმსივნესავით ანადგურებს ადამიანს“.

## ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ევროპაში თავშესაფრის მიღების მიზნით უკრაინელები თავს პედერასტებად ასაღებენ

**ისინი იძულებულნი არიან, ასე მოიქცნენ, რადგან უკრაინაში პოლიტიკური სიტუაციით უკმაყოფილება ევროპაში მიგრაციის მიზეზად არ მიიჩნევა.**

„ბევრმა მიიღო თავშესაფარი, როგორც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელმა, მაგრამ შემდეგ დაოჯახდა და შვილებიც გაიჩინა. ამიტომ დაიწყეს შემოწმება“, — ყვება ერთ-ერთი ემიგრანტი, რომელიც სკანდინავიურმა ქვეყანამ შეიფარა.

აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური რწმენის გამო თავშესაფრის მიღება ყველაზე ადვილად შეიძლება ესპანეთსა და იტალიაში.

„იქ უყვართ კომუნისტები და უეჭველად მიიღებთ თავშესაფარს“, — დაასკვნა უკრაინელმა. მისი განცხადებით, 2,5 ათასი ევროს საფასურად უკრაინაში შესაძლებელია ყველა აუცილებელი დოკუმენტის დამზადება.

## კათოლიკური სკოლის მასწავლებელი ქალბატონი სკოლიდან დაითხოვეს მეგობარ ქალზე დაქორწინების გამო

**მოსწავლეების მშობლების განცხადებით, მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მასწავლებლის სექსუალურ ორიენტაციას.**

აშშ-ში კათოლიკური სკოლის მასწავლებელი ქალბატონი სკოლიდან დაითხოვეს მეგობარ ქალზე დაქორწინების გამო. ეს მოხდა წლეულს, 8 თებერვალს. 20 თებერვალს კი მშობლების ოცკაციანი ჯგუფი ეახლა სკოლის დირექტორს და განუცხადეს, რომ მათთვის არა-



ვითარი მნიშვნელობა არ აქვს მასწავლებლის სექსუალურ ორიენტაციას.

ასე ესმით აშშ-ში პირადი მაგალითით ბავშვების აღზრდის პრინციპი.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## სამსახურიდან აგდებენ ყველას, ვინც სოდომიას ცოდვად მიიჩნევს

**2018 წლის 6 თებერვალს აშშ-ის მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მასწავლებელ ქალს 3 წლით აუკრძალეს სკოლაში მუშაობა იმ მოტივით, რომ ჰომოსექსუალიზმი უზნეობად და სიგიჟედ მიიჩნია და თავისი თვალსაზრისი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე დაწერა.**



**ჯენი ვიკი ნოქსი** 2000 წლიდან უმაღლესი სკოლის საბჭოში ბიბლიის შემსწავლელი ინვალიდი სტუდენტების მასწავლებლად მუშაობდა და, როგორც ყველას აშშ-ში, თავისი პირადი გვერდი ჰქონდა სოციალურ ქსელში.

როცა სასწავლებელში „ჰომოსექსუალიზმის კვირეული“ გამოაცხადეს, **ჯენი ვიკი ნოქსი** აღშფოთდა და განაცხადა, რომ ეს შეურაცხყოფდა ტრადიციულ ქალებსა და კაცებს. მან გააკრიტიკა ამერიკული საზოგადოების „LGBT-QIA+“-ის ვულგარული რეკლამა „გახდი ტრანსგენდერი“, რომელიც სასწავლებლის შენობაში უზარმაზარ სტენდებზე გამოფინეს. მასწავლებლის პოზიცია ასეთი იყო: **„რა საჭიროა, დანარჩენი მსოფლიოს წინაშე გამოფინო ბუნების საწინააღმდეგო შენი ამორალური მისწრაფება, სოდომია ხომ ცოდვაა, რომელიც კიბოს სიმსივნესავით ანადგურებს ადამიანს“.**

ამ პუბლიკაციის გამო მას დაუწყეს დევნა, ლამის ტერორიზმში დაადანაშაულეს, შეუწყვიტეს ხელფასი და მოგვიანებით სამსახურიდან დაითხოვეს.

სკოლის ხელმძღვანელობამ ნოქსს ბრალად წაუყენა ისიც,



რომ უარი თქვა, მოსწავლეები დაერწმუნებინა „ცოდვის არარსებობაში“. მან კატეგორიულად უარი განაცხადა „ამ შინაარსის წერილების მოსწავლეებისთვის გაგზავნაზე ელექტროფოსტის მეშვეობით“.

სკოლიდან გაგდებულმა მასწავლებელმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სიტყვისა და რწმენის თავისუფლების კანონის შესაბამისად დაცვა. მას მიაჩნდა, რომ, აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად, ქრისტიანებსაც აქვთ უფლება, საჯაროდ, მათ შორის, სოციალურ ქსელებშიც, განაცხადონ თავიანთი თვალსაზრისი.

ნოქსის ადვოკატმა სასამართლოში განაცხადა, რომ ქრისტიანულ დოგმებს საერთო არაფერი აქვს არც სიძულვილთან, არც ტერორიზმთან, მაგრამ ნიუ ჯერსის შტატის განათლების დეპარტამენტმა ჩამოართვა მას (ნოქსს) მასწავლებლობის სერტიფიკატი. ნოქსმა მიმართა სააპელაციო სასამართლოს, უვადო დისკვალიფიკაცია შეეცვალა პედაგოგიური პრაქტიკის სამი წლით შეწყვეტით.

სასამართლომ დააკმაყოფილა მისი სარჩელი.



ბრიანა ვესტბრუკი



ალექსანდრა ჩენდლერი

## ამერიკის კონგრესის არჩევნებში 40 ტრანსგენდერი მონაწილეობს

**წლეულს აშშ-ის კონგრესის შუალედურ არჩევნებში 40-მა ტრანსგენდერმა წარადგინა თავისი კანდიდატურა.**

**ბრიანა ვესტბრუკი** კენჭს იყრის დემოკრატიული პარტიიდან არიზონის შტატის მერვე ოლქში. მან, ასფალტის დამგები მანქანის მძღოლმა, შეიცვალა არა მხოლოდ პროფესია (იგი ამჟამად ავტოსალონის კონსულტანტია), არამედ სქესიც.

2011 წელს ვესტბრუკმა ქალობა ისურვა. „იუთუბიზე“ გახსნა თავისი ტრანსფორმაციის ამსახველი ვიდეობლოგი, რათა სხვებმაც მიბაძონ. ამჟამად ეს ბლოგი მიუწვდომელია.

2013 წელს პირველად გამოჩნდა პოლიტიკაში — დაიცვა ლგბტ-პირები და შეზღუდული უნარის მქონე ადამიანები ფენიქსის საქალაქო საბჭოში. მოგვიანებით გააკრიტიკა აშშ-ის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც ლგბტ-თემის წინააღმდეგ იყო მიმართული. „გულახდილად გეტყვით, რომ სწორედ ტრამპმა მიბიძგა, მივიღო არჩევნებში მონაწილეობა, — ამბობს ვესტბრუკი, — და ეს ერთადერთი რამაა, რისთვისაც ვემადლიერები“.

**ალექსანდრა ჩენდლერი** კანდიდატია დემოკრატიული პარტიიდან მასაჩუსეტსის შტატის მესამე ოლქში.

პოლიტიკოსობამდე ჩენდლერი 12 წლის განმავლობაში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარ ანალიტიკოსად მუშაობდა. „ამ სამუშაოს 11 სექტემბრის შემდეგ შევუდექი. ჩვენ ვებრძოდით იარაღის კონტრაბანდას და მასობრივი განადგურების იარაღის



ჩელსი მენინგი

გავრცელებას“, — ყვება ჩენდლერი.

სქესის შეცვლის იდეა არმიაში ყოფნისას დაებადა. მას შემდეგ ალექსანდრამ თავისი მოღვაწეობა ლგბტ-თემის უფლებათა დაცვას, ასევე, ემიგრანტების, ფერადკანიანების, მუშათა და სხვა კატეგორიების მოქალაქეთა უფლებების დაცვას მიუძღვნა.

**ჩელსი მენინგი.** 2010 წელს აშშ-ის არმიის რიგითი ჯარისკაცი **ბრედლი მენინგი** საიდუმლო დოკუმენტების „ვიკილიქსისთვის“ გადაცემის ბრალდებით დააკავეს. 2013 წელს სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და 35 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენის გამოცხადების მეორე დღეს ბრედლიმ განაცხადა, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში თავი ქალად მიაჩნდა და სქესის შეცვლის სურვილი გამოთქვა. მოითხოვა, რომ ამიერიდან იგი ჩელსი მენინგად მოეხსენებინათ.

2015 წელს სასამართლომ ყოფილ მზვერავს ნება დართო, ჩაეტარებინა ჰორმონალური თერაპიის კურსი. ისტორიაში პირველად ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ შეიცვალა სქესი. ეს მოხდა ფორტ-ლივენუორტის სამხედრო ბაზის ციხეში.

2017 წლის იანვარში პრეზიდენტმა **ობამამ** შეიწყალა ჩელსი და იგი გაათავისუფლეს. ამჟამად მენინგი ლგბტ პირების უფლებების დაცვით არის დაკავებული და დემოკრატიული პარტიიდან აშშ-ის კონგრესმენობას აპირებს მერილენდის შტატში.

**გვერდი მომზადდა „ლაიფსაიტნიუსის“, „ვესტისა“ და „ნიუ იორკ დეილი ნიუსის“ მასალების მიხედვით**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქართული ჯარის ნაწილებთან ერთად რუსეთის არმიამ ძლიერი დარტყმა აგემა თურქეთის არმიას და 1828 წლის 30 ივნისს ყარსი აიღო, ხოლო 23 ივლისს — ახალქალაქი. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ქალაქ ახალციხისთვის, სადაც ოსმალთა 25 000-ანი არმია სრულად იქნა განადგურებული და ახალციხე სამუდამოდ განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან. 1829 წლის სექტემბერში ადრეანოპოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, შედეგად რუსეთმა საქართველოს შემოუერთა მისი ძველთაძველი მიწები — სოფლები და ქალაქები.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3-6 (430)

# სტალინი და საქართველო

# ბელადი და ბორჯომის ხეობა

## ნაწილი V

**გაზეთის წინა ნომერში გამოვაქვეყნე მასალა სტალინის დამოკიდებულების შესახებ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართ. წერილში სხვა საკითხებთან ერთად დეტალურად იყო განხილული 1935 წელს სტალინის მიერ ფოთის განვითარების პერსპექტიული გეგმის ძირითადი პარამეტრები. მასალა ეფუძნებოდა საიდუმლო საარქივო დოკუმენტს, რომელმაც ახლახან იხილა დღის სინათლე.**





რომანოვების სასახლის არქიტექტორი ლეონტი ბენუა

მკითხველს უნდა გამოვუტყდე, რომ, როდესაც საიდუმლო სამთავრობო დადგენილების პარაგრაფებს ვწერდი, ბევრი ტერმინი, რომელიც უშუალოდ ფოთის ნავსადგურსა და ფოთის, როგორც სანაოსნო ქალაქის განვითარებას ითვალისწინებდა, უცნობი იყო, რადგან საპორტო საქმეებისგან შორს ვარ ჩემი განათლებითა და პრაქტიკით. ვფიქრობდი, ვაითუ, მკითველიც ასე გაუთვიცნობიერებელი დარჩეს ზოგიერთი საკითხის მიმართ-მეთქი, მაგრამ თურმე ვცდებოდი — ბევრმა დიდი გულისყურით წაიკითხა და გაათვითცნობიერა ეს დადგენილება.

მასალის გამოქვეყნების შემდეგ ჩემმა მეგობარმა, წარსულში ფოთის ნავსადგურის ხელმძღვანელმა, შემდეგ კი მრავალი წლის განმავლობაში ქალაქ ფოთის პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების თავკაცმა, ორი მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა **პეტრე ბერაიამ** დამირეკა. ეს უზომოდ კულტურული და ინტელექტუალური ადამიანი არც მომესალმა, ისე აგზნებით დაიწყო სტალინის მიერ შემუშავებულ დადგენილებაზე საუბარი:

— გრიშა, მთელი ცხოვრება ფოთში გავატარე. მხოლოდ ის არ ვიცოდი, სად იყო შარშანდელი ხის ფოთლები მიმოფანტული, სხვა ყველაფერი თითქოს ვიცოდი ფოთის შესახებ და, თუ ძირითადი, რაზეც ფოთი იდგა და დგას, არ ვიცოდი, ეს არა მხოლოდ დაუდევრობა, არამედ იდიოტიზმიცაა...

— ნუ ღელავთ, ბატონო პეტრე, ამ დადგენილების შესახებ არათუ თქვენ, პოლიტბიუროს ზოგიერთმა წევრმაც არ იცოდა და გრიფით „სრულიად საიდუმლოდ" დღემდე არქივში იყო შენახული.

— თქვენ, ალბათ, არ იცით თუ რა დოკუმენტი გამოაქვეყნეთ, რას ნიშნავს ამ დადგენილების ყოველი პუნქტი, მე ეს ყველაფერი ზღაპრის დონეზე ვიცოდი და სტალინზე შექმნილ ერთ-ერთ ლეგენდად მიმაჩნდა. ყველაფერი, რაც თქვენ მიერ გამოქვეყნებულ დადგენილებაშია მოყვანილი, შესრულებულია ერთის გარდა, რომელიც, გარწმუნებთ, დღემდე ლეგენდა მეგონა. სტალინის დადგენილებაში ხიდების გახსნაზე რომ წერია, ათ წუთში უნდა გაიხსნასო, თუ იცით, რომელ ხიდებზეა საუბარი?

— **არ ვიცი, ბატონო პეტრე.**

— ბატონო გრიშა, **როდესაც გაზეთს ვკითხულობდი, გამახსენდა წინაპართაგან მოსმენილი ლეგენდა, რომ მდინარე რიონის სიღრმე სტაბილურად უნდა ყოფილიყო 4,5-5 მეტრი, სიგანე — 30 მეტრი და სწორედ მასზე გასადები ხიდების გახსნაზეა საუბარი, რათა შეუფერხებლად ეცურათ მცირე ტონაჟის კატარღებს ფოთიდან ქუთაისამდე. სასწაულია! დღეს დედაქალაქს არ აქვს განვითარების გენერალური გეგმა, ფოთის განვითარების გენერალური გეგმა კი სტალინს 1935 წელს თავისი ხელით შეუქმნია.** რამდენჯერმე წავიკითხე დადგენილება ფოთის ნავსადგურის განვითარების თაობაზე და **გაოგნებული ვარ, საიდან იცოდა სტალინმა ასე ზუსტად ან ფოთის კლიმატი, ან ლანდშაფტი, ან კიდევ მდინარეთა შენაკადების წყალუხვობა და კალაპოტი.** მეჩვენება, რომ ეს დადგენილება 1935 წელს არ დაწერილა, რადგან დღევანდელ გეოდეზიურ და ოპტიკურ საუკუნეშიც კი წარმოუდგენელია ასე ზუსტად დაინახო სანავსადგურო ქალაქის განვითარების მრავალწლიანი პერსპექტივა და განსაზღვრო მისი შესრულების ზუსტი ვადები.

**— ბატონო პეტრე, როდესაც გამოჩენილი არქიტექტორი, მანჰეტენის ტყუპის პროექტის ავტორი მოსკოვში ჩავიდა და სტალინური მაღლივები და მოსკოვის მეტროპოლიტენი დაათვალიერა, გაოცებულმა განაცხადა: „რაც უნდა თქვან ამ „ხულიგან" ბელადზე, ქალაქმშენებლობის ასეთი გენიალური ხედვით არა მგონია, ვინმე იყო ადრე, ან იქნება მომავალში დაჯილდოებული".**

მაგრამ რა, განა დღეს სტალინი სათანადოდ არის დაფასებული?..

**მიმდინარე წლის 24 თებერვლს სოციალური ქსელ „ფეისბუქში" გამოვაქვეყნე ვიდეომიმართვა, რომ ბორჯომში, ლიკანში, რომანოვების სასახლე საგანგაშო მდგომარეობაშია. სწორედ ამ სასახლეში ისვენებდა ყველაზე ხშირად სტალინი, თუ არ ჩავთვლით შავიზღვისპირა აგარაკებს. ვიდეომიმართვაში მკითხველს დავპირდი, რომ უფრო ვრცლად მოვუყვებოდი ამის შესახებ მომდევნო ოთხშაბათს ყოველკვირეულ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში",** რომელშიც ჩემი საავტორო გვერდია. ამიტომ დღეს უფრო დაწვრილებით ვისაუბრებ ბორჯომის ხეობასა და მის მარგალიტებზე.

მკითხველი რომ არ გადავღალო ბორჯომის ხეობის უძველესი ისტორიით, თხრობას მე-19-ე საუკუნის შუა ხანიდან დავიწყებ.

**1860 წლის აღწერით, ბორჯომის 15 სოფელში აღრიცხული იყო მხოლოდ 104 კომლი 418 სულით. მოსახლეობა, ძირითადად, შემოსული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მიუხედავად იმისა, რომ 1801 წლიდან საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, ბორჯომის ხეობა იმპერიის წარმომადგენლებისთვის მაინც მიუწვდომელი გახლდათ.**

**ავალიშვილების მოთხოვნები იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ვორონცოვის შუამდგომლობის საფუძველზე სრულად დაამტკიცა 1851 წლის 19 ივლისს, რაც დაუყოვნებლივ ეცნობა ვორონცოვს. ამრიგად, რომანოვებისა და ავალიშვილების 17-წლიანი ომი 1852 წელს დამთავრდა. ბორჯომის მამული რუსეთის ხაზინას დარჩა და მეფისნაცვალი ვორონცოვის საზაფხულო რეზიდენციად იქცა. ავალიშვილებს კი ჩამოერთვათ ხელწერილი, რომ ხელს აიღებდნენ ბორჯომის მამულზე**

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1828 — 1829წწ), 1828 წელს, რუსეთმა გადაწყვიტა, ოსმალებისთვის კავკასიიდანაც დაერტყა და ახალი ფრონტი გაეხსნა. ფრონტის სარდლად **პასკევიჩი** დაინიშნა. **ქართული ჯარის ნაწილებთან ერთად რუსეთის არმიამ ძლიერი დარტყმა აგემა თურქებს და 1828 წლის 30 ივნისს ყარსი აიღო, ხოლო 23 ივლისს — ახალქალაქი. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ქალაქ ახალციხისთვის, სადაც ოსმალთა 25 000-ანი არმია სრულიად იქნა განადგურებული და ახალციხე სამუდამოდ განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან.** 1829 წლის სექტემბერში ადრეანოპოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, შედეგად რუსეთმა საქართველოს შემოუერთა მისი ძველთაძველი მიწები, სოფლები და ქალაქები: ახალციხე, ახალქალაქი, ფოთი და ძველი სამცხე-საათაბაგოს ათი რაიონი: ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქობლიანის, აბასთუმნის, ჭაჭარაქის, ფოცხვისა და ჩილდირის.

ბორჯომის ხეობაში სიმშვიდემ დაისადგურა და თავადმა **ავალიშვილებმა** კუთვნილი ხეობის დაპატრონება დაიწყეს. **რუსეთის იმპერიამ სწრაფად აუღო ალღო ბორჯომის ხეობის მნიშვნელობას, შეისწავლა ტყის, მიწის, მინერალური წყლების უნიკალურობა და დაიწყო მათი გამოყენება. 1830 წელს რუსეთმა ბორჯომში ააშენა მინის ქარხანა, სადაც, ძირითადად, ამზადებდნენ ბოთლებს, რომლებითაც საქართველოდან სხვადასხვა გუბერნიაში უნიკალური ქართული ღვინოები გაჰქონდათ.**

მინის ქარხნის ძირითადი ენერგორესურსი იყო შეშა, რომელიც დიდი რაოდენობით იჭრებოდა ბორჯომის ტყეებში, რის გამოც ავალიშვილებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსებს, კერძოდ, ბორჯომით დაინტერესებულ **რომანოვების** დინასტიას. რომანოვებმა გადაწყვიტის საერთოდ ჩამოეცილებინათ ავალიშვილები ბორჯომის ხეობისთვის და მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი გამოიყენეს, მაგრამ ავალიშვილები ვერ გატეხეს. მათ ზედიზედ მოიგეს სასამართლო პროცესები, ჯერ გორის მაზრაში, ხოლო შემდეგ — ზემდგომ ინსტანციაში თბილისში. მზადდებოდა საჩივარი პეტერბურგში გასაგზავნად. სწორედ ამ დროს, 1844 წელს, კავკასიაში ჩამოვიდა ახალი მეფისნაცვალი **მიხეილ ვორონცოვი,** რომელიც იმავე წლის ზაფხულში ბორჯომის ხეობაში გაემგზავრა დასასვენებლად. დასვენებასთან ერთად ამ ფრიად განათლებულმა და დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა დეტალურად შეისწავლა ბორჯომის ხეობა და მის გამო წარმოქმნილი დავის ყველა წვრილმანი. ვორონცოვმა შეპარვითა და დიპლომატიური ხერხებით სცადა ავალიშვილების დაყოლიება და ხეობის ხელში ჩაგდება, მაგრამ ავალიშვილები ადვილად არ დამორჩილდნენ მეფისნაცვალს. გამოცდილმა დიპლომატმა მოლაპარაკება გამართა ავალიშვილებთან და შესთავაზა, შეფასებულიყო მათი ადგილ-მამული, რომლის ღირებულებასაც აუნაზღაურებდა ხაზინა. **ავალიშვილების ადგილ-მამული ბორჯომში ადრეც იყო შეფასებული და 29 000 ოქროს მანეთს შეადგენდა,** მაგრამ ხაზინამ თანხა არ გადაიხადა, რადგან ძალიან ძვირი მოეჩვენა. ავალიშვილებმა მოილაპარაკეს, ერთჯერად თანხად არ გაეყიდათ ბორჯომის ადგილ-მამული და მეფისნაცვლისთვის მოეთხოვათ ყოველწლიური მუდმივი პენსია 4 500 მანეთის ოდენობით. ეს გადაწყვეტილება ავალიშვილებმა პირადად მოახსენეს მეფისნაცვალს. ვორონცოვმა სიხარულით მიიღო ავალიშვილების წინადადება და სასწრაფოდ დაავალა ხელქვეითებს, მოემზადებინათ შეთანხმების აქტი, რაც მეფისნაცვალმა უმოკლეს დროში მიიღო. ვორონცოვმა მეფე **ნიკოლოზ I**-თან შემდეგი შინაარსის წერილი აფრინა:

„ბორჯომის ხეობა უნიკალურია თავისი სიმშვენიერითა და სიმდიდრით, ავალიშვილების დავა სამართლიანია და ამ დავაში ისინი აუცილებლად გაიმარჯვებენ. ძალის ზემოქმედებით მათი განაწყენება არა მხოლოდ თავადი ავალიშვილების განაწყენება იქნება, არამედ უნდობლობას დათესავს რუსეთის მიმართ ქართველ თავადაზნაურობაში. ამიტომ გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ თქმული და ავალიშვილებს მივცეთ სამუდამო პენსია წელიწადში არა 4 500 მანეთი, არამედ გავუზარდოთ მათ ეს თანხა 5 000 მანეთამდე და დავდოთ ხელშეკრულება ავალიშვილებთან შეთანხმების დაურღვევლობაზე".

**ავალიშვილების მოთხოვნები იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ვორონცოვის შუამდგომლობის საფუძველზე სრულად დაამტკიცა 1851 წლის 19 ივლისს, რაც დაუყოვნებლივ ეცნობა ვორონცოვს. ამრიგად, რომანოვებისა და ავალიშვილების 17-წლიანი ომი 1852 წელს დამთავრდა. ბორჯომის** ▶

**სასახლის პირველ სართულზეა რომანოვების სამუშაო ოთახი. სასახლის ფასადები და ეზო დამშვენებული უძვირფასესი მარმარილოსაგან გამოკვეთილი ქანდაკებებითა და ძვირფასი ლითონებისგან ჩამოსხმული ფიგურებით. სასახლის წინა ბაღის თვალსაჩინო ადგილზე — სვეტზე გამოსახულია ორი ძერა, რომელთაც კლანჭებით უჭირავთ კურდღლის ფიგურა და ერთმანეთს სტაცებენ მას. ეს ფიგურები სპარსეთ-ოსმალეთისა და პატარა საქართველოს უთანასწორო ბრძოლის სცენაა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მამული რუსეთის ხაზინას დარჩა და მეფისნაცვალი ვორონცოვის საზაფხულო რეზიდენციად იქცა. ავალიშვილებს კი ჩამოერთვათ ხელწერილი, რომ ხელს აიღებდნენ ბორჯომის მამულზე.**

1853 წლის 17 აპრილის ბრძანებით, ვორონცოვმა ბორჯომი დაბად გამოაცხადა და მისი სწრაფად დასახლების მიზნით დაიწყო სამოსახლო მიწების გაცემა. მიწის მიმღები ვალდებული იყო, წლის განმავლობაში სახლი აეშენებინა.

1862 წელს დაბა ბორჯომში მუდმივი მცხოვრები მხოლოდ 12 კომლი (45 სული)იყო. ვორონცოვმა დიდი როლი ითამაშა ბორჯომის განაშენიანებასა და მისი აღორძინების, აგრეთვე, მინერალური წყლების მოვლა-პატრონობის საქმეშიც. მან ნება დართო ოსმალთა ბატონობის პერიოდში გაქცეულ ოჯახებს, დაბრუნებულიყვნენ წინაპრების სოფლებსა და მამულებში. 1869 წელს ბორჯომში უკვე აღირიცხა 205 კომლი 1124 სულით. 1871 წლის სექტემბერში იმპერატორმა **ალექსანდრე მეორემ** ბორჯომი მოინახულა და სახაზინო მამული დიდ მთავარს, **მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვს** გადასცა, რაც 1872 წელს რუსეთის სენატის მიერ იქნა დამტკიცებული. ბორჯომის მამული თავისი მინერალური წყლებით ამოირიცხა სახელმწიფო ქონებიდან და გადაეცა ახალ მფლობელს. ყოველწლიური სამუდამო პენსია 5 000 მანეთი, რომელიც უნდა გადაეხადათ ავალიშვილებისთვის გადასახდელი დარჩა სახელმწიფოს, მამული კი მიხეილ რომანოვის ხელში გადავიდა და რომანოვების საagარაკო ადგილად იქცა.

**XIX საუკუნის ბოლოს მიხეილ რომანოვის ვაჟს ლიკანში ადგილი, სადაც პურის გასალეწი კალო იყო მოწყობილი, მოსწონებია და გადაუწყვეტია სასახლის აშენება. სწორედ ამ ადგილზე, ნიკოლოზ რომანოვის ბრძანებით, 1892-1895 წლებში არქიტექტორმა ლეონტი ბენუამ ააშენა რეზიდენცია, რომელიც გამორჩეულია არქიტექტურული სინატიფით. სასახლეში დაცულია უნიკალური ანტიკვარული ნივთები: ნაპოლეონის მიერ რომანოვებისათვის ნაჩუქარი საწერი მაგიდა, ირანის შაჰის ნაჩუქარი სავარძელი, პეტრე პირველის ხელით კაკლის ხის ფესვებისაგან დამზადებული ისტორიული მაგიდა, რომანოვებისდროინდელი ბილიარდის მაგიდა, საბილიარდო ოთახში რუსულ ღუმელზე იტალიური ფაიფურისგან დამზადებული ბორჯომის ხეობაში გავრცელებული ცხოველების ფიგურები, ბუხრის თავზე განმარტოებით მდგარი ბუს ფიგურა.**

**სასახლის პირველ სართულზეა რომანოვების სამუშაო ოთახი. სასახლის ფასადები და ეზო დამშვენებული უძვირფასესი მარმარილოსაგან გამოკვეთილი ქანდაკებებითა და ძვირფასი ლითონებისგან ჩამოსხმული ფიგურებით. სასახლის წინა ბაღის თვალსაჩინო ადგილზე (სვეტზე) გამოსახულია ორი ძერა, რომლებსაც კლანჭებით უჭირავთ კურდღლის ფიგურა და ერთმანეთს სტაცებენ მას. ეს ფიგურები სპარსეთ-ოსმალეთისა და პატარა საქართველოს უთანასწორო ბრძოლის ამსახველი სცენაა. სასახლის ეზოში სხვა უძვირფასესი ნაკეთობაც ბევრია. პარკში არსებულ ყველა მცენარეზე მიკრული იყო უჟანგავი ლითონის ფირფიტა, რომელზეც მცენარის რიგითი ნომერი იყო ამოტვიფრული, ამით შესაძლებელი იყო ჟურნალში მისი წარმომავლობის აღრიცხვა.**

ასეთია რომანოვების სასახლის ისტორიის პირველი პერიოდი.

აქ მკითხველს ბოდიშს მოვუხდი მცირე გადახვევისათვის:

რამდენიმე წლის წინათ საშუალება მქონდა, დამეთვალიერებინა პარიზთან ახლოს მდებარე სოფელი ლევილი — ახლა უკვე ქალაქის გარეუბანი. მის აღწერას და ისტორიის მოყოლას არ ვაპირებ, მაგრამ ერთი საინტერესო დეტალი უნდა მოგახსენოთ:

გიდი დაწვრილებით გვიხსნიდა შატოს ისტორიას და მის მნიშვნელობას საქართველოს დევნილი მთავრობისთვის. როდესაც ეზოს ტერიტორიას ვათვალიერებდით, გიდმა ყურადღება გაამახვილა ტერიტორიაზე არსებულ პატარ-პატარა ამომშრალ აუზებზე, რომლებიც რატომღაც ქვებითა და ნაგვით იყო ამოვსებული. ისიც გვითხრა, რომ ამ ტერიტორიაზე (5 ჰექტარია მისი ფართობი) 17 სხვადასხვა სიდიდისა და სიღრმის აუზი ყოფილა აშენებული, რომლებშიც ზიარჭურჭლის პრინციპით წყალი გადადიოდა და ერთმანეთს ავსებდა. ყველა აუზში ოქროსფერი თევზები დაცურავდნენ. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ლევილის მამული შეძლებული ფრანგი მემამულისაგან შეიძინა. მამული 47 ჰექტარს შეადგენდა, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ ნაკვეთ-ნაკვეთ გაყიდა სხვადასხვა მფლობელზე. ახლა ქართველთა მამულის გარშემო, 42 ჰექტარზე, თითქმის სამოთხეა აშენებული, ხოლო ჩვენს ყოფილ მთავრობას, რომელიც თურმე, თანამედროვე გაგებით, ევროპული ორიენტაციისა ყოფილა, საბაბით, რომ კაპიტალისტები არ არიან და არ სჭირდებათ ფუფუნება, აუზებიდან ოქროსფერი თევზები ამოუყრიათ, წყალი დაუშრია და აუზები ქვებითა და ნაგვით ამოუვსია. ეს აუზები დღესაც ასეა.



მიხეილ ვორონცოვი

მსგავსი რამ უკვე გაკეთებული ჰქონდა მენშევიკურ მთავრობას — 1918-1921 წლებში მასობრივად ანგრევდნენ და ძარცვავდნენ ეკლესია-მონასტრებსა და მეფისდროინდელ სასახლეებს, ეს ქმედება შემდეგაც გაგრძელდა, ვიდრე სტალინმა ლენინის გარდაცვალებისთანავე ხელი არ მოაწერა დეკრეტს ეკლესია-მონასტრებისა და სასასახლეების ნგრევის შეწყვეტის შესახებ. ამ დეკრეტის შემდეგ მსგავსი ქმედება ისჯებოდა:

ლიკანში რომანოვების სასახლემ მას შემდეგ ამოისუნთქა, როცა 1927 წელს სტალინი მცირე ხნით დასასვენებლად ჩავიდა ბორჯომში და სწორედ ამ სასახლეში დაიდო ბინა. სტალინს ძალიან მოსწონდა როგორც ლიკანის კლიმატი, ასევე, შენობის არქიტექტურული დეტალები. ის თავისი ხელით უვლიდა ყვავილებს და რგავდა სხვადასხვა ჯიშის ხეებს.

ერთ-ერთ გამოსასვლელში (სასახლეს ოთხივე მხარეს აქვს დიდი გამოსასვლელი), რომელიც ქვის ფართო კიბით უკავშირდება სასახლის გარშემო გაშენებულ ბაღს, სტალინმა გადაწყვიტა, კიბის მარჯვენა და მარცხენა მხარეს დაერგო ცაცხვის უნიკალური ჯიშის ორი ნერგი. ცაცხვის ნერგები მეორე დღესვე მიიტანეს სასახლეში და სტალინმაც თავისი ხელით ამოთხარა ორმოები, გაანოყიერა ძირებში ჩასაყრელი მიწა, ჩარგო ნერგები და ტერფებით მაგრად დატკეპნა, იქვე გახსნა ონკანი, რომლითაც ბაღში ყვავილები ირწყვებოდა და, წყლის სუსტი წნევით, ნელ-ნელა რწყავდა დარგულ მცენარეებს. სტალინის წასვლის შემდეგ მნახველთა ნაკადი არ წყდებოდა სასახლის ტერიტორიაზე. ყველას უნდოდა, ენახა ადგილი, სადაც ღამეს ათევდა სტალინი, გარდა ამისა, მნახველები იხიბლებოდნენ სასახლის ჯადოსნური სილამაზით.

რომანოვებს სასახლის პირველ სართულზე საძინებელი არ ჰქონდათ, მეორე სართულზე კი, სადაც ეგრეთ წოდებული პეპლებიანი საძინებელი და სხვა ოთახებია განლაგებული სტალინი არ ასულა და არც კი დაუთვალიერებია. მას გორიდან სასწრაფოდ ჩაუტანეს სწორედ ისეთი ტახტი-საწოლი, როგორიც გორში მის პატარა სახლ-მუზეუმშია. ტახტი დადგეს მის სამუშაო ოთახში, სადაც მუშაობით ან პარკში ხანგრძლივი სიარულში დაღლილი წამოწვებოდა ხოლმე. სტალინი საკმაო დროს ატარებდა საბილიარდო ოთახში, სადაც დაცვის „ბიჭებს" ბილიარდს ეთამაშებოდა. მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ სტალინი მეორე სართულზე ასვლას არ აპირებდა, სტალინის ბორჯომიდან გამგზავრებისთანავე დაიწყეს პირველი სართულის რეკონსტრუქცია: სამუშაო ოთახიდან გაჭრეს კარი მიმდებარე პატარა ოთახში, სადაც დაიდგა საწოლი, იქვე ახლოს მოუწყვეს აბაზანა, რომელიც დღემდე დაცულია.

ბორჯომში სტალინის ყოფნისას სასახლის ტერიტორია არ იმიჯნებოდა სანატორიუმებისგან — ძალიან შეუმჩნევლად იყვნენ ჩასაფრებული დაცვის თანამშრომლები, რათა დამსვენებლებს თვალში არ მოხვედროდათ სტალინზე განსაკუთრებული ზრუნვა.

ერთხელ, სასახლის მიმდებარე სკვერში ყვავილების მომვლელი ქალბატონი ძლიერი წყლის ჭავლით რწყავდა ვარდის ბუჩქს. სტალინი მიუახლოვდა მებაღეს და სთხოვა, ჭავლისთვის დაეკლო და რეზინის მილისთვის თავზე ბადურა წამოეცვა. მან დაწვრილებით აუხსნა ქალს, რატომ არ შეიძლება წყლის ძლიერი ნაკადით ყვავილების მორწვა:

— თუ დაწვიმების საშუალება არ არის, მაშინ სჯობს, მორწყვა ძირებში ჭავლის ნელი მიშვებით აწარმოო, — განუმარტა სტალინმა.

ეზოში ჩაფიქრებით სიარულისას სტალინმა თვალი მოჰკრა ბუჩქებში ჩამალულ დაცვის მუშაკს და თავისთან იხმო.

— რამდენი მეტრით იქნება დაშორებული ეს ხე იმ ხისგან? — მიუთითა ხეებზე.

მცველმა მხრები აიჩეჩა და შეშინებულმა რაღაც ციფრი დაუსახელა. სტალინი არ დაეთანხმა და თავისი მოსაზრება უთხრა. — ალბათ, ასე იქნება დაუდასტურა მცველმა.

— მოდი, ერთად შევამოწმოთ, — თქვა სტალინმა და დიდი ნაბიჯებით გადაზომა მანძილი ხიდან ხემდე. სტალინი მართალი აღმოჩნდა. ეს ამბავი საბაბი შეიქნა იმისა, რომ დაცვის ყველა წევრს ჯიბეში დასაკეცი მეტრიანი ედო და ყველამ იცოდა, რომელი ხე რა მანძილით იყო დაშორებული მეორე ხისგან.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**ქართული ჯარის ნაწილებთან ერთად რუსეთის არმიამ ძლიერი დარტყმა აგემა თურქეთის არმიას და 1828 წლის 30 ივნისს ყარსი აიღო, ხოლო 23 ივლისს — ახალქალაქი. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ქალაქ ახალციხისთვის, სადაც ოსმალთა 25 000-ანი არმია სრულად იქნა განადგურებული და ახალციხე სამუდამოდ განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან. 1829 წლის სექტემბერში ადრეანოპოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, შედეგად რუსეთმა საქართველოს შემოუერთა მისი ძველთაძველი მიწები, სოფლები და ქალაქები: ახალციხე, ახალქალაქი, ფოთი და ძველი სამცხე-საათაბაგოს ათი რაიონი: ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქობლიანის, აბასთუმნის, ჭაჭარაქის, ფოცხვისა და ჩილდირის**





სტალინის სამუშაო ოთახი სასახლეში

მაიდნის ჯალათები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„20 თებერვალს, ღამით, სროლის ხმა შემომესმა, როგორც მომეჩვენა, ოქტომბრის სასახლის მხრიდან. პაშინსკი წამოხტა, აიღო რაცია და აყვირდა, რომ ცეცხლი შეეწყვიტათ, რადგან ჯერ ადრე იყო. სროლა შეწყდა. დაახლოებით 7 საათსა და 30 წუთზე, ზუსტი დრო არ მახსოვს, პაშინსკიმ გასცა ბრძანება, გვესროლა „ბერკუტისა“ და მომიტინგეების მიმართულებით. ბრძანების შემდეგ ცეცხლი გახსნა ყველამ, ვინც კი კონსერვატორიაში იყო. ისროდნენ მეორე სართულიდან. პაშინსკი ავტომატიდან ისროდა მოკლე ჯერით, ახალგაზრდა პარასიუკი — კარაბინ „საიგადან“, მისი მამაც — კარაბინიდან“.**

# ვინ იყო სააკაშვილის თანმხლები კრისტოფერ ბრაიანი და როგორ ხვრეტდნენ «მისოს» მხარდამჭერები მაიდანზე დემონსტრანტებსა და სამართალდამცველებს: ქართველმა სნაიპერებმა ფარდა ახადეს ევრომაიდნის მოვლენებს

**„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს განსაკუთრებული დამოკიდებულება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სიყვარული“ აქვთ პასპორტების მიმართ. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე პასპორტიდან ამოიღეს მამის სახელისა და ეროვნების გრაფები, ხოლო ხელისუფლებაში ყოფნისას ყალბ პირადობის მოწმობებს ამზადებდნენ არჩევნების გასაყალბებლად. 2013 წლის ნოემბრის ბოლოს კი, არჩევნებში დამარცხების შემდეგ, ყოფილი პრემიერი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, სააკაშვილის მარჯვენა ხელი და ქვეყნის „ხერხემალი“ ვანო მერაბიშვილი ლევან მაისურაძის სახელზე გაფორმებული ყალბი პასპორტით ცდილობდა საზღვრის გადაკვეთას. შემდეგ, 2017 წლის დეკემბერში, თვითონ სააკაშვილს შეექმნა პრობლემები პასპორტის გამო, როდესაც განაცხადა, რომ პოლონეთ-უკრაინის საზღვრის გადაკვეთისას პასპორტი მოპარეს, თუმცა, როგორც გაირკვა, პასპორტი კიევში მისი მხარდამჭერის ბინაში ინახებოდა. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილის მხარდამჭერებმა ყალბი პასპორტებით გაიარეს სასაზღვრო შემოწმება თბილისის აეროპორტში და კიევში გაფრინდნენ მაიდნის აქციის მონაწილეთა... დასახვრეტად. თუმცა პასპორტების ფალსიფიკაცია რა მოსატანია იმასთან შედარებით, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაატრიალა 9-წლიანი მმართველობის პერიოდში საქართველოში და, როგორც ირკვევა, არა მხოლოდ საქართველოში, მათ უკრაინაშიც მძიმე დანაშაულები ჩაიდინეს...**

2014 წლის 20 თებერვალი ევრომაიდნის ყველაზე მძიმე და სისხლიანი დღეა — კიევში საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას სნაიპერების ატეხილი სროლის შედეგად დაიღუპა 53 ადამიანი: 49 — აქციის მონაწილე, 4 — სამართალდამცველი. სულ კი 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის აპრილამდე დაიღუპა 106 ადამიანი.

კიევში მომხდარი ამ ტრაგიკული მოვლენებიდან დღემდე უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლება საპროტესტო აქციის მონაწილეებისა და სამართალდამცველების დახვრეტაში პრეზიდენტ **ვიქტორ იანუკოვიჩის** რეჟიმსა და რუსეთს ადანაშაულებდა, მაგრამ არსებობდა ვერსია, რომ ეს საზარელი დანაშაული ევრომაიდნის ხელმძღვანელებმა ჩაიდინეს „საკრალური მსხვერპლით“ რევოლუციური ვითარების გასამწვავებლად.

* 2014 წლის 5 მარტს „იუთუბიზე“ გამოქვეყნდა საგარეო საკითხებში ევროკავშირის იმჟამინდელი უმაღლესი წარმომადგენლის — **კეტრინ ეშტონისა** და ესტონეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის — **ურმას პაეტის** სატელეფონო საუბარი, რომელიც გაიმართა 2014 წლის 26 თებერვალს უკრაინაში პაეტის ვიზიტის შემდეგ. სატელეფონო საუბრისას ეშტონმა პაეტს აცნობა, რომ „ყველა სამხილის მიხედვით, მილიციელები და დემონსტრანტები ერთი და იმავე სნაიპერების მიერ გახსნილი ცეცხლით დაიღუპნენ“.

* 2017 წლის ნოემბერში ერთ-ერთმა იტალიურმა არხმა (TG5) აჩვენა ჟურნალისტ **ჯან მიკალესინის** ფილმი „მაიდანი. დამალული ჭეშმარიტება“ (Maidan. Occhidellagutrra), რომელშიც ქართველი სნაიპერები აღიარებენ, რომ 2014 წელს კიევში ე.წ. ევრომაიდნის მიმდინარეობისას ადამიანებს კლავდნენ, რათა გამოეწვიათ ქაოსი და დაემხოთ კანონიერი ხელისუფლება, **დემონსტრანტებს კი ესროდნენ არა პრეზიდენტ იანუკოვიჩის მომხრეები, არამედ ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ოპოზიციის ლიდერები.**

ფილმში ამ ვერსიას ადასტურებს სამი ქართველი — **კობა ნერგაძე, ზალოგი კვარაცხელია** და **ალექსანდრე რევაზიშვილი.** ისინი შედიოდნენ ჯგუფში დაქირავებული უცხოელი სნაიპერებისა, რომლებიც უკრაინაში სისხლიან პროვოკაციაში მონაწილეობისთვის ჩავიდნენ. ქართველების თქმით, მათ არ იცოდნენ, რომ დახვრეტაში მიიღებდნენ მონაწილეობას; ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ მომიტინგეების მხარდასაჭერად გამოიყენებდნენ, მაგრამ ადგილზე ჩასულებს უბრძანეს, ესროლათ როგორც აქტივისტებისთვის, ისე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის. დაქირავებულთა ამ ჯგუფში იყო კიდევ ერთი პირი — ამერიკელი სნაიპერი **კრისტოფერ ბრაიანი.**

ფილმში საუბარია იმაზეც, რომ დახვრეტების ორგანიზებაში მონაწილეობდნენ სააკაშვილი და მისი უახლოესი მხარდამჭერი **მამუკა მამულაშვილი.** სნაიპერებმა დაასახელეს უკრაინელი კურატორებიც — უკრაინის პარლამენტის სპიკერი **ანდრეი პარუბიი,** „სახალხო ფრონტის“ ერთ-ერთი ლიდერი **სერგეი პაშინსკი** და მაჟორიტარი დეპუტატი **ვლადიმერ პარასიუკი.**

ახლახან კი საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“ კორესპონდენტი შეხვდა **კობა ნერგაძესა** და **ალექსანდრე რევაზიშვილს,** რომლებიც უსაფრთხოების მიზნით სომხეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან. კობა ნერგაძემ და ალექსანდრე რევაზიშვილმა ადვოკატებს — **ალექსანდრე გოროშინსკისა** და **სტეფანე რეშკოს** განუცხადეს, რომ მზად არიან, ილაპარაკონ სიმართლე და მისცენ მათ ჩვენება, ოღონდ დისტანციურად, რადგან უკრაინაში მათ სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე დაემუქროს.



ალექსანდრე რევაზიშვილი (მარცხნივ) და კობა ნერგაძე



KARUSAMIDZE/GEORGII MR 15DEC TBS KBP

**გიორგი ქარუსამიძის სახელზე გამოწერილი ავიაბილეთი, რომლითაც კობა ნერგაძე კიევში ჩავიდა 2013 წლის 13 დეკემბერს**

აი, რა განუცხადა **კობა ნერგაძემ** ადვოკატებს:

„არმიიდან ნებაყოფლობით წამოვედი 2006 წლის სექტემბერში. არმიაში გავიცანი მამუკა მამულაშვილი.

2007 წლის დასაწყისში, სააკაშვილის ბრძანებულებით, თავდაცვის სამინისტროსთან შეიქმნა უსაფრთხოების საიდუმლო სამსახური, რომელშიც შეიყვანეს ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, პოლიციის თანამშრომლები და ადრე ნასამართლევი პირები. ეს სამსახური ოფიციალურად შექმნილი იყო იმ მიტინგების დასაცავად, რომლებიც თბილისში იმართებოდა, რამე რომ არ მომხდარიყო სააკაშვილის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ნება დაგვრთეს, გვეტარებინა პირადი იარაღი — მაკაროვის პისტოლეტი. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები მომზადებას გადიოდნენ კრწანისის სასწავლო ცენტრში, სადაც ასწავლიდნენ მასობრივი არეულობების თავიდან აცილების მეთოდებს, მოსახლეობასთან ურთიერთობის წესებს, გამოყენებას საზღვარგარეთული წარმოების იარაღისა, რომელიც არის ნატოს შეიარაღებაში, აგრეთვე, საბჭოური წარმოების იარაღის გამოყენებას. **ამ სასწავლო ცენტრში ემზადებოდნენ უკრაინისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები. ინსტრუქტორები იყვნენ ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურეები. ჩვენ გვასწავლიდნენ აქციის მონაწილეებთან მუშაობას, სახელდობრ: ინფორმაციის მოპოვებას, ადამიანების მობილიზებას, კონფლიქტური ვითარების შექმნას, ხელისუფლების მხარდამჭერი ან მისი საწინააღმდეგო მიტინგების ორგანიზებას.**

ამას გარდა, 2013 წელს სასწავლებლად და სტაჟირებისთვის გამგზავნეს ლიტვის ანალოგიურ ცენტრში, ქალაქ ვილნიუსში. ჩემთან ერთად კიდევ რამდენიმე ადამიანი წამოვიდა. ცენტრში, ჩვენ გარდა, კიდევ იყო სლავური წარმოშობის 15 ადამიანი, რომლებიც უკრაინულად ლაპარაკობდნენ, დაახლოებით 30-35 წლისანი. სწავლება მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე. ჩვენ იქ 2-ჯერ ჩავედით 2-3 კვირის განმავლობაში. გაგვაცნეს საზღვარგარეთული წარმოების საპოლიციო ტექნიკის სახეობები: ჯავშანტრანსპორტიორები, „ჰამერის“ ტიპის დაჯავშნილი ავტომობილები. **გვასწავლიდნენ, როგორ დაგვეშალა მიტინგი, როგორ მოგვეწყო პროვოკაციები მიტინგზე ქაოსის შესაქმნელად.**

**მომზადების შემდეგ ჩვენი სამსახურის თანამშრომლებს იყენებდნენ ოპოზიციის მიტინგების ჩასახშობად საქართველოში, ოპოზიციის იმ ლიდერების დასაშინებლად, რომლებსაც უთვალთვალებდნენ; მეთაურის ბრძანებით, აუცილებლობის შემთხვევაში, სცემდნენ კიდეც ოპოზიციის ლიდერებს...** ჩვენი ჯგუფების საერთო ხელმძღვანელი იყო მამუკა მამულაშვილი — ოფიციალურად თავდაცვის მინისტრის მრჩეველი და სააკაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი. ჩვენ დაყოფილი ვიყავით ათეულებად, ერთ-ერთ ასეთ გუნდს მე ვხელმძღვანელობდი, სხვა ჯგუფებს — **გიორგი სარალიძე, მერაბ კიკაბიძე, დავით მაყიშვილი.** თითოეული შესრულებული დავალებისთვის ცალკე გვიხდიდნენ. მაგალითად, ოპოზიციური დეპუტატის გალახვისთვის ჯგუფს უხდიდნენ ათას დოლარს. ძირითადი ხელფასი კი საბანკო ბარათზე გვერიცხებოდა.

2013 წლის დეკემბერში სამსახურის ყველა თანამშრომელი შეგვკრიბა მამუკა მამულაშვილმა და გამოგვიცხადა, რომ სასწრაფოდ უნდა წავსულიყავით უკრაინაში მომიტინგეების დასახმარებლად. თითოეული ჯგუფის ხელმძღვანელს, მათ შორის, მეც, ფული გადმოგვცეს. მივიღე 10 ათასი დოლარი, თითოეული წევრისთვის — 1000-1000 დოლარი. ამას გარდა, დაგვპირდნენ, რომ უკან დაბრუნებისთანავე ჯგუფს 50 ათას დოლარს გადაუხდიდნ- ▶

# „მამულაშვილი ჩემს ჯგუფთან ერთად მოფრინავდა. თბილისის აეროპორტში მან პასპორტები ჩამოგვართვა და მესაზღვრეების გვერდის ავლით გაგვიყვანა, ისე, რომ შენიშვნაც არავის მოუცია. თვითმფრინავში კი სხვა სახელებსა და გვარებზე გაფორმებული პასპორტები დაგვირიგა. მე მივიღე პასპორტი 1977 წელს დაბადებული გიორგი ქარუსანიძის სახელზე“.

## მაიდნის ჯალათები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჯენ. მოგვთხოვეს ფოტოები და პასპორტები მამუკა მამულაშვილისთვის გადასაცემად. **მამულაშვილი ჩემს ჯგუფთან ერთად მოფრინავდა. თბილისის აეროპორტში მან პასპორტები ჩამოგვართვა და მესაზღვრეების გვერდის ავლით გაგვიყვანა, ისე, რომ შენიშვნაც არავის მოუცია. თვითმფრინავში კი სხვა სახელებსა და გვარებზე გაფორმებული პასპორტები დაგვირიგა.** მე მივიღე პასპორტი 1977 წელს დაბადებული **გიორგი ქარუსამიძის** სახელზე. რეისი ჩარტერული იყო. კიევში ჩაფრენისას ბორისპოლის აეროპორტის შენობაში დაგვხვდა მამაკაცი, რომელიც გაგვეცნო, როგორც **ანდრეი,** მოგვიანებით შევიტყვე, რომ მისი გვარი იყო **პარუბიი.** ისე, რომ პასპორტები არავისთვის გვიჩვენებია, ჩაგვსხეს მიკროავტობუსში და მიგვიყვანეს მრავალსართულიან სახლთან უშინსკის ქუჩაზე, შეგვასახლეს 2-ოთახიან ბინაში. ზუსტად არ მახსოვს, ალბათ, 10-15 დეკემბერი იქნებოდა 2013 წლის. ასე გაგრძელდა იანვრის ბოლომდე. ამ პერიოდში, ჩვენ ძირითადად, სასტუმრო „უკრაინაში“ ვცხოვრობდით. ჩემი ჯგუფის გარდა, იქ იყვნენ სხვა ჯგუფებიც: ყიფიანის, კიკაბიძის, მაყიშვილის, სარალიძის. ეს ჯგუფები დაახლოებით 10 თებერვალს ჩამოფრინდნენ.

**ერთხელ, ჩვენს ჯგუფთან ერთად მესამე სართულზე ვიყავი, როდესაც მოვიდნენ მიხეილ სააკაშვილი, მამუკა მამულაშვილი, ანდრეი პარუბიი, ანდრეი პაშინსკი და კამუფლაჟში გამოწყობილი მამაკაცი. ეს მამაკაცი სააკაშვილმა წარმოგვიდგინა, როგორც აშშ-ის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე კრისტოფერ ბრაიანი. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ის აშშ-ის არმიაში სნაიპერად მსახურობდა.** სასტუმრო „უკრაინაში“ ასევე იყვნენ პოლონელები და ლატვიელები.

18 თებერვალს, საღამოს, სასტუმროში მოვიდა ანდრეი პაშინსკი რამდენიმე უცხო მამაკაცთან ერთად. მათ ჩანთებიდან ამოიღეს კალაშნიკოვის 7,62-კალიბრიანი ავტომატები, აგრეთვე, კარაბინები, დრაგუნოვის სნაიპერული შაშხანა ოპტიკური სამიზნით და ერთი უცხოური წარმოების კარაბინი. დაგვირიგეს ვაზნების თითო კოლოფი თითოეული იარაღისთვის... მამულაშვილმა აგვიხსნა, რომ ჩვენი ამოცანა იყო, არ დაგვეშვა უკრაინის პრეზიდენტის რიგგარეშე, ვადამდე არჩევნები, წინააღმდეგ შემთხვევაში მაიდანი დაიშლებოდა.

**2014 წლის 19 თებერვალს, გვიან საღამოს, მოვიდა მამულაშვილი და მითხრა: „კობა, ხვალ ძალიან რთული დღე გვექნება, განსაკუთრებული დავალება უნდა შევასრულოთ... აუცილებელი იქნება, ქაოსი შევქმნათ მაიდანზე და გამოვიყენოთ იარაღი ყველა მისი მონაწილის მიმართ — მომიტინგეებისა და პოლიციელების, განსხვავება არ არის. მთავარია, 15-20 წუთის განმავლობაში ვესროლოთ ცოცხალ მიზნებს ამის შემდეგ ყველას შევკრებ და წავალთ თბილისში“.** აღვშფოთდი, — ასე არ მოგვილაპარაკია და ამ დავალებაზე თბილისში არაფერი გითქვამს-მეთქი.

მამულაშვილმა მიპასუხა, რომ გუშინ თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება გეგმა „ბ“-ზე და რომ ეს ბრძანებაა... ჩვენი მოქმედება განისაზღვრა შემდეგი თანამიმდევრობით: პაშინსკის ჯგუფს პირველს უნდა დაეწყო სროლა კონსერვატორიის შენობიდან, 3-4 წუთის შემდეგ სროლა უნდა აეტეხათ სასტუმრო „უკრაინაში“ მყოფ ჯგუფებს 1-2 წუთის ინტერვალით, შემდეგ დაეტოვებინათ იარაღი და წასულიყვნენ. სროლა 20 წუთზე მეტხანს არ უნდა გაგრძელებულიყო, რათა სამართალდამცველებს არ დაედგინათ მსროლელის ადგილსამყოფელი. შიშობდნენ, რომ სამართალდამცველები დაიწყებდნენ შტურმს და მსროლელებს დაატყვევებდნენ. მამულაშვილმა ჯგუფების წევრებს თეთრი სახვევები დაურიგა, რათა თავისიანები სხვებისგან გაერჩია. ჩემს ჯგუფს დაევალა სასტუმროს შესასვლელის, ფოიესა და დერეფნების დაცვა სართულებზე. იარაღი არ გვქონდა. ტანსაცმელი ყველას სხვადასხვანაირი გვეცვა: კამუფლაჟი, სამოქალაქო, შავი.

**დილით, დაახლოებით 8 საათზე, მომესმა სროლის ხმა კონსერვატორიის მხრიდან. 3-4 წუთის შემდეგ მამულაშვილის ჯგუფმა დაიწყო სროლა სასტუმრო „უკრაინიდან“. მესამე სართულის დერეფანში ვიყავი და ვხედავდი, როგორ ისროდა მაიდანზე გამავალი ფანჯრიდან ერთ-ერთი, მისი მეწყვილე კი ყოველი გასროლის შემდეგ ფანჯარას ხურავდა. გასროლის შემდეგ წყვილი გადადიოდა შემდეგ ოთახში და კვლავ ისროდა. 20 წუთის განმავლობაში მსროლელების წყვილმა 4-5-ჯერ გაისროლა, შემდეგ იარაღი ნომერში დატოვა და სასწრაფოდ გავიდა სასტუმროდან.** ვინ და როგორ წაიღო იარაღი ნომრებიდან, არ დამინახავს. მე და ჩემი მეგობარი **ბექო** სასტუმროს ჰოლში ჩავედით. იქ დავინახე პარუბიი, რომელმაც ბექოს უთხრა: „წადით, თორემ პრობლემები შეგექმნებათ“. წავედით ბინაში, ავიღეთ ჩვენი ნივთები და იმავე დღეს გამოვემგზავრეთ თბილისში.

პასპორტი, რომელიც მომცა მამულაშვილმა უკრაინაში გასამგზავრებლად, საქართველოში დავწვი. ახლა ჩემი ნამდვილი პასპორტით ვსარგებლობ. ამჟამად, უსაფრთხოების მიზნით, ძირითადად, სომხეთში ვცხოვრობ. ამ ყველაფერზე შემიძლია ვისაუბრო სასამართლოში, ოღონდ არა უკრაინის ტერიტორიაზე. მათგან ბევრი, ვისზეც ვისაუბრე, დღეს უკრაინაშია, აქვს ძალაუფლება და შესაძლებლობა, მომკლან“.

**ალექსანდრე რევაზიშვილი:** „საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვმსახურობდი საქართველოს არმიის მოტომსროლელთა ბრიგადაში. სამხედრო სპეციალობა: მოტომსროლელთა რაზმის სნაიპერი. 1995 წელს წამოვედი არმიიდან. თავს შემთხვევითი სამუშაოების შესრულებით ვირჩენდი. 2003 წელს, როცა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მოვიდა მიხეილ სააკაშვილი, მუშაობა დავიწყე ნატახტრის ლუდსახარშში.

ომში დამარცხების შემდეგ საქართველოში გააქტიურდა მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის ოპოზიციური მოძრაობა. მე მხარს ვუჭერდი სააკაშვილს და შევედი საზოგადოებრივ ორგანიზაცია „თავისუფალ ზონაში“, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს მიხეილ სააკაშვილს. ხელმძღვანელი იყო **კობა ხაბაზი.** მე ჩამრთეს ოპოზიციის მიტინგებზე პროვოკაციების მოწყობაში: ჩხუბის პროვოცირებაში, რათა პოლიციას ჰქონოდა მათი დაკავების საფუძველი. მიტინგებზე ფოტოებს უღებდნენ აქტივისტებს და მიჰქონდათ პირადად ხაბაზისთვის. ამ სამუშაოს კარგად გვინაზღაურებდნენ: 50-150 დოლარი კონკრეტული ამოცანის შესრულებისთვის. „თავისუფალი ზონის“ შტაბში გავიცანი მამუკა მამულაშვილი. **საქართველოში ოპოზიციას აქტიურად ებრძოდნენ ე.წ. ზონდერბრიგადები, რომლებიც ძალისმიერი მეთოდებით მოქმედებდნენ ოპოზიციის ლიდერების, ბიზნესმენებისა და იმ პოლიტიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ მთავრობას. ამ ჯგუფებს კურატორობდა მამუკა მამულაშვილი.**

2013 წლის მარტში მამუკა მამულაშვილმა და კობა ხაბაზმა შემომთავაზეს კიევში გამგზავრება ჯგუფთან ერთად. მივლინების მიზანი იყო კრეშჩატიკთან, მაიდნის რაიონში განლაგებულ შენობებში სნაიპერების შესარჩევად კონსულტაციები... დამპირდნენ 500 დოლარს.

მამულაშვილი, მე, **დათო გოგოხია, ავთანდილ კემულარია, მერაბ ყიფიანი** კიევში ჩავფრინდით. ვცხოვრობდით უკრაინის თავდაცვის სამინისტროსთან ახლოს, 9- სართულიან შენობაში, ნაქირავებ ბინაში. კიევში 15 დღეს ვიმყოფებოდით და შემდეგ თბილისში დავბრუნდით. კობა ხაბაზმა 500 დოლარი გადმომცა.

2014 წლის იანვრის ბოლოს კობა ხაბაზმა „თავისუფალი ზონის“ ოფისში გამოგვიძახა მე, გოგოხია, კემულარია, ყიფიანი და გვიბრძანა, კიევში გავფრენილიყავით. თითოეულს მოგვცა 1000-1000 დოლარი და დაგვპირდა, რომ მივლინების დასრულების შემდეგ კიდევ თითოეულს 5000 დოლარს დაგვირიგებდა, მივლინების მიზანი არ აუხსნია, თქვა მხოლოდ, საპროტესტო აქციების მონაწილეებს დაეხმარებითო. **კობა ხაბაზთან ერთად ჩავფრინდით კიევში. აეროპორტში დაგვხვდა მამულაშვილი. მეორე დღეს კარვებში შეგვასახლეს. მაიდანზე ინსტრუქტაჟს გვიტარებდა კობა ხაბაზი. ჩვენი მიზანი იყო აქციის მონაწილეების პროვოცირება და შეტევის დაწყება „ბერკუტის“ თანამშრომელთა წინააღმდეგ. მაიდანზე მოიტანეს ქვები, მოლოტოვის კოქტეილები, რათა ამით შეეტიათ „ბერკუტისთვის“ — ელოდნენ, რომ სამართალდამცველები შტურმს დაიწყებდნენ.**

15 თებერვალს ჩვენთან მოვიდა მამულაშვილი უკრაინელ ანდრეისა და ამერიკელ ინსტრუქტორ კრისტოფერ ბრაიანთან ერთად. მამულაშვილმა განგვიცხადა, რომ ჩვენ ანდრეის გუნდში ვიქნებოდით. ხაბაზმა გვითხრა, რომ ჩვენი ჯგუფი უნდა დამორჩილებოდა ანდრეი პაშინსკის (მოგვიანებით შევიტყვე, რომ მას ანდრეი კი არ ერქვა, არამედ **სერგეი**) და მასთან ერთად წავსულიყავით კონსერვატორიის შენობაში.

19 თებერვალს კონსერვატორიაში მივიდნენ **მამულაშვილი, გიორგი სარალიძე, კიკაბიძე, კალანდაძე** (სააკაშვილის პერიოდში გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი) და კიდევ დაახლოებით 10 კაცი. ისინი პაშინსკისთან ერთად წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ პაშინსკი დაბრუნდა უცნობებთან ერთად, რომლებმაც მოიტანეს ჩანთები იარაღით: ძირითადად, იყო კარაბინები. პაშინსკის ხელში ეჭირა კალაშნიკოვის ავტომატი. მან ყველას დაურიგა კარაბინები და ვაზნები. ჩვენს ჯგუფში კარაბინი მისცეს მხოლოდ ყიფიანს. შენობაში ჩვენთან ერთად იმყოფებოდა ახალგაზრდა მამაკაცი მამასთან ერთად. მოგვიანებით ტელეეკრანზე ვნახე და შევიტყვე, რომ იყო პარასიუკი. უმცროსი უფროსს „ბატიათი“ მიმართავდა და მივხვდი, რომ მამა-შვილი იყვნენ. 19 თებერვალს, საღამოს, კონსერვატორიაში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. ერთი საათის შემდეგ ადამიანების ჯგუფმა მოიტანა 3 თუ 4 პროჟექტორი, აივანზე დაამაგრა და შუქი მაიდნის მიმართულებით მიმართა. მივხვდი, რატომაც გააკეთეს ეს: შენობაში შუქი არ იყო და ვერავინ დაინახავდა, ვინ იყო იქ, პროჟექტორები კი ანათებდნენ სროლის ადგილს და თვალს სჭრიდა მათ, ვინც შენობას აკვირდებოდა.

**20 თებერვალს, ღამით, სროლის ხმა შემომესმა, როგორც მომეჩვენა, ოქტომბრის სასახლის მხრიდან. პაშინსკი წამოხტა, აიღო რაცია და აყვირდა, რომ ცეცხლი შეეწყვიტათ, რადგან ჯერ ადრე იყო. სროლა შეწყდა. დაახლოებით 7 საათსა და 30 წუთზე, ზუსტი დრო არ მახსოვს, პაშინსკიმ გასცა ბრძანება, გვესროლა „ბერკუტისა“ და მომიტინგეების მიმართულებით. ბრძანების შემდეგ ცეცხლი გახსნა ყველამ, ვინც კი კონსერვატორიაში იყო. ისროდნენ მეორე სართულიდან. პაშინსკი ავტომატიდან ისროდა მოკლე ჯერით, ახალგაზრდა პარასიუკი —კარაბინ „საიგადან“, მისი მამაც — კარაბინიდან.** ამის შემდეგ პაშინსკიმ გვიბრძანა: „დაყარეთ იარაღი და დატოვეთ შენობა!“ მე ყველასთან ერთად გავედი. ამ მომენტში კვლავ გრძელდებოდა სროლა სასტუმრო „უკრაინის“ მხარეს. როგორც კი სროლები შეწყდა, მე, ავთანდილი და დათო დავბრუნდით კარავში; ყიფიანი, რომელიც ისროდა, არ მოსულა. მეორე დღეს მაიდანზე გაიმართა სამგლოვიარო ღონისძიება. მესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ მეგაფონში **კლიჩკო, იაცენიუკი** და სხვები, ამბობდნენ, იანუკოვიჩმა უბრძანა „ბერკუტს“, ესროლა ხალხისთვისო.

კარავში კიდევ ერთი ღამე გავათიეთ, იმედით, რომ უფროსობა მოვიდოდა და გვეტყოდა, როგორ მოვქცეულიყავით. **როდესაც შევიტყვეთ, რომ ყიფიანი მოკლეს, სასწრაფოდ დავტოვე მაიდანი, რადგან მივხვდი, რომ მეც მომკლავდნენ, როგორც მოწმეს. წავედი ბორისპოლში და გადმოვფრინდი თბილისში“.**



მიხეილ სააკაშვილი მოწმობით ხელში




ვანო მერაბიშვილის ყალბი პასპორტი



მაიდნის აქციის მონაწილეთა დახვრეტის ისტორიის გორგალი, რომლის ძაფიც სააკაშვილამდე და უკრაინელ პოლიტიკოსებამდე მიდის, აჩვენებს იმ სისხლისსამართლებრივ პროცესებს, რომლებიც ქვეყნის ამჟამინდელმა პოლიტიკურმა ელიტამ წამოიწყო სააკაშვილის თანამზრახველთა დახმარებით.

როცა ამ ელიტას სჭირდებოდა სისხლიანი აქციების ორგანიზებაში ქართველი „სიკვდილის ლეგიონის“ მონაწილეობა, სინდისის ქენჯნის გარეშე გამოიყენა. იმხანად უკრაინის რევოლუციის არც ერთი ბელადი არ შეშფოთებულა, რომ ხვრეტდნენ არა, უბრალოდ, მათ მომხრეებს, არამედ თანამემამულეებს. ამის შემდეგ სააკაშვილმა ყოფილ თანაკურსელ პოროშენკოსგან მიიღო მოქალაქეობა და ოდესის გუბერნატორის პოსტი.

სააკაშვილის გუნდის წევრებმა კი შეაღწიეს სამართალდამცავ სტრუქტურებსა და არმიაში, დაინიშნენ მინისტრებად. ისინი უკრაინაში იმიტომ კი არ ჩავიდნენ, რომ ქვეყანა აეშენებინათ და მშვიდობიანი ცხოვრება აეწყოთ, არამედ იმისთვის, რომ მაიდანზე მოეკლათ მომიტინგეები, ებრძოლათ სამოქალაქო ომში დონბასში, პოლიტიკური არენიდან კი გაეძევებინათ სააკაშვილის მოწინააღმდეგეები.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. ამ საზარელი ამბების გასაჯაროების შემდეგ საკითხავია — არის თუ არა აღძრული სისხლის სამართლის საქმე მამულაშვილისა და სხვა პირების მიერ თბილისის აეროპორტიდან ყალბი პასპორტებით გასვლის თაობაზე ან გამოკვლეულია თუ არა ე.წ. თავისუფალი ზონისა და მისი შეფის — კობა ხაბაზის საქმიანობა?**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საბჭოთა არმია კანონიერად იმყოფებოდა ავღანეთში, რადგან სსრკ ოფიციალურად მიიწვია ავღანეთის მთავრობამ 1979 წელს, ისევე, როგორც სირიის მთავრობამ რუსეთის ჯარი 2015 წელს. ავღანეთის კონფლიქტი, ფაქტობრივად, იყო საშინაო დაპირისპირება სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ავღანეთის კანონიერ მთავრობასა და მოჯაჰედებს, ანუ დუშმანებს, ისლამისტურ ბანდებსა და სხვა ამბოხებულებს შორის“.**

# ომი ავღანეთში — მითები და რეალობა

**2018 წლის 15 თებერვალს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკიდან საბჭოთა ჯარების სრულად გამოყვანის 29 წელი შესრულდა. 9-წლიანი კონფლიქტი — 1979-დან 1989 წლამდე — ცივი ომის ერთ-ერთი დიდი ეპიზოდი იყო, მის შედეგებს კი აქამდე აქვს გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემასა და რეგიონის სტაბილურობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები ავღანეთში უკვე მე-17 წელიწადია ომობენ, დასავლელი სამხედრო ექსპერტების წყალობით, საბჭოთა სამხედრო კამპანია დამახინჯებით არის წარმოდგენილი. საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკის“ კორესპონდენტი ესაუბრა გენერალ-პოლკოვნიკ ბორის გრომოვს, ბოლო სარდალს მე-40 არმიისა, რომელიც ავღანეთში საბჭოთა არმიის შეზღუდული კონტინგენტის ძირითადი ნაწილი იყო. ბორის გრომოვმა ავღანეთში კონფლიქტის შესახებ გავრცელებული მითები გაფანტა.**


ბორის გრომოვი


საბჭოთა ჯარების გამოსვლა ავღანეთიდან

## მითი №1: „საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ომი“

„კონფლიქტის შესახებ პირველი შეცდომა მის სახელწოდებაშია“, — ამბობს გენერალი. — ე.წ. სსრკ-ავღანეთის ომი გულისხმობს, რომ კონფლიქტს ჰქონდა ორმხრივი ხასიათი, ანუ იყო კონფრონტაცია სსრკ-სა და ავღანეთს შორის. ეს კი, ფაქტობრივად, არასწორია“.

გრომოვის თქმით, ეს მითი დასავლეთმა გაავრცელა ცივი ომის პერიოდში, რათა ლეგიტიმურობა მიენიჭებინათ მოჯაჰედებისთვის, რომლებსაც მხარს უჭერდნენ აშშ და მისი მოკავშირეები.

**„საბჭოთა არმია კანონიერად იმყოფებოდა ავღანეთში, რადგან სსრკ ოფიციალურად მიიწვია ავღანეთის მთავრობამ 1979 წელს, ისევე, როგორც სირიის მთავრობამ რუსეთის ჯარი — 2015 წელს. ავღანეთის კონფლიქტი, ფაქტობრივად, იყო საშინაო დაპირისპირება სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ავღანეთის კანონიერ მთავრობასა და მოჯაჰედებს, ანუ დუშმანებს, ისლამისტურ ბანდებსა და სხვა ამბოხებულებს შორის.**

ამიტომ არ შეიძლება რთული დინამიკური კონფლიქტის წარმოჩენა შავ-თეთრ ფერებში საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის შეტაკებად.

თვით ცნება „ომი“ ამ შემთხვევაში უადგილოც კია, საბრძოლო მოქმედებების დაბალი ინტენსივობის გამო“.

## მითი №2: „საბჭოთა კავშირმა წააგო ავღანეთის ომი“

ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა სამხედრო კამპანიის ყველაზე პოპულარული მითი არის ის, რომ ეს ომი სსრკ-ის დამარცხებით დასრულდა, ამით განმტკიცდა ავღანეთის ავტორიტეტი, როგორც „იმპერიების მესაფლავის“.

„ეს ძალიან უზუსტო შეფასებაა, — ამბობს გენერალი, — პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა არმიის სარდლად ყოფნის პერიოდში არასოდეს მიმიღია ბრძანება, ვინმეზე გამემარჯვა ავღანეთში.

მე-40 არმიაში, პიკის მომენტში, ირიცხებოდა 108 800 ადამიანი და ეს ნათლად მოწმობს, რომ არავინ ცდილობდა კლასიკური სამხედრო გამარჯვების მოპოვებას ავღანეთში“.

**შეგახსენებთ: აშშ-მა ვიეტნამში გაგზავნა მე-40 არმიაზე 5-ჯერ მეტი სამხედრო კონტინგენტი იმ ტერიტორიაზე, რომელიც 5-ჯერ პატარაა ავღანეთზე.**

გრომოვმა ხაზგასმით აღნიშნა: **„ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მე-40 არმიის მისია იყო ავღანეთის კანონიერი მთავრობის მოღვაწეობისთვის სათანადო პირობების შექმნა.**

**ისინი, ვინც სამხედრო კამპანიის შედეგებს განიხილავდნენ „გამარჯვება-დამარცხების“ პრიზმაში, ვერ ხვდებიან პარტიზანთა წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების სირთულეებს. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ჯარისკაცებმა წარმატებით გაართვეს თავი დასახულ ამოცანებს ავღანეთში“.**

გრომოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა ჯარები სამხედრო კამპანიის განმავლობაში ავღანეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს აკონტროლებდნენ და, მოჯაჰედებს, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით ეხმარებოდა დასავლეთი ფინანსურად და იარაღით, ერთი საგუშაგოც კი არ ჩაუგდიათ ხელში.

ამასთანავე, ავღანეთის ლეგიტიმური მთავრობა, **მოჰამად ნაჯიბულას** ხელმძღვანელობით, ქმნიდა უსაფრთხოების ეფექტიან ორგანოებს, თვით ნაჯიბულას პოპულარობა კი განუხრელად იმატებდა ეროვნული შერიგების პოლიტიკის გატარების გამო.

**„ჩვენი ჯარების გამოსვლის მომენტში ავღანეთის მთავრობას შესწევდა უნარი, ავტონომიურად დაემყარებინა წესრიგი ქვეყანაში იმ პირობით, რომ სსრკ განაგრძობდა ფინანსურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. საბოლოოდ კი ნაჯიბულას რეჟიმის დამხობა განაპირობა სსრკ-ის დაშლამ, რუსეთის ახალმა ხელისუფლებამ კი აღარ მოისურვა ნაჯიბულას ფინანსური მხარდაჭერა“.**

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გასაჯაროებული დოკუმენტებიც მოწმობს, რომ მოჯაჰედები ვერ შეძლებდნენ ავღანეთის ლეგიტიმური მთავრობის დამხობას, თუ საბჭოთა კავშირი განაგრძობდა მის ფინანსურ დახმარებას.

## მითი №3: „ძალადობა, ძალადობა, არაფერი ძალადობის გარდა“

გენერალმა გრომოვმა, აგრეთვე, გააქარწყლა მითი, რომლის მიხედვით საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრები „აულაგმავი სისასტიკით ატარებდნენ ოპერაციებს ავღანეთის მოსახლეობის წინააღმდეგ.

„ულმობელი საბჭოთა ჯარისკაცების“ შესახებ ისტორიები მოგონილია მათ მიერ, ვინც მხარს უჭერდა მოჯაჰედებს და ცდილობდა მათი პოლიტიკური ლეგიტიმურობის ამაღლებას.

**„სინამდვილეში საბჭოთა კავშირმა განახორციელა უამრავი სამოქალაქო, ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამა, მიმართული ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, მხოლოდ 1982 წელს მე-40 არმიამ ჩაატარა 127 სამოქალაქო ოპერაცია, რომლებიც მოიცავდა სახლების შეკეთებას, გზების დაგებას, საკვებისა და მედიკამენტების დარიგებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის, აგრეთვე, კულტურულ ღონისძიებებს, და ამას აკეთებდა არმია! ამასთანავე, ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშაობდა უამრავი სამოქალაქო სპეციალისტი, მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში... განცხადებები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ავღანეთში „მიწის გადაბუგვის ტაქტიკას“ იყენებდა, აბსოლუტურად არაპროფესიონალურია.** ნებისმიერმა ოფიცერმა, რომელიც მონაწილეობდა ამბოხებულების წინააღმდეგ ოპერაციაში, იცის, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობის დამყარება სასიცოცხლოდ აუცილებელია წარმატებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოქმედებებისთვის, აგრეთვე, მსხვერპლის რაოდენობის შესამცირებლად, რაც მთავარი პრიორიტეტია.

ჩვენ ზოგიერთ მოწინააღმდეგესთანაც შევძელით ურთიერთობის დამყარება, მაგალითად, **ახმად შაჰ მასუდთან**, რათა უზრუნველგვეყო ჩვენი ჯარისკაცების უსაფრთხოდ გამოყვანა“, — აღნიშნა გრომოვმა.

## მითი №4: „ამას ამერიკელები უკეთესად აკეთებენ“

გენერალმა შეაფასა ავღანეთში ამერიკელების ომი, რომელიც, უკვე 17 წელია, გრძელდება და გაფანტა მითი იმის შესახებ, რომ ამერიკელები უფრო წარმატებით იბრძვიან.

**„არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ჩვენ მიერ ჩატარებულ ოპერაციებსა და ამერიკელების ოპერაციებს შორის.**

პირველ რიგში, ჩვენ სიტყვა არ გავტეხეთ და მართლაც გამოვედით ავღანეთიდან, ამერიკელები კი კვლავ ქვეყანაში არიან მას შემდეგაც კი, როცა განაცხადეს ჯარე- ▶


აშშ პრეზიდენტი რონალდ რეიგანი შეხვედრას მართავს მოჯაჰედებთან, 1986 წლის თებერვალი

**«არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ჩვენ მიერ ჩატარებულ ოპერაციებსა და ამერიკელების ოპერაციებს შორის. პირველ რიგში, ჩვენ სიტყვა არ გავტეხეთ და მართლაც გამოვედით ავღანეთიდან, ამერიკელები კი კვლავ ქვეყანაში არიან მას შემდეგაც კი, როცა განაცხადეს ჯარების გამოყვანის შესახებ — 2014 წელს»**

„რუსეთი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა, მტერია, თურქეთი კი — საქართველოს მთავარი მოკავშირე“, — განაცხადა პარლამენტის კომიტეტების დახურულ სხდომაზე საქართველოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა დავით სუჯაშვილმა, რომელმაც, პრინციპში, გაიმეორა კვირიკაშვილის ნათქვამი, მაგრამ ორივემ დაივიწყა თურქი ლიდერების სკანდალური განცხადებები, რომელთა თანახმად, „ბათუმი და ქობულეთი ისტორიულად თურქეთს ეკუთვნის“, რომ არაფერი ვთქვათ თურქი მესაზღვრეების მიერ აჭარაში საზღვრის თვითნებურად გადმოწევაზე და სრულიად საქართველოში ეკონომიკურ და რელიგიურ ექსპანსიაზე.

ფაქტები და მოვლენები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბის გამოყვანის შესახებ — 2014 წელს“, — აღნიშნავს გრომოვი.

**2014 წელს ოპერაცია „ურყევი თავისუფლების“ დასრულების შემდეგ აშშ-მა თითქმის გააორმაგა თავისი სამხედრო პერსონალი ავღანეთში, შედეგად სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობამ 14 ათასს მიაღწია.**

„ავღანეთში მე-40 არმიის შესვლის შემდეგ, იმის გამო, რომ ტერიტორიის დიდ ნაწილს ვაკონტროლებდით, მოჯაჰედები იძულებულნი შეიქნენ, იატაკქვეშეთიდან ემოქმედათ, რადგან მათ რეალური ძალაუფლება არ ჰქონდათ ქვეყანაში“, — ამბობს გენერალი.

ამჟამად კი „თალიბანი“ თავისუფლად მოქმედებს ავღანეთის ტერიტორიის 70 პროცენტზე.

„ამერიკელებისგან განსხვავებით, რომლებიც მიჩეულნი არიან თავიანთ ბაზებში ყოფნას, საბჭოთა ჯარისკაცები გაშლილი იყვნენ ქვეყანაში, როგორც დიდ ქალაქებში, ისე პატარა სოფლებში. ეს საშუალებას გვაძლევდა, უფრო ეფექტიანად გაგვეკონტროლებინა ტერიტორია და დაგვემყარებინა ურთიერთობა მოსახლეობასთან“, — განაცხადა გრომოვმა და აღნიშნა, რომ, **აშშ-ისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირი არ ცდილობდა, თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა მოეხვია თავს ავღანეთისთვის, რადგან სსრკ-ის ყოფნა ავღანეთში განპირობებული იყო პრაგმატული გეოპოლიტიკური ინტერესებით, განსაკუთრებით — უსაფრთხოებით და არა იდეოლოგიით.**

„მე-40 არმიამ დასახული მიზნების შესრულებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ავღანეთში და ეს გაგრძელდებოდა, რომ არა დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები — კერძოდ, სსრკ-ის კრახი.

ვამაყობ, რომ წილად მხვდა პატივი, მეხელმძღვანელა ჩვენი ჯარისკაცებისთვის, რომლებმაც ღირსეულად გაუძლეს მრავალრიცხოვან გამოცდას ავღანეთის მიწაზე. მადლობელი ვარ მათ მიერ გაწეული სამსახურისთვის“, — განაცხადა გრომოვმა.

**P.S. გენერალ-პოლკოვნიკმა ბორის გრომოვმა 5 წელზე მეტი გაატარა ავღანეთში, მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ღირსეული სამსახურისთვის. იყო მოსკოვის ოლქის გუბერნატორი და რუსეთის პარლამენტის დეპუტატი.**

უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა

**ნიკოლოზ აბაშიძემ**

**ცნობისთვის: ავღანეთის სამხედრო კამპანიაში საქართველოდან 8 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. მათგან 5 ათასი უშუალოდ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდა, ხოლო 3 ათასი — სამოქალაქო სპეციალისტად მუშაობდა. ოფიციალური სტატისტიკით, ავღანეთში 128 ქართველი დაიღუპა, 8 უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 500 კი დაინვალიდდა.**

# ხელისუფლების წარმომადგენლებს ან სკოლაში არაფერი უსწავლიათ, ან დოლარებისგან თვალებზე ლიბრი გადაეკრათ

**„ერს, რომელიც ივიწყებს საკუთარ წარსულს, მომავალი არ აქვს“**

**უინსტონ ჩერჩილი**

**საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ზოგჯერ ისეთ განცხადებებს აკეთებენ, ნორმალურ ადამიანს ეგონება, ან სკოლაში არაფერი უსწავლიათ, ან მწვანე დოლარებისგან თუ თურქული ლირებისგან ისე გადაეკრათ თვალებზე ლიბრი, ველარაფერს ხედავენ. მათ უნიათობას, სიმხდალეს სხვა ქვეყნების ხელისუფლებებისადმი, „სტრატეგიული პარტნიორი“ იქნება თუ მტრულად განწყობილი, მონურ, ვასალურ დამოკიდებულებას საზღვარი არ აქვს.**



დავით სუჯაშვილი



გიორგი კვირიკაშვილი

2017 წელს საქართველოს პრემიერმინისტრმა განაცხადა, რომ თურქეთი საქართველოს ისტორიული მეგობარია, შემდეგ — 2017 წლის 25 მარტს, როცა საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა კოალიციურ ლაშქარზე (თურქები ქართველებზე 5-6-ჯერ მეტნი იყვნენ), **დავით აღმაშენებლის** მეთაურობით, ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად 12 აგვისტოს „დიდი გამარჯვების დღედ“ გამოცხადებას, პრემიერმინისტრ **კვირიკაშვილს** თურქეთის საელჩომ თხოვნით (უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით — მოთხოვნით) მიმართა: დიდგორი ჩვენი დამარცხების დღეა, პარლამენტის ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება გარკვეული უსიამოვნება შეიტანოს ჩვენს ურთიერთობაში და ამიტომ ამ საკითხს ნუ განიხილავთო. კვირიკაშვილმაც, რომელიც თურქეთს „საქართველოს ისტორიულ მეგობარს“ უწოდებს, საქართველოს პარლამენტს კანონპროექტის შეჩერება მოსთხოვა....

**საშინაო საქმეებში ასეთ უხეშ ჩარევას არც ერთი ნორმალური სახელმწიფო არ მოითმენდა, ამის მოთმენა მხოლოდ „დამოუკიდებელი“ საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია, რომელიც, ოღონდ ძალაუფლება არ დაკარგოს, თვალებში შესციცინებს საქართველოს ყველა ისტორიულ მტერს.**

რამდენიმე დღის წინათ კი საქართველოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა **დავით სუჯაშვილმა** კვერი დაუკრა კვირიკაშვილს და პარლამენტის კომიტეტების დახურულ სხდომაზე განაცხადა: **„რუსეთი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა, მტერია, თურქეთი კი — საქართველოს მთავარი მოკავშირე“.** მან, პრინციპში, გაიმეორა კვირიკაშვილის ნათქვამი, მაგრამ ორივემ დაივიწყა თურქი ლიდერების სკანდალური განცხადებები, რომელთა თანახმად, **„ბათუმი და ქობულეთი ისტორიულად თურქეთს ეკუთვნის“,** რომ არაფერი ვთქვათ თურქი მესაზღვრეების მიერ აჭარაში საზღვრის თვითნებურად გადმოწევაზე და სრულიად საქართველოში ეკონომიკურ და რელიგიურ ექსპანსიაზე.

*** თურქეთს მიტაცებული აქვს ძირძველი ქართული მიწები — ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, სამხრეთ-დასავლეთ მესხეთის ისტორიული რაიონები — პარხალი, სპერი (ტაო-კლარჯეთი), სულ 12 ათას კვ.კმ-ზე მეტი ფართობი, ამ ტერიტორიებზე არსებული ქართული ტაძრების უმრავლესობა მეჩეთებად გადააკეთეს. საუკუნეების განმავლობაში ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ საქართველოს, იტაცებდნენ და სტამბოლის ბაზარზე მონებად ჰყიდიდნენ ქართველებს, ძირითადად, მოზარდებს. თურქულ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილია რუკები, რომლებზეც აჭარა თურქეთის ნაწილია, თურქულ ენციკლოპედიაშიც ასეა... და ამის შემდეგ როგორ შეიძლება მოგიბრუნდეს ენა და თქვა, რომ თურქეთი საქართველოს მეგობარია?! ჩვენი ისტორიული გამარჯვების აღნიშვნაზე უარი იმიტომ უნდა ვთქვათ, რომ ეს თურქეთს აღიზიანებს?!**

**თურქეთს მიტაცებული აქვს ძირძველი ქართული მიწები — ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, სამხრეთ-დასავლეთ მესხეთის ისტორიული რაიონები — პარხალი, სპერი (ტაო-კლარჯეთი), სულ 12 ათას კვ.კმ-ზე მეტი ფართობი, ამ ტერიტორიებზე არსებული ქართული ტაძრების უმრავლესობა მეჩეთებად გადააკეთეს. საუკუნეების განმავლობაში ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ საქართველოს, იტაცებდნენ და სტამბოლის ბაზარზე მონებად ჰყიდიდნენ ქართველებს, ძირითადად, მოზარდებს. თურქულ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილია რუკები, რომლებზეც აჭარა თურქეთის ნაწილია, თურქულ ენციკლოპედიაშიც ასეა... და ამის შემდეგ, როგორ შეიძლება მოგიბრუნდეს ენა და თქვა, რომ თურქეთი საქართველოს მეგობარია?!**

ამიტომ უნდა დავივიწყოთ დიდგორის ბრძოლა? ბასიანის ბრძოლა (1202 წელს), თურქ-სელჯუკთა დამარცხება ტაო-კლარჯეთში 1116 წელს და სხვა? როგორც ჩანს, ვასალის სინდრომი ისე ღრმად არის გამჯდარი საქართველოს ხელისუფლებაში, რომ ამ ადამიანებს ცნობიერება გამრუდებული აქვთ და ისტორიის მრუდე სარკეში ჩახედვას თავს ვერ ანებებენ.

*** საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობას არ ახსოვს, ალბათ, არც უსწავლია საქართველოს ისტორია, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგად ასწავლეს, როგორ მოუხაროს ქედი ყველას, ვინც კი საქართველოს საწინააღმდეგოს განიზრახავს.**

თურქეთი 896 წლის წინათ ქართველების მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებაზე დუმილს მოითხოვს ჩვენგან, — არ იზეიმოთო; ირანი ირანელი ტურისტი ქალების სახის დანახვას გვიკრძალავს; სომხეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ნაწილად არ აღიარებს, თანაც, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ 442 ქართულ ეკლესიას გვედავება, აზერბაიჯანი — დავითგარეჯას.

მოკლედ, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, აშშ და დიდი ბრიტანეთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები არიან, თურქეთი და ირანი — ისტორიული მეგობრები, სომხეთი — კეთილი მეზობელი, მხოლოდ რუსეთია ოკუპანტი....

**ნიკა კორინთელი**

**P.S. ილია ჭავჭავაძე 1888 წელს წერდა: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი“.**

# 2018 წელს საქართველო კვლავ ღარიბი ქვეყნების სიაში იქნება

Bloomberg

**სააგენტო „ბლუმბერგის“ მონაცემებით, 2017 წელს საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 4,8% შეადგენდა, 2018 წლის იანვარში კი წლიურმა ინფლაციამ — 4,3%, სომხეთში — 2,7%, რუსეთში — 2,2%, ყაზახეთში — 6,8%, ბელარუსში — 4,6%, აზერბაიჯანში — 7,8%.**

2017 წელს საქართველოს მშპ 4,2%-ით გაიზარდა და, 2018 წლის მონაცემებით, მოსახლეობის ერთ სულზე 4529 დოლარი შეადგინა. სომხეთში მშპ 3853 დოლარია, აზერბაიჯანში — 4439, რუსეთში — 10630.

საქართველოს მშპ შეადგეს 16.7 მლრდ დოლარს, სომხეთისა — 11.5 მლრდ-ს, აზერბაიჯანის — 43.8 მილიარდს, რუსეთის — 1,5 ტრილიონ დოლარს.

მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, საქართველოს მშპ 2018 წელს 5%-ით გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს საქართველოში იყო მშპ-ს 7.2%-იანი ზრდა, მაგრამ შემდგომ წლებში მშპ-ს პროცენტული ზრდის ტემპი საგრძნობლად შემცირდა.

2018 წლის პროგნოზით, 5%-იანი ზრდა არ გამოიწვევს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას. სავარაუდოდ, საშუალო ნომინალური ხელფასი გაიზრდება 1060 ლარამდე. საქართველოში მოსახლეობის 30% კვლავ სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩება.

სააგენტო „ბლუმბერგის“ 2018 წლის ყველაზე „უბედური ეკონომიკების“ სარეიტინგო სიაში, რომელიც ყალიბდება ინფლაციისა და უმუშევრობის პროგნოზის მიხედვით, 66 ქვეყანა შევიდა. მეოთხე წელიწადია, სიას ლიდერობს ვენესუელა; მეორე ადგილზეა სამხრეთი აფრიკა, შემდეგ მოდიან: არგენტინა, ეგვიპტე, საბერძნეთი, თურქეთი, უკრაინა, ესპანეთი, ბრაზილია, საუდის არაბეთი და სერბეთი.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკის სათანადოდ გასატარებლად მთავარია ფინანსური სახსრების მოძიება. ამ მიზნით: საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად უნდა გამოიყოს მისი მთლიანი მოცულობის 1,0 პროცენტი. საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი, როგორც გამონაკლისი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არასამთავრობო სექტორში — დემოგრაფიული განვითარების ცენტრში — თანხის გადარიცხვის შესახებ;**

# «დემოგრაფიული ორმოდან» ამოსასვლელად გადაუდებელი ღონისძიებები უნდა გატარდეს

## საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს!

ბატონებო, ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარება მეტად მძიმე და საგანგაშოა. დრო აღარ ითმენს, აუცილებელია საგანგებო ღონისძიებების გატარება. აღსანიშნავია, რომ ქართველ დემოგრაფთა მონაწილეობით შემუშავდა „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2016 წლის 24 ივნისს. პარლამენტმა დაავალა საქართველოს მთავრობას, 2017 წლის 1 ივნისამდე დაემტკიცებინა სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებას, მაგრამ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემით არავინ დაინტერესებულა და არაფერი გაკეთებულა, ამიტომ გადავწყვიტე, გაზეთის მეშვეობით მოგმართოთ და წარმოგიდგინოთ პროგრამა ქვეყნისთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად.

# საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №6 (430)

**ქვეყნის „დემოგრაფიული ორმოდან“ ამოსვლას დიდი ფინანსური სახსრები სჭირდება, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის საჭირო მასშტაბით განხორციელებას.** საჭიროა სხვა გზების მოძიებით ფინანსური სახსრების მოზიდვა. **დემოგრაფიული ვითარება ძალიან საგანგაშოა და საჭიროა საგანგებო ღონისძიებების განხორციელება. ამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდ ეროვნულ სატკივარს მთელმა ერმა უნდა უმკურნალოს, შესაბამისი სახსრებიც ერმა უნდა გაიღოს — ერმა ერი უნდა გადაარჩინოს. ამისთვის საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ სპეციალური კანონების მიღება, რადგან არავის აქვს უფლება, ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწორზე დადოს.** შეიძლება, შესაბამისი კანონების მიღება ეწინააღმდეგობოდეს არსებულ კანონმდებლობას, მაგრამ ეს ბარიერიც უნდა გადავლახოთ ერის ფიზიკური უწყვეტობის შესანარჩუნებლად. ამ საქმეში საზოგადოებრივი სოლიდარობა გადამწყვეტი ფაქტორია. დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად საზოგადოებამ უნდა გამონახოს ფინანსური წყაროები — დააწესოს სხვადასხვა გადასახადი, მოუმატოს ზოგიერთი პროდუქციის აქციზზე გადასახადი დემოგრაფიული საჭიროებისთვის იმ რაოდენობით, რომელიც მისაღები იქნება მოსახლეობისთვის. ასეთ პრაქტიკას, როგორც დემოგრაფიული მიზნით, ისე სხვა შემთხვევაშიც, ზოგიერთი ქვეყანა იყენებს, რომლის შესახებაც გაეროს მოსახლეობის ფონდის თანამშრომლებიც აღნიშნავენ. მაგალითად, **იტალიაში** ძლიერი მიწისძვრის შედეგად გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად და ისტორიული შენობების სარესტავრაციოდ, მთავრობის დადგენილებით, რამდენიმე წლით მოიმატებს ბენზინის ფასი.

უნდა აღინიშნოს, რომ **ქვეყანის დემოგრაფიულად მძიმე რეგიონებში 2014 წლის ივლისიდან მესამე ბავშვის დაბადების შემთხვევაში ბარში ოჯახს ეძლევა — 150, ხოლო მთაში 200 ლარის ოდენობით დახმარება. ღონისძიებამ დადებითი შედეგი უკვე გამოიღო და ამ რეგიონებში მოიმატა მესამე ბავშვის დაბადების შემთხვევებმა, მაგრამ დახმარება არ არის საკმარისი. ამასთანავე, ეს ღონისძიება მხოლოდ ორ წელზეა გათვლილი, რაც საგრძნობლად აფერხებს მის ეფექტიანობას.**

დემოგრაფები სამართლიანად მიუთითებენ, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შედეგად გამოწვეული ფინანსური და სოციალური რისკები არ არის დიდი: თუ დახმარების მომატების შემთხვევაში საგრძნობლად არ მოიმატებს დაბადებულთა რაოდენობა, სამაგიეროდ გაუმჯობესდება მრავალშვილიანი ოჯახების ცხოვრების პირობები, ცხოვრების „ხარისხი“, რაც მნიშვნელოვანია.



მოსახლეობისთვის უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემების გაცნობისა და ამ პრობლემებზე მთელი ერის ყურადღების გამახვილების, დემოგრაფიული ცოდნის ამაღლებისა და საბოლოოდ დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების მიზნით, უმსხვილესმა გადამხდელებმა უნდა გამოაცხადონ **კონკურსები დემოგრაფიულ თემატიკაზე:**

* საუკეთესო სამეცნიერო დემოგრაფიული ნაშრომისთვის;

*** დემოგრაფიულ პრობლემებზე შესაქმნელი ფილმის საუკეთესო სცენარისთვის;**

* საუკეთესო პუბლიცისტური ნაშრომისთვის დემოგრაფიაში;

*** დემოგრაფიულ თემატიკაზე შექმნილი საუკეთესო მოთხრობისათვის;**

* დემოგრაფიულ თემატიკაზე შექმნილი უკეთესო ლექსის ან ლექსების ციკლისთვის;

*** საჭიროა, გამოიცეს „საქართველოს დემოგრაფიის“ ოთხტომეული (I ტომი — საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, II ტომი — საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, III ტომი — საქართველოს რეგიონული დემოგრაფია, IV ტომი — საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა);**

* წამყვანმა ტელევიზიებმა ყოველდღიურად გარკვეული დრო (15-20 წამი) დაუთმონ დემოგრაფიული ხასიათის რეკლამებს უფასოდ;

*** ტელევიზიებმა დილის გადაცემა დაიწყონ ცნობით, რამდენი ბავშვი დაიბადა ქვეყანაში წინა დღეს;**

* განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დემოგრაფიული პრობლემების გაშუქებას, დემოგრაფიული ვითარების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის შემუშავებას, დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების შესახებ მოსახლეობის რეგულარულად ინფორმირებას, მოსახლეობის დემოგრაფიული განათლების ამაღლებას;

*** უნდა ავამაღლოთ მოსახლეობის დემოგრაფიული ცოდნა (ნაადრევი და დაგვიანებული ქორწინების მავნებლობა; ბავშვების გაჩენას შორის ორი წლის ინტერვალის დაცვა; დროული დაქორწინების სიკეთე; ხელმეორედ დაქორწინებისთვის დადებითი საზოგადოებრივი აზრის შექმნა; პირადი ჰიგიენის დაცვა; კონტრაცეპტივების გამოყენება, როგორც არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტიანი მეთოდი; მავნე ჩვევების — ალკოჰოლიანი სასმელების ზედმეტად მიღების, ნარკოტიკებისა და თამბაქოს მოხმარების აღმოფხვრა, საერთოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და სხვ.). ამ მიმართულებით განსაკუთრებით უნდა გააააქტიურონ მუშაობა მედიასაშუალებებმა. ცენტრმა უნდა იზრუნოს სამეცნიერო და პოპულარული დემოგრაფიული ლიტერატურის გამოსაცემად და გასავრცელებლად, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დემოგრაფიულ ვითარებას ქვეყანაში;**

* დაფინანსდეს გაზეთი **„საქართველოს დემოგრაფია“,** რომლის გამოცემაც უსახსრობის გამო ამჟამად შეჩერებულია. დაევალოთ სახელმწიფო უწყებებს, მუნიციპალიტეტებს, მსხვილ გადამხდელებს, უმაღლეს სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს გარკვეული რაოდენობით ამ გაზეთის გამოწერა. ამასთანავე, გამარტივდეს, როგორც გამონაკლისი, გაზეთის გამოწერის პროცედურა ხელშეკრულების დადების საფუძველზე;

*** სრულიად აიკრძალოს თამბაქოს რეკლამირება;**

* დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების შესახებ საიმედო სტატისტიკურ-დემოგრაფიული მონაცემებისა მისაღებად, რომლის გარეშეც შეუძლებელია ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების მეცნიერული ანალიზი და, შესაბამისად, აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, მოწესრიგდეს სტატისტიკურ-დემოგრაფიული აღრიცხვა და მასზე კონტროლი და პასუხისმგებლობა დაეკისროს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს;

*** პასპორტში უნდა აღდგეს გრაფა ეროვნების შესახებ, რათა დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა სურვილი და შესაძლებელი შეიქნეს ეროვნულ ჭრილში დემოგრაფიულ-სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და ანალიზი;**

* სახელმწიფომ, შესაბამის სამსახურებთან ერთად (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვ.), უნდა შეადგინოს მოსახლეობის რეგისტრი, როგორც ეს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებშია;

*** ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდის მიზნით დაიხუროს ან ქალაქგარეთ იქნას გატანილი აზარტული თამაშების დაწესებულებები;**

* სატელევიზიო არხების ეთერში აიკრძალოს ისეთი ფილმების ჩვენება, რომლებშიც გამოკვეთილად არის ასახული მასობრივი მკვლელობები, ადამიანის წამება, გაუპატიურებისა და პორნოგრაფიის ამსახველი სცენები;

*** სატელევიზიო გადაცემებსა და ფილმებში აიკრძალოს სკაბრეზული სიტყვების გამოყენება;**

* უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარების შესახებ ჩატარდეს საჯარო ლექციები;

*** მუნიციპალიტეტებმა შეადგინონ გეგმა, რა დემოგრაფიული ხასიათის ღონისძიებების გატარებას აპირებენ წლის განმავლობაში.**

**ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკის სათანადოდ გასატარებლად მთავარია ფინანსური სახსრების მოძიება. ამ მიზნით:**

* საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად უნდა გამოიყოს მისი მთლიანი მოცულობის 1,0 პროცენტი. საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი, როგორც გამონაკლისი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არასამთავრობო სექტორში — დემოგრაფიული განვითარების ცენტრში — თანხის გადარიცხვის შესახებ;

*** კოლოფ სიგარეტზე უნდა გაიზარდოს აქციზის გადასახადი დემოგრაფიული საჭიროებებისთვის საშუალოდ 30 თეთრით, რაც წელიწადში შეადგენს დაახლოებით 125 მილიონ ლარს;**

* უნდა გაიზარდოს ერთი ლიტრი ალკოჰოლური სასმელების საცალო ფასი 50 თეთრით, ლუდისა კი — 10 თეთრით, როგორც ქვეყნის შიგა ბაზარზე, ისე საექსპორტო პროდუქციაზე. შემოსავალი აღნიშნული პროდუქციის გაყიდვიდან წელიწადში 39 მილიონი ლარი იქნება;

*** უალკოჰოლო სასმელების, მინერალური და მტკნარი წყლების ერთი ლიტრის საცალო ფასი უნდა გაიზარდოს 10 თეთრით, როგორც შიგა ბაზარზე, ისე საექსპორტო პროდუქციაზე. ამ შემთხვევაში დემოგრაფიული ცენტრის შემოსავალი 49 მილიონი ლარი იქნება;**

* ერთ ლიტრ ბენზინზე საქციზო გადასახადი უნდა გაიზარდოს 3 თეთრით. ამ შემთხვევაში დემოგრაფიული საჭიროებებისთვის როგორც იმპორტირებულ, ისე ადგილობრივი წარმოების საწვავიდან მიღებული შემოსავალი 42 მილიონ ლარს შეადგენს.

**დემოგრაფიული განვითარების ცენტრის შემოსავლები სიგარეტიდან, ბენზინიდან, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებიდან დაწვრილებით გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის მიერ მოწო-** ▶

# შობადობის დონის ამაღლების სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები ამ ეტაპზე ყველაზე მიზანშეწონილია იმ რეგიონებში, სადაც უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა და ხდება მოსახლეობის დეპოპულაცია (მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირება, როდესაც მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე მეტია შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეზე), ოჯახში მესამე და მომდევნო ბავშვის გაჩენის შემთხვევაში ოჯახს მიეცეს სოლიდური ფინანსური დახმარება. ასეთი რეგიონებია: გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀დებული შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

* ანალოგიური ხასიათის გადასახადები უნდა დაწესდეს კოსმეტიკის საშუალებებზე, ლატარიებზე, სპორტულ ღონისძიებებსა და სხვა მომსახურებაზე.

*** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების მონაწილეობა მოსახლეობის ფიზიკური უწყვეტობის შენარჩუნების საქმეში. ამ მიზნით საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ცენტრში უნდა გადაირიცხოს დემოგრაფიული ანარიცხები ხელფასიდან. კერძოდ, 1000 ლარამდე ხელფასის შემთხვევაში — 0,2 პროცენტის ოდენობით (თუ ხელფასი შეადგენს 500 ლარს, გადაირიცხება ერთი ლარი, ხოლო თუ 900 ლარს — 1,80 ლარი), 1000 ლარიდან 2000 ლარამდე — 0,5 პროცენტი, 2000 ლარიდან 5000 ლარამდე — 0,75 პროცენტი, 5000 ლარიდან 10 000 ლარამდე — 1,0 პროცენტი, 10 000 ლარის ზემოთ — 150 ლარი. ამ გადასახადს იხდის ყველა დასაქმებული პირი, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა დახმარებას მრავალშვილიანობისთვის.**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს საშინაო მეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მიხედვით, სულ დასაქმებული იყო 1 779,9 ათასი კაცი, მათგან 274,9 ათასი (15,4 პროცენტი) — სახელმწიფო სექტორში, ხოლო 1505 ათასი — არასახელმწიფო სექტორში (84,6 პროცენტი — აქ არ იგულისხმებიან ისინი, ვინც მხოლოდ საოჯახო მეურნეობაშია დასაქმებული, ამუშავებს საკუთრებაში არსებულ მიწას). თუ დავუშვებთ, რომ 1 779,9 ათასი დასაქმებულიდან ყოველთვიურად საშუალოდ 2 ლარი მაინც გადაირიცხება დემოგრაფიული საჭიროებებისთვის, მაშინ წლის განმავლობაში ეს თანხა 43 მილიონ ლარს შეადგენს.

*** მსხვილმა გადამხდელებმა საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ცენტრს ყოველთვიურად უნდა გადაურიცხონ საშუალოდ 1000 (ათასი) ლარი. შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში 1 417 მსხვილი გადამხდელია. წლის განმავლობაში ეს თანხა 17 მილიონ ლარს შეადგენს;**

* დაწესდეს უშვილობის გადასახადი, როგორც საბიუჯეტო, ისე კერძო სექტორში 20 წლისა და უფროსი ასაკის დასაქმებულებზე ხელფასის 1,0 პროცენტის ოდენობით, რომელიც ძირითადად მოხმარდება უშვილო დედების მკურნალობას. უშვილობის გადასახადი დედას უწყდება ორსულობის პერიოდში და საბოლოოდ ბავშვის ცოცხლად დაბადებისთანავე. მამას უშვილობის გადასახადი უწყდება დედის პარალელურად, თუ ის ბავშვის დედასთან იმყოფება ოფიციალურ (რეგისტრირებული) ქორწინებაში. ყოველივე ეს საგულისხმოა იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად ოჯახების, სულ მცირე, 10 პროცენტი უნაყოფოა და ცოლს ან ქმარს მკურნალობა სჭირდება. ამასთანავე, 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, 15 წელზე უფროსი ადამიანების 20,3 პროცენტი (614 357 კაცი) არასოდეს ყოფილა დაქორწინებული. ამ ღონისძიების შედეგად „ცენტრის“ შემოსავალი წელიწადში დაახლოებით 8 მილიონი ლარი იქნება.



უშვილობის გადასახადის დაწესების მორალური უფლება არსებობს, თუმცა საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი არაერთგვაროვანია. ადამიანთა მოდგმის უმაღლესი მიზანი სიცოცხლის უწყვეტობის შენარჩუნებაა. ყველა ისტორიულ ეპოქაში სიცოცხლის გაგრძელება მოითხოვდა დიდ ძალისხმევას, რომელსაც მომავლისთვის უფროსი თაობა მატერიალური, სულიერი და მორალური დანახარჯების სახით მუდმივი მონაცვლეობის შესანარჩუნებლად გაიღებდა. **ადამიანი ყველა ფასეულობაზე მაღლა თავის მონაგარს აყენებს. იგი შვილების გაზრდით ინარჩუნებს ერის ფიზიკურ და სულიერ უწყვეტობას, მემკვიდრეობით გადასცემს იმ ტრადიციებს, ნიშან-თვისებებს, იმ სილამაზეს, რომელიც ერს გააჩნია. იგი იკლებს მატერიალურ კეთილდღეობას, უზარმაზარ დროს ხარჯავს ბავშვების აღზრდასა და მოვლაზე. და თუ ერს უნდა სიცოცხლის გაგრძელება, სულიერი და ფიზიკური უწყვეტობის შენარჩუნება, მაშინ ეს ტვირთი საზოგადოებამ მეტ-ნაკლებად უნდა გაინაწილოს, მით უმეტეს, ექსტრემალურ პირობებში, როდესაც არც ერთი პიროვნება არ არის თავისუფალი ინდივიდუალური და ეროვნული პასუხისმგებლობისგან.** ამასთანავე, უშვილო ადამიანები, რომლებიც ყველა ცხოვრებისეული სიკეთით სარგებლობენ, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულნი არიან იმაზე, რომ სხვებს ჰყავთ შვილები და იმ სხვების შრომის შედეგებს ხშირად უფასოდ იღებენ, ითვისებენ. ამდენად, ეროვნული, საზოგადოებრივი და წმინდა პრაგმატული ინტერესები ყოველგვარ ბარიერს უხსნის უშვილობის გადასახადის დაწესებას. ამაში ვერც ადამიანის უფლებების დარღვევას ვხედავ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნისა და ერის უფლებები ირღვევა და ილახება.

* შობადობის წახალისების მიზნით დედებს, რომლებიც უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების მქონე რეგიონებში ცხოვრობენ (ბავშვის დაბადებამდე ცხრა თვე, ხოლო შვიდთვიანი ბავშვის დაბადებამდე — 7 თვე), ათი წლის განმავლობაში მიეცემათ ყოველთვიური დახმარება მესამე შვილზე 300 ლარის, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 200 ლარის ოდენობით. დახმარებები ერთმანეთს არ გადაფარავს. დედის გარდაცვალების შემთხვევაში დახმარება ეძლევა მამას (მზრუნველს ან მეურვეს), ხოლო განქორწინების შემთხვევაში — იმ მშობელს, რომელთანაც ბავშვი რჩება. თუ დახმარების მიმღები მშობელი საცხოვრებლად სხვა რეგიონში გადავიდა, სადაც კანონით არ ხდება დახმარების გაწევა, მას უწყდება დახმარება. ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში დახმარების გაცემა წყდება, მაგრამ იცვლება ბავშვების რიგითობა არსებული მდგომარეობის შესაბამისად (მაგალითად, თუ დედას დემოგრაფიული პოლიტიკის დაწყებიდან ეყოლება სამი შვილი და რომელიმე შვილი გარდაეცვლება, დახმარება საერთოდ შეუწყდება, ხოლო თუ ოთხი ან მეტი შვილი ეყოლება და პირველი სამი შვილიდან რომელიმე გარდაეცვლება, მაშინ იგი მაინც მიიღებს მესამე შვილისთვის დაწესებულ დახმარებას 300 ლარის ოდენობით და ა.შ.).

მძიმე ეკონომიკური ვითარების პირობებში სახელმწიფოსა და ხალხს არ შეუძლია აღნიშნული ღონისძიება გაატაროს მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ იმ რეგიონებში, რომლებშიც მოსახლეობის ბუნებრივი მატება შედარებით მაღალია (თბილისი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი), საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ცენტრი მაინც გადარიცხავს სოლიდურ თანხას გაჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად.

**მძიმე დემოგრაფიული ვითარების მქონე რეგიონებში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 45,0 პროცენტი და ქართველების ზუსტად ნახევარი — 50 პროცენტი.**

დემოგრაფიული პოლიტიკა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა მძიმე დაავადებების უფასო მკურნალობას. უფასო იქნება, აგრეთვე, უშვილობის მკურნალობაც.

შობადობის დონის ამაღლების სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები ამ ეტაპზე ყველაზე მიზანშეწონილია იმ რეგიონებში, სადაც უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა და ხდება მოსახლეობის დეპოპულაცია (მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირება, როდესაც მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე მეტია შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეზე), ოჯახში მესამე და მომდევნო ბავშვის გაჩენის შემთხვევაში ოჯახს მიეცეს სოლიდური ფინანსური დახმარება. ასეთი რეგიონებია: **გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი.** ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარება დამოკიდებულია რეგიონებში დემოგრაფიული განვითარების მდგომარეობაზე, რომელსაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, რელიგიური და ბუნებრივი პირობები თუ სხვა ფაქტორები. ზოგჯერ თვით რეგიონის შიგნით, მუნიციპალიტეტების დონეზეც კი დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედი ფაქტორები მეტად განსხვავებულია და თვალშისაცემია კვლავწარმოების განსხვავებული რეგიონული დიფერენციაცია.

ოჯახში განსაკუთრებით მესამე და მეოთხე ბავშვების დაბადების შემთხვევები არა მხოლოდ ზრდის შობადობას, არამედ სხვა მხრივაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში.

მესამე და მომდევნო ბავშვებზე გაწეული დანახარჯები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არა მხოლოდ შობადობის მატებას, არამედ ჯანმრთელი თაობის აღზრდასაც. დახმარებები საშუალებას მისცემს მოსახლეობას, დროულად იზრუნოს ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდაზე, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ეს, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს გარკვეულწილად შეუმცირდება ჯანმრთელობის დაცვისთვის გასაწევი დანახარჯები.

უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების მქონე რეგიონებში მესამე ბავშვზე ყოველთვიურ 300-ლარიან, ხოლო მეოთხე და მომდევნო ბავშვებზე 200-ლარიან დახმარებას აუცილებლად მოჰყვება დადებითი შედეგი — შემცირდება მიგრაცია სოფლიდან ქალაქად, განსაკუთრებით — თბილისში, სადაც ეს ღონისძიება არ ვრცელდება. ეს ღონისძიება იმ მხრივაც მნიშვნელოვანია, რომ ნაწილი ახალგაზრდა ოჯახებისა, რომლებმაც მძიმე ეკონომიკური პირობების გამო დატოვეს მშობლიური სოფელი, დაუბრუნდება თავის კუთხეს და, თუ მესამე და მომდევნო ბავშვებს გააჩენენ, ყოველთვიურად მიიღებენ სოლიდურ დახმარებას.

დემოგრაფიული პოლიტიკა მრავალმხრივი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს, მაგრამ იმასაც ვითვალისწინებთ, რომ დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების ღონისძიებებს სხვადასხვა უწყებაც ახორციელებს. მაგალითად, მოსახლეობის ჯანმრთელობის სრულყოფის პროგრამებს შესაბამისი სამინისტრო ამუშავებს და ა.შ. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, დახმარება მივმართოთ შობადობაზე და დედას (მამას) მივცეთ შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვროს დანახარჯების პრიორიტეტები ბავშვთა მოვლა-აღზრდისა და ოჯახის საჭიროებებზე.

* საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ცენტრი ყოველწლიურად 5 წლის განმავლობაში დააფინანსებს 8-10 მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობას (2400-3000 ბინა. ბინების მშენებლობის პროცესი შემდეგ პერიოდშიც გაგრძელდება) 18 წლის შესრულების შემდეგ ბავშვთა სახლებიდან უმეთვალყურეოდ ქუჩაში დარჩენილთათვის, აგრეთვე, უბინაო ან უაღრესად ცუდი საბინაო პირობების მქონე მრავალშვილიანი ოჯახებისთვის. 18 წლის ახალგაზრდებს გადაეცემათ ერთოთახიანი ბინები აუცილებელი საცხოვრებელი პირობებით (საწოლი, მაგიდა, კარადა და ა.შ.). უბინაოთა ყველა აღნიშნულ კატეგორიას ბინები გადაეცემა, როგორც საუწყებო — მუდმივ სარგებლობაში გაყიდვის უფლების გარეშე (20 წლის განმავლობაში). ამ ღონისძიებებისთვის სახელმწიფომ „ცენტრს“ უნდა გამოუყოს მიწის ნაკვეთები სახლების ასაშენებლად.

* კანონით აიკრძალოს სოფლებში სათიბებისა და საძოვრების გაყიდვა ან მიწის დიდი ნაკვეთების იჯარით გაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეცხოველეობის მიმართულების სოფლები მოსახლეობისგან დაიცლება.

* უნდა აიკრძალოს მიწების მიყიდვა უცხოელებისთვის. ხელისუფლება დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ორმაგი მოქალაქეობის საკითხს.

უცხოელებსა და თუნდაც ჩვენს მოქალაქეებზე ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების გაყიდვით ხელს ვუწყობთ სოფლების დაცარიელებას, მოსახლეობის გამოდევნას მამაპაპისეული ადგილებიდან, ამასთანავე, მცირდება სამარაგო მიწები და ისპობა სოფლის გაზრდის შესაძლებლობა.

* მთავრობამ „ცენტრს“ ნორმალური მუშაობისთვის თბილისში უნდა გამოუყოს შენობა, ხოლო რეგიონების ცენტრებსა და მუნიციპალიტეტებში ერთი-ორი ოთახი;

* მთავრობამ დემოგრაფიული განვითარების ცენტრს თბილისსა და ქვეყნის მუნიციპალიტეტებში უნდა გამოუყოს დაახლოებით 5 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის საწარმოებლად ქველმოქმედების, მატერიალური დახმარებისა და კომერციული საქმიანობის მიზნით, სადაც, ძირითადად, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები დასაქმდებიან. „ცენტრმა“ უნდა უზრუნველყოს ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება.

* როგორც გამონაკლისი, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ცენტრი უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისგან.

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ცენტრში, გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხა მთლიანად ამოიღება და გადამხდელი, თუ მისი მოგება შეადგენს 50 ათას ლარამდე, დაჯარიმდება 150 ლარით; თუ მოგება შეადგენს 50 ათასიდან 100 ათასამდე ლარს, დაჯარიმდება 200 ლარით; 100 ათასიდან 500 ათასამდე – 300 ლარით; 500 ათასიდან 1 მილიონამდე – 400 ლარით; ხოლო, თუ მილიონზე მეტს შეადგენს, – 500 ლარით „ცენტრის“ სასარგებლოდ. გამეორების შემთხვევაში ჯარიმების თანხა გაორმაგდება.

მშობლებზე, რომლებსაც თვეში 5000 ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ, მესამე და შემდეგი ბავშვის დაბადების შემთხვევაში დახმარება არ გაიცემა.

**აღნიშნული დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად წელიწადში დაახლოებით 500 მილიონი ლარია საჭირო. მოზიდული ფინანსური რესურსებიც დაახლოებით ამდენივე იქნება. შობადობის წახალისების საწყის ეტაპზე, რა თქმა უნდა, ამდენი თანხა არ არის საჭირო, მაგრამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით მეათე წელს, მხოლოდ ამ მიზნით დახარჯული ფინანსები 450 მილიონს ასცილდება, ამიტომ პირველ წლებში დაზოგილი თანხა მოხმარდება მრავასართულიანი კორპუსების მშენებლობას, ძირითადად, უბინაო და უაღრესად მძიმე საბინაო პირობებში მცხოვრები ოჯახებისთვის, მძიმე სენით შეპყრობილი ბავშვების მკურნალობას და სხვ. ხოლო დარჩენილი თანხა ბანკში დაბანდდება მიღებული სარგებლის მომდევნო წლებში გამოსაყენებლად.**

საქართველოს დღევანდელ დემოგრაფიულ ვითარებასა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს უნდა გაეცნოს ქვეყნის მოსახლეობა. ამ მიზნით მკითხველთა ფართო წრისთვის უნდა მომზადდეს შესაბამისი ბროშურა, რომელსაც უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების უშუალო დახმარებით გაეცნობიან მათი თანამშრომლები, საერთოდ, თავისი ქვეყნის ბედით დაინტერესებული ადამიანები, განსაკუთრებით — ახალგაზრდობა, რათა საზოგადოებამ დაინახოს ყველაზე დიდი ეროვნული სატკივარი და მისი მკურნალობის აუცილებლობა.

პატივისცემით,
**ანზორ თოთაძე,**
დემოგრაფი, პროფესორი

როდემდე, ქართველნო?
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წინასწარი განზრახვით დანაშაულებრივად გაუქმებულია ჩაწერისა და საპასპორტო სისტემის ინსტიტუტები, არანაკლებ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულები იქნა ჩადენილი მიწის პრივატიზაციით, განათლების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა ორგანოების, უშიშროების, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ნგრევით, სამუშაო ადგილების გაუქმების მიზნით ფაბრიკა-ქარხნების, წარმოება-დაწესებულებების, საკონსტრუქტორო ბიუროების ნგრევა-განადგურებით, მიწისზედა თუ წიაღისეული სიმდიდრის, საჰაერო და საზღვაო პორტების, რკინიგზის შემადგენლობების გასხვისებით, შემნახველი სალაროებიდან ფულის თაღლითურად მიტაცებით.**

„ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,
მისმინეთ ჭირში ფლობილს,
მისმინეთ, ვით მაქვს ჭმუნვა და თმობა,
ურვისგან გულშეპყრობილს“.
*ალექსანდრე ჭავჭავაძე*

# ინტელიგენციის განზე დგომა და დუმილი ერის ღალატია და მეტი არაფერი

**დღეს ჩვენს ქვეყანას ნამდვილად აღარ აქვს საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსისათვის აუცილებელი პრინციპები: ტერიტორიული მთლიანობის მმართველობის განსაკუთრებული ორგანოების არსებობისა და სახელმწიფოს საშინაო-საგარეო საქმეებში გარედან ჩაურევლობის ანუ სუვერენიტეტის პრინციპები. მათგან ერთ-ერთის არარსებობაც კი იწვევს სახელმწიფოებრივ არასრულყოფილებას, რაც დასტურდება ჩვენი ხალხის მიმართ სხვა სახელმწიფოების მხრიდან აშკარა უპატივცემულო დამოკიდებულებით.**

ეს კი, ჩემი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ 1992 წლიდან ჩვენ აღარ გვაქვს სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი საშინაო-საგარეო პოლიტიკისა და სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების აღორძინება-განვითარების ძირითადი მიმართულებების მიმდინარე და პერსპექტიული კომპლექსური გეგმები.

მართალია, 2012 წლიდან ცალკეული დარგების ხელმძღვანელები ე.წ. თემატური ჯგუფების შექმნით თითქოს ცდილობდნენ რაღაცის გაკეთებას, მაგრამ ერთიანი სახელმწიფო გეგმისა და ურთიერთშეთანხმებული მოქმედების გარეშე მათ არაფერი გამოუვიდათ და არც ერთი დარგი წარმატებული არ არის. **ჩვენი გმირი წინაპრების გამოცდილებას თავი რომ დავანებოთ, საკმარისი იქნებოდა, მხოლოდ ფარნავაზ მეფის რეფორმებისა და მის მიერ ერისთავებისთვის დადგენილი სამთავროების საზღვრებისთვის, უფლებებისა და მოვალეობებისთვის გადაგვევლო თვალი და შედეგიც სხვაგვარი იქნებოდა.**

არ ვიცი, ვერ ვამჩნევთ თუ არ გვინდა, დავინახოთ, რომ შინაური თუ უცხო მტრული ძალები, აშკარად თუ ფარულად, ხელს უშლიან ჩვენი ქვეყანის ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლას, ქვეყნის აღორძინება-განვითარებას ე.წ. დემოკრატიის თუ ლიბერალური თეორიების მოშველიებით. თუ სპარსეთმა და თურქეთმა 7 რეგიონად დაგვშალა, 250-ზე მეტი ვითომ ოპოზიციური პარტიის შექმნით ქვეყანა, მისი მოსახლეობა 250-ზე მეტ ნაწილად დაიშალა, მათ შორის უთანხმოებას ხელოვნურად აღვივებენ შინაური ანტიეროვნული ძალები, ურიცხვ არასამთავრობო ორგანიზაციაში, ტელევიზიებში თუ მასმედიის სხვა საშუალებებში მოკალათებული უცხო ქვეყნების ჯაშუშები.

**წინასწარი განზრახვით დანაშაულებრივად გაუქმებულია ჩაწერისა და საპასპორტო სისტემის ინსტიტუტები. არანაკლებ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულები იქნა ჩადენილი მიწის პრივატიზაციით, განათლების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა ორგანოების, უშიშროების, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ნგრევით,** სამუშაო ადგილების გაუქმების მიზნით ფაბრიკა-ქარხნების, წარმოება-დაწესებულებების, საკონსტრუქტორო ბიუროების ნგრევა-განადგურებით, მიწისზედა თუ წიაღისეული სიმდიდრის, საჰაერო და საზღვაო პორტების, რკინიგზის შემადგენლობების გასხვისებით, შემნახველი სალაროებიდან ფულის თაღლითურად მიტაცებით. როგორც ბატონი **მიხეილ ბაზუნაშვილი** წერდა, შევარდნაძემ და მისმა მაღალჩინოსნებმა ქვეყანას 200 მილიარდი დოლარი წასტაცეს და ამერიკისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების ოფშორულ ზონებში დააბანდეს.

ყველა ამ უბედურების ფონზე, **ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილისა და ნინო ბურჯანაძის ზეობის ხანაში სისხლის სამართლის უამრავი დანაშაულის ჩადენასთან ერთად, წაგვართვეს ეროვნება და მამის სახელი, რითაც ხალხი აქციეს უსახო მასად, ანუ „ნაბიჭვრების“**



**ბრბოდ, ურთიერთგაუცხოებულ, ნდობა და იმედდაკარგულ, სამუშაო ადგილების გამო გაზარმაცებულ, გალოთებულ, ყველაფრის მკადრებელ, დაგლახავებულ, სხვისი ხელის შემყურე, ყველაფერზე თვალისდამხუჭველ, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნილ, ორიენტაციადაკარგულ არსებებად.**

როდემდე, ქართველნო! როდემდე ვითმინოთ ყოველივე ეს? ჯერ კიდევ არსებობს შანსი ერისა და ქვეყნის გადარჩენისა, სანამ შემოგვრჩენია ეროვნული, ნიჭიერი და კვალიფიციური კადრები. ყოველი რთული მდგომარეობიდან შეიძლება გამოინახოს გამოსავალი, იმედი მაქვს, ეროვნული, ნიჭიერი და კვალიფიციური კადრები იპოვნიან ამ მდგომარეობიდან გამოსავალს, მით უმეტეს, ასეთი გამოსავალი არსებობს.

დამეთანხმებით, რომ დღეს თქვენთვის ახალი არაფერი მითქვამს. ყოველივე ამის შესახებ საქართველოში იცის ყველა ზრდასრულმა მოქალაქემ, რადგან ბოლო 30 წლის განმავლობაში ამას ხშირად იმეორებენ ტელეეკრანსა თუ პრესის ფურცლებზე გამოჩენის თუ გამორჩენის მიზნით არა მხოლოდ ვითომ ოპოზიციური პარტიების ლიდერები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მედიასაშუალებებში მოკალათებული ანტიეროვნული ძალები და უცხოეთის დაზვერვის აგენტები, არამედ, სამწუხაროდ, ჩვენი ინტელიგენციის, ეროვნული აკადემიის, საპატრიარქოს მესვეურებიც და სხვებიც, რომლებსაც მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს — ამ მდგომარეობით როგორმე ისარგებლონ და მიიღონ სასურველი შედეგი. საქართველოში დღემდე ვერ შეძლეს, შეექმნათ ისტორიკოსების, ეკონომისტების, ღვთისმსახურების, იურისტების ადა ფილოსოფოსების საინიციატივო ჯგუფი, რომელიც იფიქრებდა ქვეყნის გადარჩენის საკითხებზე.

განსაკუთრებით სამარცხვინო და შემაძრწუნებელია ეროვნული აკადემიის, ეკლესიის მესვეურთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა სამარისებური დუმილი. **თქვე დალოცვილებო, ვის მიუგდეთ საჯიჯგნად ღვთისმშობლის წილხვედრი და ჩვენი გმირი წინაპრების სისხლით მორწყული სამშობლო?** თუ გიფიქრიათ იმაზე, რა თანხა გაიღო საქართველოს მშრომელმა ხალხმა თქვენი წავლა-განათლებისთვის და რამდენს იხდის თქვენი უზარმაზარი არმიის შესანახავად დღესაც. ნუთუ უხერხულობას არ განიცდით, როცა სამთავრობო თუ ხელისუფლების ყველა განშტოების სავარძლებში სხედან არა თქვენებრ განსწავლული, არამედ ერის მოღალატეთა მიერ გადაგვარებული, უცხოეთის ვალიუტით გონებადახშული ქვეყნის ისტორიის არმცოდნე გამოუცდელი გოგო-ბიჭები, რომლებიც ბრმად ასრულებენ უცხოელი პატრონების ნებასურვილს საკუთარი ერისა და ხალხის წინააღმდეგ, რადგან მათ ქვეყნის მართვა-გამგეობისა არაფერი გაეგებათ. ამ დროს თქვენი განზე დგომა და დუმილი, რბილად რომ ვთქვათ, ერის ღალატია და მეტი არაფერი. გიფიქრიათ კი ამაზე? მე ხომ მრავალ თქვენგანს შეგხვედრივარ და ყოველივე ამის შესახებ მისაუბრია?! ზოგიერთს წიგნიც კი მივართვი **„საქართველო უპირველეს ყოვლისა“.**

სანამ გვიან არ არის, ერთად ვიფიქროთ, როგორ გადავარჩინოთ ქართველი ერი და ქართული სახელმწიფო. ვეცადოთ, რომ **„სიცოცხლეშივე არ მოვკვდეთ“.** როგორც წერს დიდებული მამულიშვილი **გივი სომხიშვილი** თავის შესანიშნავ წიგნში **„სიცოცხლეშივე არ მოკვდე“.**

„...გულზედ მძიმე ლოდად მაწევს, ფიქრი მტანჯავს მე ქვეყნისა,
რა არ ვცადე მოსაძებნად, ქვეყნის გადარჩენის გზისა.
კარდაკარ დავწიალებდი, ვეძებდი მამულიშვილსა
რომ გვეპოვა გასაღები, ქვეყნის გადარჩენის გზისა.
ჩვენი ქვეყნის ტრაგედიით გულშეძრული ვის არ შევხვდი,
თანამდგომს რომ ვერ ვპოვებდი, სამწუხაროდ მალე მივხვდი.
ქვეყნის გულშემატკივარი, სიტყვით ყველგან ბევრი ვნახე,
საქმით კი ერზედ მზრუნველი ჯერ ვერ ვპოვე „მევენახე“...

(წიგნიდან „საქართველო უპირველეს ყოვლისა“)

**რევაზ კიბორძალიძე,**
**შრომის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, პოლკოვნიკი**



**არ ვიცი, ვერ ვამჩნევთ თუ არ გვინდა, დავინახოთ, რომ შინაური თუ უცხო მტრული ძალები, აშკარად თუ ფარულად, ხელს უშლიან ჩვენი ქვეყანის ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლას, ქვეყნის აღორძინება-განვითარებას ე.წ. დემოკრატიის თუ ლიბერალური თეორიების მოშველიებით. თუ სპარსეთმა თუ თურქეთმა 7 რეგიონად დაგვშალა, 250-ზე მეტი ვითომ ოპოზიციური პარტიის შექმნით, ქვეყანა, მისი მოსახლეობა 250-ზე მეტ ნაწილად დაიშალა, მათ შორის უთანხმოებას ხელოვნურად აღვივებენ შინაური ანტიეროვნული ძალები, ურიცხვ არასამთავრობო ორგანიზაციაში, ტელევიზიებში თუ მასმედიის სხვა საშუალებებში მოკალათებული უცხო ქვეყნების ჯაშუშები**

## დამწვარი სავაჭრო ცენტრი «თერგი» ორი დღის შემდეგ უნდა დაზღვეულიყო

**27 თებერვალს თბილისში თევდორე მღვდლის ქუჩაზე მდებარე სავაჭრო ცენტრ „თერგში“ ძლიერი ხანძარი გაჩნდა. დაიწვა შპს „თერგი 1“-ის კუთვნილი 3000 კვ.მ ფართობი. დამწვარი ბაზრობა 1 მარტს სავალდებულო წესით უნდა დაზღვეულიყო.** სწორედ 1 მარტს უნდა ამოქმედდეს მთავრობის დადგენილება, რომლითაც საზოგადოებრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელებს მესამე პირის მიმართ მიყენებული ზიანის სავალდებულო წესით დაზღვევა დაევალებათ. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროს კოტე სულამანიძის განცხადებით, შპს „თერგი 1“ სავალდებულო დაზღვევის შესაძენად სადაზღვევო კომპანიებთან მოლაპარაკებების საბოლოო ეტაპზე იყო.



**ბრბოს მართვის მცოდნე ხელმძღვანელს მასა ყოველთვის მხიარული აღგზნების მდგომარეობაში უნდა ჰყავდეს და არასოდეს არ უნდა გაუნელოს გამარჯვების რწმენა. ვ. ოსიპოვი წერს, როგორ ასრულებდნენ კიევში ამ წესს: „ტიმოშენკო ყვიროდა, რომ ევროპარლამენტის დეპუტატებმა უკვე გაიფსკვნეს ნარინჯისფერი ჰალსტუხები, მოსკოვში მანქანებს ნარინჯისფერი ბაფთები ჩამოჰკიდეს. მის სიტყვას ეს აქცენტები რეფრენად გასდევდა: დღეს — კიევი, ხვალ — მოსკოვი“.**

გესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარინჯისფერი ნაღმი


სერგეი ყარა-მურზა




**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**
**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიოს“, მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსრობის მიზეზები. ნაშრომი ნათელს ჰფენს „ვარდების“ რევოლუციის სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-6 (425-430)

ბრბოში მყოფი ადამიანი საოცრად ძლიერად აღიქვამს ჩაგონებას. **ლებონი** წერს: „ბრბოში ყოფნისას ნებისმიერი გრძნობა, ნებისმიერი ქმედება გადამდებია, თანაც ისეთი სისრულით, რომ ინდივიდი იოლად შეელევა თავის პირად ინტერესებს კოლექტიურის სასარგებლოდ. ასეთი ქცევა, როგორც ცნობილია, ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას და ამიტომ ადამიანი ასე იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრბოს ნაწილი ხდება... სანამ იგი დაკარგავს დამოუკიდებლობას, მისი იდეები და გრძნობები ისე ღრმად უნდა შეიცვალოს, რომ იგი ძუნწიდან ხელგაშლილ ადამიანად იქცეს, სკეპტიკოსი — მორწმუნედ, პატიოსანი — დამნაშავედ, მხდალი კი გმირად მოგვევლინოს. ენთუზიაზმის გავლენის გარეშე არისტოკრატიის მიერ ყველა პრივილეგიაზე უარის თქმას 1789 წლის 4 აგვისტოს, არასოდეს მხარს არ დაუჭერდა მისი არც ერთი წევრი ცალ-ცალკე“.

ლებონი დიდ ადგილს უთმობს ბრბოს **ცვალებადი დამოკიდებულების** საკითხს, მის საოცარ უნარს, მომენტალურად, „ერთხმად“ რეაგირების უნარს წინამძღოლთა იმპულსებზე. ეს ადასტურებს, რომ ბრბოში მყოფ ადამიანს მართლაც უვითარდება ახალი სისტემის ელემენტად გარდაქმნის თვისება. იგი კი არ უფიქრდება თავის ქმედებას, არამედ მყისიერად ემორჩილება მიღებულ სიგნალს.

დასასრულ, ლებონი გვთავაზობს ერთ მნიშვნელოვან დებულებას, რომელმაც გაუსწრო მის დროს და გააკვირვა თანამედროვენი, დღეს კი, რადიოსა და ტელევიზიის განვითარების კვალად, ძალიან აქტუალურია. ამ დებულების დედააზრი შემდეგია: ბრბოს ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი არ არის მისი შემადგენელი ნაწილაკების ფიზიკური კონტაქტი. ლებონი წერს: „ათასობით ინდივიდი, ერთმანეთს დაცილებული, გარკვეულ მომენტში შეიძლება ერთდროულად მოექცეს ძლიერი ემოციის ან რომელიმე დიდი ეროვნული მოვლენის გავლენის ქვეშ და ამ გზით მიიღოს ზეშთაგონებული ბრბოს ყველა თვისება. გარკვეული გავლენების ზემოქმედებით მთელი ხალხი ზოგჯერ ბრბოდ გარდაიქმნება, მის **ამ ერთობლიობას არაფერი საერთო არ ექნება კრებასთან, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით“.**

სწორედ ამ მოვლენის მოწმენი გავხდით ბოლო ათწლეულებში: **მოსახლეობა, რომელიც მუდმივად განიცდის მასკულტურისა და ტელევიზიის გავლენას, უზარმაზარ ვირტუალურ ბრბოდ გარდაიქმნება. ეს ბრბო მოედანზე კი არ არის შეკრებილი, არამედ ზის მყუდრო ბინებში, ტელევიზორების წინ, არ არის სტრუქტურიზებული და უსმენს ერთსა და იმავე ლიდერებსა და წინასწარმეტყველებს ისე, რომ მათთან დიალოგის გამართვის საშუალება არ აქვს.**

**ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება დამახასიათებელია იმ ბრბოებისთვის, რომლებიც ყალიბდება „ხავერდოვანი რევოლუციების“ მოსაწყობად.** უკრაინის მაიდნის შემდეგ განვითარებული სიტუაციის შესახებ მკვლევარი **ა. ჩადაევი** წერს ისეთი მოვლენების შესახებ, „როგორებიცაა საერთაშორისო ზემოქმედება, კულტურისა და სპორტის „ვარსკვლავების“ მიერ უცებ გაჩენილი „სამოქალაქო პოზიციის“ მასობრივი გამოხატვა, სახალხო-რევოლუციური სუბკულტურის წარმოქმნა, რიტუალური გაკიცხვა მცირერიცხოვანი, მაგრამ თვალსაჩინო ადამიანებისა, რომელთაც გაბედეს „აღმდგარი ხალხის წინააღმდეგ გამოსვლა“ და „საშინელი სისხლიანი რეჟიმის“ მხარდაჭერა, ლაპარაკიც არ ღირს, — ეს არის მთავარი პირობა სიტუაციის, როცა აზრიალებული ხანძრის სანახავად მირბის ყველა, ვისაც არ ეზარება“.

ასეთი რევოლუციების დროს ხალხისადმი მიმართვისას პოლიტიკოსები მანიპულაციის ყველა მთავარ საშუალებას იყენებენ. პირველ ასეთ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს **მაგიური სიტყვა-შელოცვების** მუდმივი გამეორება. ადამიანის სულიერებაზე ზემოქმედებით, სიტყვა წარმოქმნის ისეთ მრავალპლანიან ჯაჭვურ პროცესს, რომელიც კოოპერაციული ეფექტის მქონეა. სიტყვით გაღვიძებული გრძნობა აჩქარებს აზროვნების პროცესს, რომელიც ამ სიტყვით არის გამოწვეული, **წარმოსახვაში წარმოიქმნებიან და იწყებენ თავიანთ ცხოვრებას გარკვეული სახეები.** ლებონი წერდა: „სიტყვის ძალა მჭიდრო კავშირშია მისით გამოწვეულ სახეებთან და აბსოლუტურად არ არის დამოკიდებული მათ (სახეების) რეალურ მნიშვნელობაზე. ძალიან ხშირად გაურკვეველი მნიშვნელობის სიტყვებს ძალიან დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ბრბოზე. ასეთია, მაგალითად, ტერმინები: დემოკრატია, სოციალიზმი, თანასწორობა, ერთობა, თავისუფლება და ა.შ., რომელთა სრულ განმარტებას სქელ ტომებშიც ვერ ამოიკითხავთ“.


2014 წლის თებერვალი, კიევის „მაიდანი“

**მოსახლეობა, რომელიც მუდმივად განიცდის მასკულტურისა და ტელევიზიის გავლენას, უზარმაზარ ვირტუალურ ბრბოდ გარდაიქმნება. ეს ბრბო მოედანზე კი არ არის შეკრებილი, არამედ ზის მყუდრო ბინებში, ტელევიზორების წინ, არ არის სტრუქტურიზებული და უსმენს ერთსა და იმავე ლიდერებსა და წინასწარმეტყველებს**

მოსკოველი კულტუროლოგი **ვ. ოსიპოვი** „ნარინჯისფერი რევოლუციების“ ბელადების მიერ ამ ტექნოლოგიის ფლობის უნარს დიდად აფასებს: „სიტყვა „თავისუფლება“ ყველგან ისმოდა, ისევე, როგორც შეგნებული, პასუხისმგებლობის მქონე ხალხის თემა. ეს ისმოდა პასუხად, თითქოს გაყალბებულ არჩევნებზე, ანუ ხალხისთვის რაიმეს გადაწყვეტის უფლების ჩამორთმევაზე... იუშჩენკომ კარგად ითამაშა, ხალხს გამოუცხადა, რომ მისი მოტყუება სურდათ. თქვენ ბრბოდ მიაჩნიხართ, მაგრამ თქვენ, ბრბო კი არა, ხალხი ხართ და იტყვით ისეთ სიტყვას, რომელზეც ყველაფერია დამოკიდებული“.

ყველა იმ სიტყვას, რომელსაც **იუშჩენკო** ბრბოში ისროდა, არ აქვს ზუსტი კონკრეტული შინაარსი. მათი ფუნქციაა ადამიანების ბრბოდ გაერთიანება, რომელსაც ერთი იდენტიფიცირება აქვს („ჩვენ არ ვართ ბრბო!“) და მაგიური სიტყვით — **თავისუფლებით** არის აღგზნებული. ამ სიტუაციაში დამარცხებული აღმოჩნდა რუსულ-საბჭოთა რაციონალობა ელიტისა და მეშახტეთა და მუშათა მასების. იანუკოვიჩიცა და მისი ამომრჩევლებიც ლაპარაკობდნენ იმ ფასეულობებზე, რომლებიც მათთვის იყო აშკარა და მნიშვნელოვანი და, როგორც ეგონათ, უმნიშვნელოვანესი უნდა ყოფილიყო ყველასთვის: უკრაინაში მეურნეობრიობის აღდგენა, ფოლადისა და ქვანახშირის წარმოების გაფართოება, პენსიებისა და ხელფასების გაზრდა, პოლიტიკური სტაბილურობა და წესრიგის დაცვა.

მაიდნის ენა სულ სხვა იყო, დონბასის მეშახტეთა ან კრივოიროგელი მეტალურგების აზრით, — **ირაციონალური.** მაიდანზე ლაპარაკობდნენ და ფიქრობდნენ თავისუფლებაზე, ევროპასა და როკმუსიკაზე. ვ. ოსიპოვი წერს: „იუშჩენკო საოცარ ამბებზე ლაპარაკობდა **(უკრაინელებს მსგავსი რამ არასოდეს სმენიათ):** „თქვენ სამუდამოდ დაგამახსოვრდებათ ეს დღეები. ისინი გადახაზავენ თქვენს წარსულ ცხოვრებას! თქვენ არასოდეს იქნებით უწინდელნი! აქ და ამჟამად თქვენ გარდაიქმენით ხალხად, რომელიც წყვეტს ქვეყნის ბედს! თქვენ მოუყვებით შვილიშვილებს, რომ იყავით კრეშჩატიკზე ჩვენთან ერთად. თქვენ არავის მისცეთ უფლება, დაგაჩოქონ!“

ამ სიტყვებში არ არის ლოგიკა, მაგრამ ადამიანების გრძნობებზე ძლიერად მოქმედებდა. შეგნების დიდი მანიპულაციის დროს გრძნობებზე თამაში აუცილებელი ეტაპია. ლებონი წერდა: „მასები სიტყვის ლოგიკით არასოდეს იხიბლებიან, მათ მოსწონთ მგრძნობელობითი სახეები, რომლებსაც ქმნიან გარკვეული სიტყვები და სიტყვათა ასოციაციები“. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა, „რომ გონიერების წინააღმდეგ მუდმივ ბრძოლაში გრძნობა არასოდეს დამარცხებულა“.

**ბრბოს მართვის მცოდნე ხელმძღვანელს მასა ყოველთვის მხიარული აღგზნების მდგომარეობაში უნდა ჰყავდეს და არასოდეს არ უნდა გაუნელოს გამარჯვების რწმენა. ვ. ოსიპოვი წერს, როგორ ასრულებდნენ კიევში ამ წესს: „ტიმოშენკო ყვიროდა, რომ ევროპარლამენტის დეპუტატებმა უკვე გაიფსკვნეს ნარინჯისფერი ჰალსტუხები, მოსკოვში მანქანებს ნარინჯისფერი ბაფთები ჩამოჰკიდეს. მის სიტყვას ეს აქცენტები რეფრენად გასდევდა: დღეს — კიევი, ხვალ — მოსკოვი“.**

ამერიკელი სოციოლოგი **გ. ბლუმერი** ნაშრომში „კოლექტიური ქცევა“ წერდა: „პროპაგანდა, უწინარესად, მოქმედებს ემოციასა და ცრურწმენაზე“... გრძნობათა სივრცეში იოლია „ჯაჭვური რეაქციის“ გამოწვევა — **დასნებოვნების**, გრძნობათა ეპიდემიის გავრცელება. აქ მოქმედებს ოდითგანვე ცნობილი მოვლენები, რომლებიც უცხოა ინდივიდუალური ფსიქიკისთვის — **მიმბაძველობა,** მასობრივი გრძნობის სტიქიური გავრცელება. კიევის მოვლენებზე დამკვირვებელი წერს: „უამრავი ადამიანი ნარინჯისფერ სახვევს — ოპოზიციის სიმბოლოს — იმაგრებს სხეულის ნებისმიერ ნაწილზე: ხელებზე, ფეხებზე, თავზე. ავტომფლობელები ნარინჯისფერ ბაფთებს ანძებზე, სარკეებზე, ბორბლებზე აბამენ, დროშებს სალონებში ამაგრებენ, ღამ-ღამობით ქუჩებში დააქროლებენ მანქანებს და ასიგნალებენ, რაც იუშჩენკოს მხარდაჭერას ნიშნავს — სამი სიგნალი იუშჩენკოს გვარის სამი მარცვლის ხმოვანი გამოხატულება — **იუ-შჩენ-კო!** უეჭველია, რომ ეს მასობრივი ისტერიკა დაფინანსებული არ არის“. უკრაინის ტელევიზიამ გადასცა რეპორტაჟები, რომელთა გმირებს ნარინჯისფერი ლენტებით დამშვენებული ძაღლები და კატები გამოჰყავდათ ქუჩებში.

ერთ-ერთი მთავარი განცდა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ცნობიერის მანიპულაციის მიზნით, არის **შიში.** არსებობს კიდეც ასეთი ფორმულა: „საზოგადოება, რომელიც შიშის არაადეკვატურ გავლენას განიცდის, გონებას კარგავს“. შიშს, როგორც ადამიანის ქცევის ფუნდამენტურ ფაქტორს, ყოველთვის გამოიყენებენ მართვის ეფექტიან იარაღად. ამასთან, გამოიყენებენ წარმოსახვით შიშს, „ნევროტიულს“, რომელსაც ქმნის წარმოსახვა, სიმბოლოთა სამყაროში, ვირტუალურ რეალობაში“.

ასეთი ირაციონალური შიშის გამოვლენის მოწმენი ვიყავით მოსკოვში 1991 წლის აგვისტოს დიდი „ხავერდოვანი რევოლუციის“ დროს.

„ნარინჯისფერი რევოლუციის“ ბელადები ეიფორიის გამომწვევ ლოზუნგებს შიშის გარკვეულ დოზასაც გაურევდნენ. ვ. ოსიპოვი წერს: „ოპოზიციის ლიდერების სიტყვები — იუშჩენკოს, ტიმოშენკოსა და სხვების კარგად იყო აგებული: ოპოზიციის ნებისმიერი ნაბიჯი ოპოზიციის მორიგ გამარჯვებად საღდებოდა, მაგრამ, ამასთანავე, ხაზს უსვამდნენ, რომ არ შეიძლება მოდუნება, არ შეიძლება მაიდნიდან წასვლა! ყოველ გამოსვლაში ისმოდა: ხელისუფლება უკვე ვიღაცებს ურიგებს ხელკეტებს, კიევში ჩამოვიდნენ ლიუმპენები დონეცკიდან, სადღაც იმალება მოსკოვური სპეცრაზმი... ირწმუნებოდნენ: ყინვა კრემლიდან მოდის.

ბრბოს ამ ყველაფრის სჯეროდა. ხალხს იმისიც სჯეროდა, რომ რუსეთის ჯარი საზღვარსაა მომდგარი და ა.შ.“

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

წყევლაკრულვიანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანის თავისუფლებას დემოკრატიული და სამართლიანი წესრიგი იცავს, მას სწორედ ასეთი წესების დაცვა აძლიერებს და არა თავგასული უწესრიგობა.**

# რა არის თავისუფლება?



წერილში „რა არის თავისუფლება?“ ილია დამაჯერებლად გვიხსნის და გვისაბუთებს თავისუფლების არსს. ის, როგორც დიდი მოაზროვნე და, ასევე, მოსამართლე, თვლის, რომ ადამიანის თავისუფლებას დემოკრატიული და სამართლიანი წესრიგი იცავს — მას სწორედ ასეთი წესების დაცვა აძლიერებს და არა თავგასული უწესრიგობაო. ილიას სურს, რომ ყოველი ქართველი სამართლიანობისთვის მებრძოლი იყოს, რომ მან „ხელი არავის ახლებინოს“ კანონსა და სამართალზე, როგორც „საკუთარი თავისუფლების ციხესიმაგრეზე“. თავისუფლება — ეს არის კანონისა და სამართლისაგან შედუღაბებული ციხესიმაგრე, რომლის გამძლეობა და ხარისხი მისი მშენებლების კეთილსინდისიერებასა და ოსტატობაზეა დამოკიდებული. და დღეს ჩვენ როგორი კანონი და სამართალიც გვაქვს, როგორადაცაა დაცული ქვეყანაში ადამიანის უფლებები და თავისუფლება, იმაზე მეტყველებს, რამდენად არიან ხელისუფალნი ერის მოძმენი „ჭმუნვასა და სიხარულში“, რამდენად აჩნიათ „ერის წყლული“ წყლულად და რამდენად „უდაგავთ გულს“ მისი ბედი და უბედობა...

საკითხავია: შეუძლიათ ან სურთ კი საერთოდ, რომ მშობელ ერს „ტანჯვის ცრემლი“ მოსწმინდონ?

როგორ ესადაგება დღევანდელობას ილიას ეს ფრაზა: „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს, ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ“.

„გვაბოტებენ“ ოკეანის გაღმიდანაც და ახლო სამეზობლოდანაც; გვკარნახობენ და გვიდგენენ ცხოვრების წესს. შედეგად გაიყიდა საქართველოს მიწაწყალი მწვანე დოლარებზე, ქართველები უცხოეთში გადაიხვეწნენ ლუკმაპურის საშოვნელად, მათ სამკვიდრებელში კი უცხოელებმა დაიდეს ბინა.

ვილას ახსოვს, რომ „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება — ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილი“? ვილას ახსოვს, რომ „უმიწაწყლოდ ერი იგივეა, რაც უფრთოდ ფრინველი, უწყლოდ თევზი და უჰაეროდ სიცოცხლე“?

ჩვენდა სამწუხაროდ, თათქარიძეობა, ბერბიჭაშვილობა, შადიმანობა, კუჭატნელობა — ეს საშინელი სნეულებანი, არც დღეს აკლია ქვეყანას, კვლავაც ჩვენი, ყველას, საერთო ტკივილია, ამიტომაცაა საზოგადოებრივი პროცესების კვლევის ილიასეული მეთოდოლოგია დღემდე აქტუალური.

ხელოვნებაში, პოლიტიკაში და სხვადასხვა საერო თუ სასულიერო საქმეში თუ ვინმეს ღვაწლი ფასობს, მისი პიროვნული თავისუფლების დამსახურებაა. შეიძლება ზოგი ფიქრობს, რომ თავისუფალი მაშინ იქნება, თუ მკერდს მოიშიშვლებს ან შარვალს ჩაიხდის სხვათა თვალწინ, ან უცენზურო სიტყვების კორიანტელს დააყენებს საჯაროდ შთაბეჭდილების მოსახდენად და ა.შ., მაგრამ პიროვნული თავისუფლება პიროვნული აღვირახსნილობა ნამდვილად არ არის!

„თავისუფლება თავის არ შეკავებაში კი არ არის, არამედ საკუთარი თავის ფლობაშია“ — ეს პიროვნული თავისუფლების **დოსტოევსკისეული** განმარტებაა.

„თავისუფლება არის მსახურება“ — ეს **გოეთეს** აზრია, დიდი გერმანელი მოაზროვნის. მაგრამ, თუ მსახური ხარ, მაშინ როგორ ხარ თავისუფალი? — თავისუფლების მსახური ხარ და იმიტომო.

არც მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრებაა თავისუფლება... **„თავისუფლება ადამიანისა სხვა არა არის რა, რომ ბოროტისათვის სრულად შეკრული იყოს და სიკეთისათვის უხვად გზაგახსნილი“** — ასეთია ილიას დასკვნა, რომელიც გამოაქვს წერილის ბოლოს, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს.

**თავისუფლება იგი ყოფამდგომარეობაა ადამიანისაო,** ამბობს ბოსსუეტი თავის მსოფლიო ისტორიაში, **საცა ყოველი ემორჩილება მარტო კანონსა და საცა კანონი უძლიერესია ყოველ ცალკე კაცზედაო;** ასეთის თვალით უყურებდა თავისუფალებას ძველი რომაელი და ძველი ბერძენიო. ეს ჭეშმარიტი და ზედმიწევნილი მნიშვნელობა თავისუფალებისა ეხლაც ცნობილია და აღიარებული ეხლანდელ მეცნიერთა და სახელმწიფოთაგან. **ჭეშმარიტი, რიგიანი აგებულება და წყობილება კაცთა საზოგადოებისა სწორედ ამ ქვაკუთხედზედ უნდა იყოს ამოყვანილი. საცა ეგ არ არის, იმ კაცთა საზოგადოებური ცხოვრება, რომელიც ერთმანეთზედ დამოუკიდებლად და გადუბმელად შეუძლებელია, მარტო ძალმომრეობაა, ერთმანეთის თელვაა, ერთმანეთის ჩაგვრა და ძარცვა-გლეჯა.** მაშინ ყოფა ადამიანისა ნადირთ ყოფაა და ადამიანი, ეგ კერძი ღვთისა, ნადირად გადაქცეულია, იმიტომ, რომ თვითვეულის სვე-ბედი თვითვეულის ფარხმლით საგერი და სატევია და არა საერთო მფარველობისა და შემწეობისაგან ნათავდებები და დაკუთვნებული. ამ ყოფით ცხოვრება ცნობიერს და ჭკვათამყოფელს სულიერს არ შეუძლიან და თვით იმ კრებულს ჭკვათამყოფელს სულიერთა, რომელსაც ჩვენ კაცთა საზოგადოებას ვეძახით, მიზეზი არსებობისა და ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება და უბათილდება.

ხოლო კაცმა რომ იმისთანა პატივსაცემი და მართალი, ადამიანისათვის თავმოსაწონი თავისუფალება იქონიოს, როგორსაც ბოსსუეტი ამბობს, საკმაო არ არის მარტო არსებობა კანონებისა. **კანონი რჯულია ცხოვრებისა და ამიტომაც იგი სამართლისაგან ამოწვდილი ხმალიც არის ურჩთათვის და ფარიც არის საგერად და სახსნელად ჩაგრულთათვის. თუ ხმლობაში კანონს უსამართლოდ ჰხმარობს ვინმე, მაშინ ფარობამ კანონისამ თავი უნდა იჩინოს საგერად. კანონი მაშინ არის კაცთათვის მადლის მიმნიჭებელი, როცა ამ ორნაირს უწმინდაეს მნიშვნელობას მისას ჰპატრონობს თვითონ საზოგადოება, თვითვეული წევრი, თვითვეული კაცი.** როცა კანონის სახელით მისევა თუ მოგერიება ჰბღალავს, ჰლახავს გრძნობას მართლიერებისას, მაშინ მე ვიჩაგრები ამისაგან, თუ სხვა, მაინც მოვალე ვარ, თავი გამოვიდო, კანონის სახელი ძირს არ დავცე და არ გავაქელვინო, იმიტომ, რომ **კანონი ყველასი ფარ-ხმალია და, მაშასადამე, ჩემიცა.** აქ სიდიდე საქმისა არაფერს შუაშია. შეიძლება საქმე ჩალის ფასადაც არა ჰღირდეს, მაგრამ გალახული, გაუპატიურებული გრძნობა სიმართლისა კი მაინც ალაპარაკდეს და კანონს გამოესარჩლოს. ეს მარტო მაშინ არის შესაძლებელი, როცა გრძნობა სიმართლისა, ეგ ერთადერთი თავდები კაცთა საზოგადოების ბედნიერებისა, ყველას გაღვიძებული აქვს და ყარაულად უდგა თვით კანონს.

სწორედ ესეც არის ყველგან, საცა კი ერთი ამ მხრით საზოგადოებურ ცხოვრებაში წარმატებულია. აი, თუნდა ამისი მაგალითი, რომელიც ჩვენებურს კაცს იქმება სასაცილოდაც არ ეყოს და რომელსაც კი, ჩვენის აზრით, დიდძალი მნიშვნელობა აქვს, იმოდენად დიდძალი, რომ უამისოდ ყოველივე კანონი, რაც უნდა კარგი იყოს, უქმი თამასუქია. ბრესლავში (რუსიის ქალაქია) ერთი მდიდარი სოვდაგარია თურმე. მას ეხლახან ჯვარი დაუწერია, პატარძალი შინ მიუყვანია და პოლიციისათვის კი არ შეუტყობინებია, რომ სახლში ახალი ადამიანი დაუბინავებია. პრუსიის კანონებით კი ყოველი პატრონი სახლისა მოვალეა, აცნობოს პოლიციას სამის დღის განმავლობაში, თუ ვინმე უცხო კაცი თავის ბინაში დააბინავა. პოლიციამ ამ კანონის დარღვევისათვის მანათზედ ცოტა მეტი ჯარიმა დააწერა სოვდაგარსა. სოვდაგარმა ჯარიმის გადახდევინება უსამართლოდ იცნა და პოლიციას უჩივლა. სასამართლოში სოვდაგარი ამტკიცებდა, რომ პოლიციას ამ შემთხვევაში ხელი არა ჰქონდა, ჯარიმა გადაეხდევინებინა ჩემთვისაო, იმიტომ, რომ კანონში მოხსენებულია, რომ თუ უცხო კაცი დავაბინავე ჩემს სახლში და პოლიციას არ შევატყობინე, მაშინ უნდა გადამხდეს ჯარიმაო; ცოლი კი, არც კანონით და არც სალვთო წერილის ძალით, უცხო კაცად არ ჩაითვლება ქმრისთვისაო. არც სასამართლომ, არც სასამართლოს პალატამ არ შეიწყნარა სოვდაგარის საბუთი და ზემოხსენებული ჯარიმა, სულ ერთი მანათი და ერთი შაური, მჯავრად განუჩინა. სოვდაგარმა მაინც თავისი არ დაიშალა და გადიტანა საჩივარი დიდს სახელმწიფო სამართალში, რომელსაც რეიჰსგერიხტი ჰქვიან.

სასაცილოა განა, მკითხველო, ასეთი დავიდარაბა ერთის მანათის გულისათვის, მერე ვისგან? მდიდარის სოვდაგარისაგან. ჩვენებური კაცი მაშინვე ამოიღებდა ქისიდამ ერთს მანათს და მაშინვე დაამწყრალებდა პოლიციას. მაგრამ აქ საქმე განა მარტო ერთს მანათზეა! რა არის ერთი მანათი სოვდაგარისათვის, ხელის ჭუჭყია, მტვერია და სხვა არაფერი. მაგრამ, აბა, ახლა შიგ ჩაიხედეთ ამ საქმეში, გუნება და ბუნება გაუგეთ, მაშინ სიცილის მაგიერ გრძნობა პატივისცემისა მიგახედებთ ამ სოვდაგარზედ. ცხადია, **მდიდარს სოვდაგარს ის კი არ ანაღვლებს, რომ ერთი მანათი ერთმევა, არამედ ის, რომ, მისის აზრით, კანონი და სამართალი ირღვევა და კანონი და სამართალი კიდევ მისის თავისუფლების ციხე-სამაგრე იმოდენად ძვირფასია, რომ განურჩევლად, განუკითხველად ხელს არავის ახლებინებს. აი, ნამდვილი, ჭეშმარიტი მოქალაქობრივი თავგამოდება, აი ჭეშმარიტი ქველობა კაცთა საზოგადოების წევრისა.** ამოდენა დავიდარაბაში, სამს სამართალში საქმის გატარებაში ერთი მანათი კი არა, იქნება ასი მანათიც დაეხარჯოს, მაგრამ იგი, ერისათვისაც იღწვის, მისთვის ყოველს ქონებაზედ უფრო ძვირფასია. კაცმა, მისის აზრით, უსამართლოდ მოაწვდინა მასზედ კანონის ხმალი და იგი იმავ კანონსა თავის კაცურის კაცობის ფასად წინ უყენებს და განკითხვას სამართლისაგან ელის. კაცური, ადამიანური ცხოვრებაც ამას ჰქვიან: ამისთანა კაცთა შორის ყველა შეკრულია ბოროტისათვის და ყველა გზაგახსნილია სიკეთისათვის. **თავისუფლებაც ადამიანისა სხვა არა არის რა, რომ ბოროტისათვის სრულად შეკრული იყოს და სიკეთისათვის უხვად გზაგახსნილი.**

**P.S. თავისუფლების გაგების მეტად საგულისხმო ნიმუშებია ვაჟა-ფშაველას ესეები: „რას ჰქვიან თავისუფლება?“ და „რა არის თავისუფლება?“. დიდი ქართველი პოეტი ამ მცირე მოცულობის წერილებში თავისუფლების ი. ჭავჭავაძისეულ გაგებას ერთგვარად განავრცობს და თავისუფლებასა და ბედნიერებას ერთმანეთს უთანაბრებს.**

**ამაზე — შემდეგ ნომერში.**

**თავისუფლება — ეს არის კანონისა და სამართლისგან შედუღაბებული ციხესიმაგრე, რომლის გამძლეობა და ხარისხი მისი მშენებლების კეთილსინდისიერებასა და ოსტატობაზეა დამოკიდებული. და დღეს ჩვენ როგორი კანონი და სამართალიც გვაქვს, როგორადაცაა დაცული ქვეყანაში ადამიანის უფლებები და თავისუფლება, იმაზე მეტყველებს, რამდენად არიან ხელისუფალნი ერის მოძმენი «ჭმუნვასა და სიხარულში», რამდენად აჩნიათ «ერის წყლული» წყლულად და რამდენად «უდაგავთ გულს» მისი ბედი და უბედობა... საკითხავია: შეუძლიათ ან სურთ კი საერთოდ, რომ მშობელ ერს «ტანჯვის ცრემლი» მოსწმინდონ?**

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სომხეთისა და შირვან-არანის დაპყრობა დიდი დანაკლისი იყო საქართველოსთვის. ამიერიდან სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოძმე ხალხების ნაცვლად, მას დამპყრობელი გაუმეზობლდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამხრეთის საზღვარი, ფაქტობრივად, მორღვეული იყო.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4-5 (428-430)

# საქართველო და სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები

**XI საუკუნის მეორე ნახევარში თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა, საქართველოს მსგავსად, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები — სომხეთი და შირვანი, მასთან ერთად არანიც დიდად დააზიანა.**

**ბიზანტიის იმპერიის უხეშმა ჩარევამ სომხეთის საშინაო საქმეებში დამანგრეველი გავლენა იქონია. სომხეთმა დაკარგა სახელმწიფოებრიობა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც ბიზანტიელებმა მშობლიური მიწებიდან აჰყარეს და იმპერიის სხვადასხვა მხარეში ჩაასახლეს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი სომხეთის დაპყრობა სელჩუკებს არ გასჭირვებიათ. სელჩუკთა ოთხგზის დამანგრეველი ლაშქრობის შემდეგ სომხეთი ეკონომიკურ-კულტურული დაცემისა და ეთნიკური გადაშენება-გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ცალკეული სომხური სამეფოები (ლორე, სივნიეთი) უბრძოლველად ჩაბარდნენ სელჩუკებს და მათ მორჩილებდნენ. წარმოიქმნა დვინის, ანისისა და შაჰ-არმენების სელჩუკური საამიროები. თვით სელჩუკთა აგრესიისთვის ამიერკავკასიაში მნიშვნელოვან პლაცდარმად იქცა ქალაქი განძა, რომელიც 1068 წლიდან მათი გავლენის ქვეშ იყო. სწორედ აქედან დაიწყო ლაშქრობები სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ. განძის დაპყრობამ, ფაქტობრივად, განაპირობა სელჩუკთა გაბატონება მთელს არანში. შირვანშაჰმა ფარიბურზ I-მაც სელჩუკთა სასარგებლოდ ხარკი იძულებით იკისრა და რეალურად გადამთიელი მტრის უღელქვეშ აღმოჩნდა.**

**სომხეთისა და შირვან-არანის დაპყრობა დიდი დანაკლისი იყო საქართველოსთვის. ამიერიდან სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოძმე ხალხების ნაცვლად, მას დამპყრობელი გაუმეზობლდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამხრეთის საზღვარი, ფაქტობრივად, მორღვეული იყო.**

## ურთიერთობა სომხეთთან

დავითის მიერ სომხეთის მიმართ გატარებული პირველი დიდი ღონისძიება ლორეს აღება, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს გაუქმება და საქართველოსთვის შემოერთება იყო.

სომეხ მმართველთა ეს ფეოდალური სახელმწიფო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე 978 წელს ამიერკავკასიის ხალხების არაბთა ბატონობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში შეიქმნა.

ტაშირ-ძორაგეტის სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა დავით უმიწაწყლოს მმართველობის ხანაში (989-1048), როდესაც სამეფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა თბილისისა და განჯის საამიროთა ხარჯზე და კვირიკიანმა მეფეებმა ცნობილი ქართული ციხესიმაგრე **სამშვილდე** თავის რეზიდენციად აქციეს, თუმცა 1065 წელს სამშვილდე ბაგრატ IV-მ აიღო და საქართველოს შემოუერთა, ამიტომ სამეფოს პოლიტიკურმა ცენტრმა ლორეში გადაინაცვლა. **დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკთაგან გათავისუფლებული ლორე 1122 წელს აიღო და ტაშირ-ძორაგეტი უშუალოდ საქართველოს შემოუერთა (1118-1122) და სომეხ ფეოდალ მმართველთა საგვარეულო გააუქმა. ისტორიულად ქვემო ქართლის ეს მხარე, როგორც საქართველოს განაპირა ნაწილი, სამართავად გადაეცათ სრულიად საქართველოს მხედართმთავრებს — ჯერ — ორბელებს, ხოლო 1185 წლიდან — მხარგრძელებს.**

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დავითის მიერ შირაკის სამეფოს (შირაკი იყო ანისის სამეფოს ცენტრალურ ოლქი და მას ზოგჯერ შირაკის სამეფოდაც მოიხსენიებდნენ) დედაქალაქის — ანისის გათავისუფლებას და საქართველოსთვის შემოერთებას. დავითზე სომეხი ხალხის კურსის აღება არ იყო შემთხვევითი. საქართველოს მეფე XII საუკუნის 20-იან წლებში ძლევამოსილი იყო და განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა. **დავითის წინამძღოლობით ქართველი ხალხის წარმატებები აღაფრთოვანებდა სომხებს და იმედს უჩენდა, რომ საქართველოს დახმარებით თვითონაც შეძლებდნენ მომხდური მტრის ბატონობისგან თავის დახსნას. არ არის გამორიცხული, რომ ანელ თავადთა ორიენტაცია საქართველოს მეფეზე წინასწარი შეთანხმების შედეგი ყოფილიყო.** სავარაუდოა, რომ სომხეთით დაინტერესებული დავითი გაითვალისწინებდა ანელი ქრისტიანების განწყობილებას, მათ სიძულვილს შედადიანებისადმი და გარკვეულ ღონისძიებებსაც გაატარებდა.

შედადიანები, ქურთული წარმოშობის ფეოდალური დინასტია არანსა და სომხეთში (დაახლოებით 951-1199წწ.), განძაში ქვეყანას X საუკუნის 70-იანი წლებიდან 1075 წლამდე მართავდა, სელჩუკების დაპყრობამდე. 1199 წელს, ანისის საქართველოსთან შეერთების შემდეგ, დინასტიამ არსებობა შეწყვიტა.

**დავით აღმაშენებლის მოქმედება თანაგრძნობასა და მოწონებას პოულობდა სომეხ ხალხში იმიტომ, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სიახლოვე იყო, თანაც საქართველოს მეფე ებრძოდა სომეხი ხალხის დამპყრობლებს, ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ სომეხმა ისტორიკოსებმა დიდების შარავანდედით შემოსეს საქართველოს მეფე.**

საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში მეტად საინტერესო მოვლენაა საქართველოს მესვეურთა მცდელობა სომხეთის ეკლესიის შემოსაერთებლად. სომხური ეკლესიის ქართულთან გაერთიანების სურვილმა განსაკუთრებულად იჩინა თავი დავითის მოღვაწეობის პერიოდში. საქართველოს მეფე, რომელიც უდიდეს პატივს სცემდა სომხური სარწმუნოების აღმსარებლებს, ცდილობს სომეხთა და ქართველთა სარწმუნოებრივ გაერთიანებას. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საგანგებო კრება გაიმართა. დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, კამათი დილაადრიან დაწყებულა და „ცხრა ჟამამდე“ გაგრძელებულა, მაგრამ საბოლოო დასკვნამდე ვერ მისულან. მაშინ თვით დავითი ჩარეულა პაექრობაში. საქართველოს მეფის სიტყვას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე, სომხებს დამარცხებულად უცვნიათ თავი და დარცხვენილები წასულან. მეფისთვის მიუმართავთ: „ჩვენ, მეფეო მოწაფე გუეგონე ამათ მოძღვართა თქვენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭყალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი“.

კრების შედეგის მიუხედავად (საქართველოს სამეფოს სურვილი ვერ განხორციელდა, სომხური ეკლესიის შემოერთების საკითხი კი დავითის შემდეგ ხანშიც იდგა), ქართველ-სომეხთა ურთიერთობა მეგობრული და კეთილი იყო, სომხური მიწები კი — დავითის დროიდან საქართველოს შემადგენლობაში (ეს დამოკიდებულება მონღოლების შემოსევამდე გაგრძელდა).

## ურთიერთობა შირვანთან

დავით აღმაშენებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კახეთ-ჰერეთის შემოერთებას. ბრძოლა ერწუხში (თუ ერტოხში) მომხდარა და ამ ბრძოლაში ხელჩართული ომში ისეთი საშინელი სისხლის ღვრა ყოფილა, რომ თვით მეფის ტანისამოსი მტრის სისხლით იყო მოსვრილი, ამ ბრძოლაში მეფეს სამი ცხენი მოუკლეს და მან, მეოთხე ცხენზე ამხედრებულმა, გამარჯვებით დააგვირგვინა ომი. „მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს (მეფეს) და მეოთხესა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი“-ო, — ამბობს ისტორიკოსი. გამრავჯვებულმა მეფემ საბოლოოდ დაიპყრა ჰერეთი და კახეთი. რაკი ეს ამბავი გელათის მონასტრის აგების უწინარეს მომხდარა, ხოლო გელათის აშენება 1106 წელს იყო დაწყებული, ამიტომ ცხადია, რომ ერწუხის ომი და კახეთ-ჰერეთის შემოერთება 1104-1105 წლებში უნდა მომხდარიყო.

მას შემდეგ, რაც კახეთ-ჰერეთი შემოვიერთეთ, შირვანი საქართველოს უშუალო მეზობელი გახდა და შირვანშაჰთან უშუალო დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. გარკვეული პოლიტიკური შინაარსი იყო ჩადებული დავითის ასულის — თამარის შირვანშაჰის მემკვიდრესთან ქორწინებაში.

დავითის ეს ნაბიჯი გამიზნული იყო შირვანშაჰთან კეთილი დამოკიდებულების დასამყარებლად და მის ჩასაბმელად სელჩუკებთან ბრძოლაში. როგორც ჩანს, ქორწინების აქტმა დავითის მოლოდინი არ გაამართლა და საქართველოს მეფე აქტიურ პოლიტიკურ მოქმედებაზე გადავიდა შირვანის მიმართ. მან რამდენიმეჯერ დალაშქრა ეს ქვეყანა. შირვანის ციხე-ქალაქებში საქართველოს მეფის გარნიზონები ჩადგნენ, საქმეთა გამრიგებლად კი ვაზირი სვიმეონი — მწიგნობართუხუცესჭყონდიდელი და ბედიელ-ალავერდელი იყვნენ. აქედან მოკიდებული, შირვანი ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ფეოდალური საქართველოს მონარქიასთან. **სავარაუდოა, რომ სწორედ ამ დროიდან (XII საუკუნის 20-იანი წლები) ატარებდნენ ქართველი მეფეები შირვანშაჰის ტიტულს. ამ ტიტულით XII საუკუნის საქართველოს მეფეთა მოხსენიება წერილობით წყაროებში არის ერთ-ერთი მაჩვენებელი შირვანშაჰის ყმადნაფიცრობისა საქართველოს მიმართ.** იმ ფაქტზე, რომ XII საუკუნის 20-იანი წლებიდან მონღოლთა შემოსევებამდე შირვანი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო, საგანგებოდ მიუთითებენ მკვლევარები.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ შირვანის გამგებლად დავითმა სამეფო კარის პირველი ვაზირი დანიშნა, ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა შირვანში არა მხოლოდ სამხედრო ოკუპაციას, არამედ სამოქალაქო-ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებასაც ისახავდა მიზნად.

დავითის მემკვიდრეების დროს შირვანის აღმოსავლეთ ნაწილში შირვანშაჰის ხელისუფლება აღდგა ვასალური დამოკიდებულების პირობით, დასავლეთი ნაწილი კი საქართველოს საზღვრებში შემოვიდა. საქართველო-შირვანის ამგვარი დამოკიდებულება მონღოლთა შემოსევებამდე გაგრძელდა. **მთელი XII საუკუნის განმავლობაში საქართველო და შირვანი ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.**




საქართველო დავით აღმაშენებლის მმართველობის დასასრულს, 1125 წელი

**დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკთაგან გათავისუფლებული ლორე 1122 წელს აიღო და ტაშირ-ძორაგეტი უშუალოდ საქართველოს შემოუერთა (1118-1122) და სომეხ ფეოდალ მმართველთა საგვარეულო გააუქმა. ისტორიულად ქვემო ქართლის ეს მხარე, როგორც საქართველოს განაპირა ნაწილი, სამართავად გადაეცათ სრულიად საქართველოს მხედართმთავრებს — ჯერ — ორბელებს, ხოლო 1185 წლიდან — მხარგრძელებს**

დასასრული
შემდეგ ნომერში

# ნიდერლანდები ნარკოსახელმწიფოდ იქცა



**ამბობენ ამ ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები და აღიარებენ, რომ ძალიან გაუჭირდათ ბრძოლა ნარკოტიკების შავი ბაზრის წინააღმდეგ, რომელიც ფართოვდება,— იუწყება The Guardian-ი ამ ქვეყნის პოლიციელთა ასოციაციის მოხსენებაზე დაყრდნობით.**

ოფიციალური მონაცემებით, დანაშაულის რაოდენობა იკლებს. მაგრამ სამართალდამცველები ამტკიცებენ, რომ მსხვერპლთაგან ბევრი პოლიციას აღარ მიმართავს, დამნაშავეთა ორგანიზაციებს კი, ფაქტობრივად, თავისუფალი მოქმედებისთვის იდეალური პირობები აქვთ შექმნილი. იზრდება ადამიანების დაუცველი ჯგუფების მიმართ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა.

„იმ ძალებითა და რესურსებით, რომელიც გვაქვს, ცხრიდან მხოლოდ ერთი ჯგუფი შეიძლება დავამარცხოთ“, — აღნიშნულია დოკუმენტში, რომელიც გაზეთმა De Telegraaf-მა მიიღო. პოლიცია იფარგლება დამკვირვებლის როლით, ხოლო წვრილი დამნაშავენი შეძლებულ მეწარმეებად ყალიბდებიან და ფეხს იკიდებენ სასტუმროების ან ტურისტულ ბიზნესში, ასევე საბინაო ბაზარზე.

„ნიდერლანდები ბევრი მაჩვენებლით შეესაბამება ნარკოსახელმწიფოს“, — მითითებულია მოხსენებაში, რომელსაც საფუძვლად 400 სამართალდამცველთან საუბრები უდევს. აღნიშნულია, აგრეთვე, რომ ქვეყანას აკლია, სულ ცოტა, 2 ათასი პოლიციელი.

მარიხუანისა და პროსტიტუციის ლეგალური სტატუსი ძალაუნებურად უბიძგებს ნიდერლანდებს ადამიანებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ცენტრად ჩამოყალიბებისკენ. მაგალითად, ევროპასა და აშშ-ში აკრძალული „ესქტაზის“ დიდი ნაწილი დამზადებულია ქვეყნის სამხრეთში, ხოლო ამოღებული კოკაინის ნახევარი ჩატანილია როტერდამის პორტიდან.

მსუბუქი ნარკოტიკები, რომლებსაც მარიხუანაც მიეკუთვნება, ნიდერლანდებში ოფიციალურად ნებადართულია. მათი მოხმარება ჯანდაცვის პრობლემებს განეკუთვნება და დანაშაულად არ ითვლება.

# რუსეთს საკმარისი ძალა აქვს აშშ-ის გასანადგურებლად

**პორტალ The National Interest-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა წერილი სათაურით „რატომ არიან დემოკრატები რუსეთით შეპყრობილი“, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.**

„დემოკრატები და, საერთოდ, ლიბერალური საზოგადოება ამტკიცებდნენ, რომ მტრულ ქვეყანას სურდა, ხელისუფლების სათავეში დაესვა პრეზიდენტი, რომელზეც გავლენა ექნებოდა მოსკოვს. ეს აკვიატებული აზრი მკვეთრი და ზღვარგადასული ხდება, რუსეთის მიმართ აშშ-ის პოლიტიკის შესახებ კამათი სულ უფრო მწვავდება, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის შეურიგებლობისა და „დანაშაულში თანამონაწილეობის ატმოსფეროს, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებს გვაგონებს.

ზოგიერთი კომენტარი თავისი უაზრობით გაოცებას იწვევს. ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პოლიტიკური ანალიტიკოსის, **ჯონ ჰაილემანის** კომენტარი აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარის **დევინ ნუნესის** წინადადებაზე, როცა დევინმა კომიტეტის მიერ მოწონებული მემორანდუმის გამოქვეყნება მოინდომა. მემორანდუმი ეხებოდა **ტრამპსა** და რუსეთს შორის გარიგების საქმის გამოძიების პროცესში გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ დაშვებულ შესაძლო დარღვევებს.

ჰაილემანი შეეკითხა დემოკრატ სენატორ **კრის მერფის:** „შეიძლება თუ არა, რომ ჩვენს კომიტეტს, რომელიც კურატორობს დაზვერვის საკითხებს, მართავდეს რუსეთის აგენტი?“ ეს მოხდა მაშინ, როცა ჰაილემანმა ეს აბსურდული იდეა მეორედ თქვა ღია ეთერში.

სხვა ლიბერალები ზედმეტად ამძაფრებდნენ საფრთხეებს, რომლებიც აშშ-ის უშიშროებასა და თავისუფლებას შეიძლებოდა დამუქრებოდა. კამპანიის მიმდინარეობისას **ჰილარი კლინტონმა** განაცხადა, რომ **დონალდ ტრამპი** „პუტინის მარიონეტი“ იქნება. მას შემდეგ ბრალდებები უფრო ველური და წამქეზებლური გახდა. 2017 წლის მარტში წარმომადგენელთა პალატის უშიშროების კომიტეტის სესიისას **ბონი უოტსონ კოულმანმა** რუსეთი დაადანაშაულა



აშშ-ის წინააღმდეგ დაუფარავი ომის წარმოებაში. „ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანაზე ეს თავდასხმა არის ჩვენი ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების წინააღმდეგ მიმართული ომის ფორმა“, — განაცხადა მან.

კოულმანი ერთადერთი არ იყო, ვინც ეს ჰიპერბოლა გამოიყენა. იმავე თვეში მისმა რამდენიმე კოლეგამ იგივე გაიმეორა. დემოკრატმა **დენი ჰეკმა** რუსეთის ქმედება პერლ-ჰარბორზე იაპონელების თავდასხმასა და 11 სექტემბრის ტერაქტებს შეადარა, ირწმუნებოდა, რუსეთთის მიმართ შეშფოთება პოლიტიკას არ ეხება, რომ „საქმე გვაქვს პატრიოტიზმთან, იმ გულისგულთან, რომელზეც აგებულია ჩვენი ქვეყანა, ეს კი ღია, თავისუფალი და პატიოსანი არჩევნებია“.

კლინტონის ტრამპზე ან ჰაილემანის ნუნესზე თავდასხმა მეტყველებს: ისტერიკა რუსეთის გამო ეხება მათ რეპუტაციას, ვინც არ იზიარებს მოსაზრებას, რომ რუსეთი ამერიკისა და მისი დემოკრატიული სისტემების ეგზისტენციური საფრთხის შემცველია. ასეთი მაკარტიზმის სამიზნეები არიან არა მხოლოდ ტრამპი და მისი გარემოცვა, არამედ ბევრი პროფესორი და ჟურნალისტი. მათ უწოდებს „მარიონეტებს“, „რუს ტროლებს“ და „მეხუთე კოლონას“. ეს ყველაფერი დაიწყო 2016 წლის არჩევნებამდე გაცილებით ადრე, რაც მეტყველებს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ისტერიკას და გაავებას იმაზე ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე აშშ-ის არჩევნებში რუსეთის ჩარევის შეთითხნილ კამპანიას.

რომც დავეთანხმოთ იმ დებულებას, თითქოს რუსეთი ჩარეული იყო არჩევნებში, ლიბერალების პასუხი ზედმეტად გაბუქებული ჩანს. უაზრობაა კიბერუშიშროების სისხლიან პერლ-ჰარბორსა და 11 სექტემბრის ტერაქტებთან შედარება. ასეთი შედარება აკნინებს ამ ეპიზოდების ტრაგიკულობას. უფრო მეტიც, იგი არაფრით განსხვავდება იმ ქმედებისგან, რომელსაც შეერთებული შტატები სჩადიოდა ათობით ქვეყანაში, მათ შორის, დემოკრატიულებშიც.

დემოკრატებმა უნდა შეცვალონ თავიანთი ქცევა. მათ, ვისაც გულწრფელად სჯერა თავისი რიტორიკის, უნდა მოთოკონ ვნებები, არ აჰყვნენ ანტირუსულ ისტერიკას. ისინი, ვინც ამ ისტერიკას ცინიკურად იყენებს ტრამპის ადმინისტრაციის დასამარცხებლად, უნდა შეჩერდნენ, დაუფიქრდნენ თავიანთ ქმედებას, რომელიც საფუძველს უყრის მეორე „ცივ ომს“ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც საკმარისი ძალა აქვს ამერიკის გასანადგურებლად.



# «მაიდნის პოეტესამ» განაცხადა, რომ გული აუცრუვდა 2014 წლის კიევის მოვლენებზე



## «მაიდანი» იყო შეცდომა. მან ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხა»

**პოეტმა ქალმა ევგენია ბილჩენკომ, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მაიდანზე გამართულ საპროტესტო აქციებში, RT-ს მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გული აუცრუვდა 2014 წლის კიევის მოვლენებზე.**

ბილჩენკომ აღიარა, რომ საპროტესტო მოძრაობაში ქვეყანაში არსებული მდგომარეობით დაუკმაყოფილებლობის გამო ჩაება. დღეს კი, მისი აზრით, ვითარება გაუარესდა და დემოკრატიული თავისუფლება უკრაინელებს შეუმცირდა. მაიდნის პრობლემა იყო ის, რომ საპროტესტო აქციაზე გასულ ადამიანებს არ ჰქონდათ სამოქმედო გეგმა. ამის გამო ნაციონალისტურმა ძალებმა, რომლებიც საპროტესტო მოძრაობას მიეკედლნენ, შეძლეს სახალხო აღშფოთების თავიანთი მიზნების განსახორციელებლად გამოყენება.

„შედეგად მანკიერ წრეში აღმოვჩნდით. ჩვენ ხალხის სასიკეთო განზრახვები გვქონდა, რომლებიც მიითვისეს არა მხოლოდ ნაციონალისტებმა, არამედ ნაციონალისტებისა და ლიბერალების ნაზავმა. დღეს სწორედ ამ სინთეზის წინაშე აღმოვჩნდით. ამიტომ ამჟამად მიმაჩნია, რომ **„მაიდანი“ იყო შეცდომა. მან ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხა“,** — ხაზი გაუსვა ბილჩენკომ.

ბილჩენკომ პოპულარობა მოიხვეჭა მას შემდეგ, რაც გამოაქვეყნა ლექსი — „ვინ ვარ მე?“, რომელიც ევრომაიდნის მოვლენებს მიეძღვნა, იყო ექსტრემისტული ორგანიზაცია „მარჯვენა სექტორის“ მოხალისე. უკრაინული მედია მას „მაიდნის“ პოეტს უწოდებს.



**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894